

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი

ვერა ბჟალავა

მუშა მეხსიერების ფუნქციონირების თავისებურებები  
ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის  
სინდრომის დროს

*დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი*

*ქეთევან ინასარიძე  
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკად. დოქტორი,  
სრული პროფესორი*

თბილისი  
2017

# სარჩევი

ანოტაცია .....	5
Annotation .....	9
ტექსტი გამოყენებული აბრევიატურის განმარტება .....	11
შესავალი .....	13
მიმოხილვითი ნაწილი	
1. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის (ADHD) კონცეპტი .....	20
1.1. ADHD-ის განმარტება .....	20
1.2. ეპიდემიოლოგია .....	21
1.2.1. პრევალენტურობა .....	21
1.2.2. ინციდენტურობა .....	22
1.3. ADHD-ის ეტიოლოგია .....	22
1.3.1. გენეტიკური ფაქტორები .....	22
1.3.2. გარემო ფაქტორები .....	23
1.4. დიაგნოსტიკური კრიტერიუმები .....	24
1.5. ADHD-ის ქვეტიპები .....	26
1.6. ADHD-ის ნეირობიოლოგია .....	27
1.6.1. თავის ტვინის სტრუქტურული ცვლილებები ADHD-ის დროს .....	27
1.6.2. თავის ტვინის ფიზიოლოგიური ცვლილებები ADHD-ის დროს .....	30
1.6.3. თავის ტვინის ნეიროქიმიური ცვლილებები ADHD-ის დროს .....	30
2. ADHD-ის ნეიროფსიქოლოგია .....	33
3. ADHD-ის თეორიული მოდელები .....	38
3.1. გადავადების მიუღებლობის მოდელი .....	38
3.2. ქცევითი შეკავების/ აქტივაციის მოდელი .....	39
3.3. შეკავების მოდელი .....	40
3.4. ინტეგრირებული კოგნიტური და ემოციური მოდელი .....	41

3.5.	კოგნიტურ-ენერგეტიკული მოდელი.....	42
3.6.	განვითარების მოდელი.....	43
4.	მუშა მეხსიერების მოდელი.....	44
4.1.	ფონოლოგიური კვანძი .....	49
4.2.	მხედველობით – სივრცითი მონახაზის ჩამწერი .....	54
4.3.	ცენტრალური აღმასრულებელი .....	57
4.4.	ეპიზოდური ბუფერი .....	60
4.5.	მუშა მეხსიერების ნეიროანატომიური საფუძვლები .....	62
5.	ორმაგი დავალების მეთოდოლოგია .....	66
5.1.	ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია .....	67
5.2.	ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია .....	68
5.3.	ორმაგი დავალების კომბინირებული <i>mu</i> ქულა .....	70
5.4.	ორმაგი დავალება ADHD-ის დროს .....	71
5.5.	ორმაგი დავალების ნეიროანატომია .....	72
6.	კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება .....	74
7.	კვლევის მიზანი და ამოცანები .....	78
ექსპერიმენტული ნაწილი		
8.	კვლევის მეთოდები და ცდისპირები .....	81
8.1.	კვლევაში გამოყენებული დავალებები .....	81
8.1.1.	ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია .....	81
8.1.2.	ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია .....	83
8.1.3.	ვექსლერის ინტელექტის შესაფასებელი სკალა (WISC III) .....	85
8.1.4.	მოტორული ფუნქციონირების შესაფასებელი ბატარეა (MABC) .....	85
8.2.	ცდისპირები .....	86
8.3.	პროცედურა .....	91
9.	კვლევაში მიღებული შედეგები .....	96
9.1.	ორმაგი დავალების მეთოდის კომპიუტერული ვერსია .....	96

9.2.	ორმაგი დავალების პარადიგმის ფურცლისა და ფანქრის ვერსია .....	100
9.3.	ტესტ-რეტესტის კორელაცია ორმაგი დავალების კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისთვის.....	107
9.4.	ADHD-ის ტიპის, სქესისა და კომორბიდული ფაქტორების გავლენა ორმაგი დავალების შესრულებაზე .....	107
9.5.	დავალების სირთულის დონის ზეგავლენა ორმაგი დავალების შესრულებაზე .....	112
9.6.	ზოგადი მოტორული ფუნქციონის ზეგავლენა ორმაგი დავალების კოორდინაციაზე .....	117
10.	მიღებული შედეგების ზოგადი მიმოხილვა .....	122
	დასკვნები .....	129
	გამოყენებული ლიტერატურა .....	130

## ანოტაცია

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) ნეიროგანვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარღვევაა, რომელიც განვითარების თვალსაზრისით შეუსაბამო უყურადღებობით, ჰიპერაქტიურობითა და იმპულსურობით ხასიათდება. აღნიშნული დარღვევა წარმოქმნის სერიოზულ პრობლემებს არა მარტო ოჯახის წევრებისათვის, არამედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვისა და ზოგადად საზოგადოებისათვის. ADHD-ის სიმპტომები როგორც წესი არ ქრება ადრეულ მოზრდილობაში და მისი შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები გვევლინება დაბალი პროფესიული სტატუსის, წარუმატებელი სოციალური ურთიერთობების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების აქტიური მოხმარებისა და ფსიქიატრიული დარღვევების წარმოქმნის გაზრდილი რისკის სახით. ADHD-ის დიაგნოსტიკა, გაგება და შესაბამისი მკურნალობის შერჩევა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული დარღვევის მქონე პირებში კოგნიტურ ფუნქციებზე განხორციელებული მრავალი კვლევა მიუთითებს აღმასრულებლის ფუნქციობის დარღვევების არსებობაზე. აგრეთვე აღმოჩენილ იქნა, რომ მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მე-4 განახლებული გამოცემის (DSM-IV-TR) თანახმად გამოყოფილი ADHD-ის ქვეტიპები (უპირატესად უყურადღებო (ADHD-PI), უპირატესად ჰიპერაქტიურ-იმპულსური (ADHD-PH) და კომბინირებული (ADHD-C)) ხასიათდებიან ყურადღებისა და აღმასრულებლის ფუნქციობის განსხვავებული პროფილებით. ADHD-ის ქვეტიპების გამოყოფის საკითხი დღესაც საკამათოა, რადგანაც მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ADHD-ის ქვეტიპები ერთმანეთისაგან კოგნიტურ, ქცევით და ნეირობიოლოგიურ დონეზე განსხვავებულ დარღვევებს წარმოადგენენ. ამდენად, ADHD-ის ქვეტიპებს შორის განსხვავების არსებობა ნეიროფსიქოლოგიური საზომების თვალსაზრისით კვლავაც მოითხოვს ექსტენსიური კვლევების ჩატარებას. წარმოდგენილმა კვლევამ გარკვეული წვლილი შეიტანა ADHD-ის ქვეტიპების კოგნიტური მახასიათებლების უკეთ გაგებაში.

წარმოდგენილი კვლევა Baddeley-ის (2000, 2012) მუშა მეხსიერების მოდელს ეფუძნება, რომელიც არც თუ ისე ფართოდაა გამოყენებული ADHD-ზე განხორციელებულ კვლევებში, ამდენად კვლევამ ერთი მხრივ წვლილი შეიტანა ამ მოდელის

დამოუკიდებელ ვალიდაციაში, ხოლო მეორე მხრივ კი გაამდიდრა ADHD-ისა და მისი ქვეტიპების კოგნიტური დისფუნქციის შესახებ არსებული ცოდნა.

ცენტრალური აღმასრულებელი მუშა მეხსიერების შედარებით ნაკლებად შესწავლილ კომპონენტს წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ორი დავალების სიმულტანური კოორდინაცია. ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ამგვარი კოორდინაციის შესაძლებლობა დარღვეულია ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტებში, რაც აღნიშნული დაავადების ადრეულ სტადიაზე ვლინდება. აგრეთვე ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარი დარღვეულია ვასკულარული დემენციის, პარკინსონის დაავადების, აუტიზმის, შუბლის წილისა და ჰიპოკამპის დაზიანების მქონე პაციენტებში.

მუშა მეხსიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვების/მოზარდების სწავლებასა და შემეცნებით პროცესებში. ყურადღების გაყოფა ისეთი აღმასრულებელი ფუნქციაა, რომელიც საჭიროა როგორც ყოველდღიური ასევე შემეცნებითი დავალებების შესასრულებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის კვლევა ნორმალურად განვითარებულ და ADHD-ის მქონე ბავშვებში, რათა მოხდეს საკლასო გარემოში ქცევითი მხარისა და განათლების შესაძლებლობის უკეთესი გაგება როგორც ნორმალური, ასევე პათოლოგიური ფუნქციობის პირობებში. ADHD-ის მქონე პირებთან ორმაგი დავალების კოორდინაციის შესაძლებლობაზე ზოგადად მცირე რაოდენობის და ურთიერთგამომრიცხავი შედეგების მქონე ექსპერიმენტია ჩატარებული, რომლებშიც გამოყენებულია ორმაგი დავალების განსხვავებული მეთოდები, მეტწილად კი - მისი კომპიუტერული ვერსია. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ორმაგი დავალების როგორც კომპიუტერული, ასევე ფურცლისა და ფანქრის ვერსიები. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რამდენიმე კვლევაშია გამოყენებული ტიტრაციის პროცედურა და ისიც მხოლოდ ერთი დავალებისათვის. ორმაგი დავალების შემსწავლელი კვლევების უმრავლესობაში დავალებები არ იყო ადაპტირებული ცდის პირის ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე, რაც თავის მხრივ ართულებს ორმაგი დავალების შესრულების დეფიციტის აღმოჩენას ADHD-ის მქონე ბავშვებში/მოზარდებსა და ასევე მის ქვეტიპებში ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით. აქამდე ჩატარებული კვლევების ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი გათვალისწინებულია წარმოდგენილ კვლევაში. კვლევაში მიზნად იყო დასახული

ორმაგი დავალების შესრულების მახასიათებლების დადგენა ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებთან ორმაგი დავალების პარადიგმის კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისათვის; ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის კვლევა ADHD-ის მქონე პირებში; ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის განვითარებაში შესაძლო ცვლილებების განსაზღვრა როგორც ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებში ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით; კვლევა იმისა ახდენს თუ არა დავალების სირთულის დონის გაზრდა არაპროპორციულ ზეგავლენას ორმაგი დავალების შესრულებაზე ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებში ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით; ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის შედეგების კომპიუტერული ვერსიის შედეგებთან შედარება შედეგების იდენტურობის შემოწმების მიზნით როგორც ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებში ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით; კვლევა იმისა, განაპირობებს თუ არა ზოგადი მოტორული ფუნქციონირების დეფიციტი და კომორბიდული ფაქტორები ორმაგი დავალების დეფიციტს ADHD-ის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ პირებთან შედარებით; კოგნიტური ტესტური ბატარეების ადაპტური ვერსიების მომზადება და ნორმების განსაზღვრა ქართული პოპულაციისათვის.

კვლევაში ჩართული იყო თბილისის სხვადასხვა სკოლიდან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ნევროლოგიური განყოფილებიდან შერჩეული 91 ჯანმრთელი და 91 ADHD-ის მქონე 6 – 16 წლის ბავშვი/მოზარდი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ (1) ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს შეუძლიათ ორმაგი დავალების კოორდინაცია ისევე, როგორც ასაკით და კლასის დონით შეთანადებულ საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებს; (2) დადგინდა, რომ ორმაგი დავალების სირთულის დონის გაზრდა დისპროპორციულად არ მოქმედებს ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე ასაკითა და კლასის დონით შეთანადებულ საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით; (3) ორმაგი დავალების კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიები ერთსა და იმავე

შედეგებს იძლევიან; (4) ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან ორმაგი დავალების შესრულებაზე გავლენას არ ახდენენ ისეთი ფაქტორები როგორებიცაა ზოგადი მოტორული ფუნქციონირების დონე და კომორბიდული ფაქტორები.



## Annotation

Attention deficit hyperactivity disorder (ADHD) is one of the most common neurodevelopmental disorder which is characterized by developmentally inappropriate levels of inattention, locomotor hyperactivity and impulsivity. ADHD symptoms manifests at pre-school age, often persist into adulthood, and subsequently influence on social, educational and professional achievement, increase risk for active use of psychoactive substances and developing other neuropsychiatric disorders. It is a serious challenge to diagnose, understand and provide treatment for this developmental disorder.

The results of multiple studies on cognitive domains indicate that ADHD is associated with impaired functions of executive processes. Also it was found that subtypes (predominantly inattentive (ADHD-PI), predominantly hyperactive-impulsive (ADHD-PH) and combined (ADHD-C)) of ADHD defined in accordance to the Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders (DSM-IV-TR) are characterized by different profiles of attention and executive functioning. The validity of differentiating of these subtypes is rather debatable. Some researchers view ADHD subtypes as different disorders with different cognitive, behavioral profiles and underlying neurobiologies. It is still needed to answer the question if the subtypes of the ADHD are distinctive diagnostic entities, or they don't differ from each other on neuropsychological measures. The presented study made contribution in understanding of the differences in cognitive characteristics of different types of ADHD.

The presented study relies on the working memory model proposed by Baddeley (2000, 2012). This model of working memory has not been widely applied to ADHD, so study of ADHD may provide on one hand some independent validation of it and on the other hand will gain our knowledge of cognitive dysfunction of ADHD and its subtypes.

The central executive is the less well studied component of working memory. One of the important functions of it is the ability simultaneously coordinate two tasks. As was shown in several studies the failure of this coordination is a characteristic impairment of patients with mild Alzheimer's disease both in a laboratory setting and in everyday tasks. Dual-task paradigm also proved to be the sensitive tool for detection of cognitive decrement in early stages of vascular dementia patients, in patients with autism and Parkinson's disease, and the test proved useful in differentiating patients with frontal lobe damage from patients with hippocampal damage.

Working memory plays an essential role in the process of cognition and learning during childhood. Dividing of attention is the executive function necessary in majority of everyday and educational tasks. Thus investigation of the dual-task coordination function is necessary for better understanding of normal and pathological functioning of educational abilities and classroom

behavior of healthy children and children with ADHD that is not yet studied extensively. There are very few studies on dual-task performance in children and adolescents with ADHD. In different dual-task studies on ADHD are used different dual-task methods and findings are controversial. In this study were used both computerized and paper and pencil versions of the dual-task paradigm. In majority of dual-task paradigms performance on both individual tasks was not adapted to the individual ability levels of each participant. Only in some studies titration procedure was used just for one task, but not for both of them. This makes difficult to find existence of dual-task deficit in children and adolescents with ADHD and its subtypes in comparison to healthy controls. In the presented study both tasks were titrated on the individual ability level of each subject.

The study aimed to define: the dual-task performance characteristics in healthy children and adolescents on the computerised and the paper and pencil dual-task methods; investigating the ability of dual-task coordination in children and adolescents with ADHD; determining developmental changes of the dual-task coordination in children and adolescents with ADHD in general and in its subtypes in comparison to age, years of education and intelligence level matched healthy controls; investigating whether any increase of the task difficulty in dual-task paradigm would disproportionately affect children and adolescents with ADHD in general and in its subtypes in comparison to age, years of education and intelligence level matched healthy controls; testing if the paper and pencil version of the dual-task method is giving the same results in ADHD, its subtypes and healthy children and adolescents as computerised version of the dual task; investigating whether the general motor functioning and comorbidity factors play a role in determining deficits of the dual-task performance in ADHD in general and in its subtypes in comparison to age, years of education and intelligence level matched healthy controls.

The study investigated dual-task functioning in 6-16 years old 91 typically developing controls and 91 children with ADHD. Participants were recruited from different schools of Tbilisi and the Neurology Department of the Pediatric Clinic of the Tbilisi State Medical University. It was found that: (1) the dual-task coordination is available in children and adolescents with ADHD in general and in its subtypes and not significantly different from performance of age and years of education matched healthy controls; (2) Increase of the task difficulty in dual-task paradigm don't affect disproportionately children and adolescents with ADHD in comparison to age and years of education matched healthy controls; (3) The paper and pencil version of the dual-task method is giving the same results in ADHD and healthy controls as computerised version; (4) The dual-task functioning in ADHD in general and in its subtypes is not defined by the general motor functioning and comorbidity factors.

## ტექსტში გამოყენებული აბრევიატურა

ADHD	Attention Deficit Hyperactivity Disorder	ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი
ADHD-PH	Attention Deficit Hyperactivity Disorder predominantly hyperactive	ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი უპირატესად ჰიპერაქტიური
ADHD-PI	Attention Deficit Hyperactivity Disorder Predominantly inattentive	ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი უპირატესად უყურადღებო
ADHD-C	Attention Deficit Hyperactivity Disorder combined	ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი კომბინირებული
ANOVA	Analysis of variance	დისპერსიული ანალიზი
APA	American Psychiatric Association	ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია
BA	Brodman's Area	ბროდმანის ველი
CBCL	Child behavior checklist	ბავშვთა ქცევის კითხვარი
CD	Conduct disorder	ქცევითი აშლილობა
DA	Dopamine	დოფამინი
DAP	Dialkyl Phosphate	დიალკილ ფოსფატი
DAT	Dopamine transporter	დოფამინის გადამტანი
DBD	Disruptive Behavioral Disorder	ქცევითი დარღვევის შესაფასებელი სკალა
DBH	Dopamine beta hydroxylase	დოფამინ ბეტა ჰიდროქსილაზა
DCD	Developmental Coordination Disorder	განვითარების კოორდინაციის დარღვევა
DLPFC	Dorsolateral Prefrontal Cortex	დორსოლათერალური პრეფრონტალური კორტექსი
DSM-IV-TR	Diagnostic and Statistical Manual-IV-text revision	მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს
EDC	Endocrine-disrupting chemicals	ენდოკრინული სისტემის დარღვევის გამომწვევი ქიმიური ნივთიერებები
FMRI	Functional Magnetic Resonance Imaging	ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია
GABA	Gamma Aminobutyric acid	გამა-ამინო-ერბოს მჟავა
IQ	Intelligence quotient	გონებრივი განვითარების კოეფიციენტი
MABC	Movement Assessment Battery for children	მოტორული ფუნქციონირების შესაფასებელი ბატარეა
MRI	Magnetic Resonance Imaging	მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია
NET	Norepinephrine transporter	ნორადრენალინის გადამტანი
ODD	Oppositional Defiant Disorder	ოპოზიციურ გამომწვევი აშლილობა
PCB	Polychlorinated Biphenyl	პოლიქლორირებული ბიფენილების
PET	Positron Emission	პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია

PSTM	Tomography Phonological Short Term Memory	ფონოლოგიური ხანმოკლე მეხსიერება
SAS	Supervisory Attentional System	ყურადღების სუპერვიზორული სისტემა
SCR	Single Cell Recording	ერთი ნეირონის კვლევის მეთოდი
SCQ	Social Communication Questionnaire	სოციალური კომუნიკაციის კითხვარი
SD	Standard deviation	სტანდარტული გადახრა
SNAP-IV	The Swanson, Nolan and Pelham Teacher and Parent Rating Scale	Swanson-ის, Nolan-ისა და Pelham-ის მასწავლებლისა და მშობლის შესაფასებელი ფორმა
SPSS	Statistical Package for the Social Sciences	სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის
TRF	Teacher's Report Form	მასწავლებლის ანგარიშის ფორმა
VSSTM	Visuospatial Short Term Memory	მხედველობით-სივრცითი ხანმოკლე მეხსიერება
WISC	Wechsler Intelligence scale for children	ვექსლერის ბავშვთა ინტელექტის შესაფასებელი სკალა

## შესავალი

### თემის აქტუალობა:

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) ნეიროგანვითარების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დარღვევას წარმოადგენს, რომელიც ხასიათდება განვითარების თვალსაზრისით შეუსაბამო უყურადღებობით, იმპულსურობითა და ჰიპერაქტიურობით და დიდ სირთულეებს წარმოქმნის ოჯახის წევრებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ზოგადად საზოგადოებისათვის. ADHD საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა და ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე. აღნიშნული დარღვევის სიმპტომები, როგორც წესი, არ ქრება ადრეულ მოზრდილობაში და მისი შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები ანარეკლს პოვენს მოზრდილებთან განათლებისა და შრომის დაბალი მიღწევების წარმოქმნაში და ზრდის მენტალური სფეროს პათოლოგიების წარმოქმნის რისკს.

განხორციელებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ADHD-ის უკავშირდება აღმასრულებლის ფუნქციობის დარღვევები. გამოვლინდა, რომ განსხვავებული ფსიქოლოგიური დავალებებით გაზომილი სხვადასხვა აღმასრულებელი ფუნქციიდან გარკვეული ნაწილი დარღვეულია. აგრეთვე კვლევებმა აჩვენა, რომ DSM-IV-TR-ის თანახმად გამოყოფილი ADHD-ის ქვეტიპები (ADHD-PI, ADHD-PH, ADHD-C), რომელთა ვალიდურობა დღესაც საბოლოოდ გარკვეული არ არის, ყურადღების დეფიციტისა და აღმასრულებელი ფუნქციების განსხვავებული პროფილებით ხასიათდებიან.

მუშა მეხსიერება წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს სხვადასხვა შესაძლო განსაზღვრებით. წარმოდგენილი კვლევა შესრულდა Baddeley-ის მიერ შემოთავაზებულ მუშა მეხსიერების მოდელზე დაყრდნობით, რადგან აღნიშნული მოდელი არ იყო ფართოდ გამოყენებული ADHD-ზე განხორციელებულ კვლევებში. ამდენად, კვლევაში ამ მოდელის გამოყენებამ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ADHD-ის ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი კოგნიტური დისფუნქციების შესახებ. ცენტრალური აღმასრულებელი მუშა მეხსიერების ყველაზე ნაკლებად შესწავლილი კომპონენტია, რომელსაც გააჩნია ორი დავალების სიმულტანური კოორდინაციის უნარი. აღნიშნული უნარი კი, როგორც კვლევების საფუძველზე დადგინდა, დარღვეულია სხვადასხვა

ნევროლოგიური დაავადების დროს და წარმოდგენს სენსიტიურ იარაღს დაავადებათა ადრეულ სტადიაზე გამოვლენისათვის.

ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მიერ ორმაგი დავალების შესრულებაზე მცირე რაოდენობის კვლევა ჩატარებული, რომლებშიც ორმაგი დავალების განსხვავებული მეთოდებია გამოყენებული და რომელთა უმრავლესობაში არ არის გამოყენებული ტიტრაციის პროცედურა, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე კვლევაში. ორმაგი დავალების შესრულებაზე ჩატარებულ წინა კვლევებში გამოყენებული ზოგიერთი ინდივიდუალური დავალება თავისი ბუნებით კომპლექსურია, რადგანაც სხვა კოგნიტური ფუნქციებით არის დატვირთული, ამდენად კვლევის შედეგები ასახავს უფრო ამ კოგნიტური ფუნქციების შესრულების დეფიციტს ვიდრე თვით ორმაგი დავალების შესრულების გაძნელებას. აგრეთვე, აქამდე არ შესწავლილა ორმაგი დავალების პარადიგმის განვითარების ტრაექტორია ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებში, რაც განხორციელებულია წარმოდგენილ კვლევაში და ეს კი აუმჯობესებს ჯანმრთელ პირებში ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციობის თავისებურებების შემეცნებას. კვლევათა უმრავლესობაში გამოყენებული იყო ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია რაც ლოჯისტიკური და პროგრამული თვალსაზრისით მოუხერხებელია და გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. წარმოდგენილ კვლევაში კი შესწავლილია ორმაგი დავალების როგორც კომპიუტერული, ასევე ფურცლისა და ფანქრის ვერსიები. ADHD-ზე განხორციელებულ ბევრ კვლევაში არ ხდებოდა კომორბიდული ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც თავისთავად ხასიათდებიან ცენტრალური აღმასრულებლის დისფუნქციით, ხოლო წარმოდგენილ კვლევაში შესწავლილია კომორბიდული ფაქტორების ზეგავლენა ორმაგი დავალების შესრულებაზე ADHD-ს მქონე და ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან.

აქამდე ჩატარებულ კვლევებში ADHD-სა და ჯანმრთელ საკონტროლო პირებს შორის, აგრეთვე ADHD-ს ქვეტიპებს შორის ორმაგი დავალების შესრულებაში განსხვავებების აღმოჩენას აფერხებდნენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კვლევებში დიდი ასაკობრივი ინტერვალების გამოყენება და მცირე შერჩევების შესწავლა, რისი გათვალისწინებაც შეძლებისდაგვარად მოხდა წინამდებარე კვლევაში.

განხორციელებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ADHD-ის მქონე პირთათვის დამახასიათებელია მოტორული ფუნქციების განვითარებასთან

დაკავშირებული დარღვევები. ამდენად, არსებითია ცენტრალური აღმასრულებელის ფუნქციონირების ცვლილებების შესწავლისას ზოგად მოტორულ ფუნქციონირებაში არსებული დეფიციტის კონტროლი ADHD-ისა და საკონტროლო პირების შესრულებათა შედარებისას, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ კვლევაში.

## **კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები:**

წარმოდგენილი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს მრავალფუნქციური მუშა მესხიერების მოდელის ცენტრალური აღმასრულებელი კომპონენტის ერთ-ერთი ფუნქციის – ორმაგი დავალების კოორდინაციის კვლევა როგორც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის (ADHD) მქონე ბავშვებსა და მოზარდებში, ასევე მის ქვეტიპებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კვლევის ამოცანები. წარდგენილ კვლევაში დასახული იყო:

1. ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის კვლევა ADHD-ის მქონე პირებში:
  - 1.1. ორმაგი დავალების შესრულების მახასიათებლების დადგენა ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებთან ორმაგი დავალების პარადიგმის კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისათვის;
  - 1.2. ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის განვითარებაში შესაძლო ცვლილებების განსაზღვრა როგორც ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
  - 1.3. კვლევა იმისა ახდენს თუ არა დავალების სირთულის დონის გაზრდა არაპროპორციულ ზეგავლენას ორმაგი დავალების შესრულებაზე ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
  - 1.4. ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის შესრულების შედეგების კომპიუტერული ვერსიის შესრულების შედეგებთან შედარება შედეგების იდენტურობის შემოწმების მიზნით როგორც ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;

- 1.5. კვლევა იმისა, განაპირობებს თუ არა ზოგადი მოტორული ფუნქციონირების დეფიციტი ორმაგი დავალების დეფიციტს ADHD-ის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ პირებთან შედარებით.
2. კომორბიდული ფაქტორების (მაგ., ქცევითი აშლილობა, ოპოზიციურ-გამომწვევი აშლილობა) როლის კვლევა ორმაგი დავალების დეფიციტის განსაზღვრაში როგორც ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
3. კოგნიტური ტესტური ბატარეების ადაპტური ვერსიების მომზადება და ნორმების განსაზღვრა ქართული პოპულაციისათვის.

## **ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა**

წარმოდგენილ კვლევაში მიღებულმა შედეგებმა წვლილი შეიტანა ADHD-ის კოგნიტური და ნეირობიოლოგიური ცვლილებების გაგებაში. კვლევამ ხელი შეუწყო ADHD-ისა და მისი ქვეტიპების დიაგნოსტიკური კრიტერიუმების დახვეწას. კვლევაში მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ინოვაციური დიფერენციალური სწავლების სტრატეგიებისა და რეაბილიტაციური პროგრამების შემუშავება ADHD-ისა და მისი ქვეტიპების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რაც გაზრდის როგორც მათ აკადემიურ მოსწრებას, აგრეთვე, საგანმანათლებლო გარემოსთან მათი ადაპტაციის ხარისხს. ADHD-ისა და მისი ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი კოგნიტური დეფიციტის ბუნების უკეთ გაგება ხელს შეუწყობს ახალი სამედიცინო/ფარმაკოლოგიური მიდგომების განვითარებას და შესაბამისად ზოგადად ADHD-ისა და მის ქვეტიპებში არსებული კოგნიტური დარღვევების შემსუბუქებას. კვლევის ფარგლებში მომზადდა კოგნიტური ტესტური ბატარეების ადაპტური ვერსიები და განისაზღვრა ნორმები ქართული პოპულაციისათვის, რაც დღესდღეობით წარმატებით გამოიყენება ქართულ კლინიკებში როგორც პაციენტთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, აგრეთვე მენტალური ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის.



## ნაშრომის აპრობაცია

განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კოლოქვიუმებზე.

## სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:

1. 2010 -Inasaridze K., Bzhalava V. “Dual Task Performance in Children and Adolescents with ADHD”.2<sup>nd</sup> Meeting of Federation of the European Societies of Neuropsychology. Amsterdam, Netherlands.
2. 2010 -Inasaridze K., Bzhalava V. “Dual Task Performance in Children and Adolescents with ADHD”.Neuroplasticity: Nervous Substrate for Health and Disease. ISTC International Scientific Workshop. Tbilisi, Georgia.
3. 2011 – Inasaridze K., Bzhalava V. “Dual task coordination – cognitive ability available in Attention Deficit Hyperactivity Disorder (ADHD)”. First International Congress on Child and Adolescent Psychology (CAP) Cross Cultural and Islamic Approach. Tehran – Shiraz, Iran.
4. 2012 – Inasaridze K., Bzhalava V. “Auditory short-term memory and motor tracking coordination in Attention Deficit Hyperactivity Disorder (ADHD)”. 4<sup>th</sup> International Conference on Auditory Cortex. Lausanne, Switzerland.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 2012 და 2013 წლის ორი კოლოქვიუმი.

## პუბლიკაციები

დისერტაციაში მიღებული ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო ნაშრომებში:

Inasaridze, K., Bzhalava V. Dual Task Performance in Children and Adolescents with ADHD *Behavioral Neurology*, 2010, 23(4), 193-194.

Inasaridze K., Bzhalava V. Dual-task Coordination in Children and Adolescents with Attention Deficit Hyperactivity Disorder (ADHD). *Quantitative Biology*, Cornell University Library, 2011, 2011arXiv1101.1858I.

Bzhalava V & Inasaridze K. Computerised dual task coordination in Attention Deficit Hyperactivity Disorder (ADHD). *Experimental and Clinical Medicine*, 2015, 5, 12-19.

Bzhalava V., Inasaridze K. Disruptive Behavioral Disorder (DBD) rating scale for Georgian Population. *Quantitative Biology*, Cornell University Library, 2017.

## დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა შესაბამისობაშია კვლევაში დასმულ მიზნებსა და ამოცანებთან და შედგება:

- სადისერტაციო ნაშრომის სარჩევისაგან;
- ანოტაციისაგან, რომელიც შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ტექსტში გამოყენებული აბრევიატურის ჩამონათვალისაგან, რომელიც განმარტულია ინგლისურ და ქართულ ენებზე;
- შესავალისაგან, რომელიც მოიცავს ნაშრომის ზოგად დახასიათებას და მიღებული შედეგების აქტუალობასა და სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას;
- სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილისაგან, რომელიც 10 თავს მოიცავს;
- დასკვნითი ნაწილისაგან, რომელშიც მოყვანილია ნაშრომის შემაჯამებელი დასკვნები;
- გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის სრული მოცულობა 152 გვერდს შეადგენს და მოიცავს 4 სურათს, 7 ცხრილს, 10 ნახაზსა და 281 დასახელების ციტირებული ლიტერატურის სიას.

მიმოხილვითი

ნაწილი

# 1. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის (ADHD) კონცეპტი

## 1.1 განმარტება

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) წარმოადგენს ნეიროგანვითარების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დარღვევას, რომელიც ხასიათდება განვითარების თვალსაზრისით შეუსაბამო უყურადღებობით, იმპულსურობითა და ჰიპერაქტიურობით. ADHD წარმოქმნის სერიოზულ პრობლემებს ოჯახის წევრებისათვის (Mash EJ, Johnston C., 1983; Murphy et al., 2001), სკოლებისათვის და ზოგადად, საზოგადოებისათვის. აღნიშნული დარღვევის სიმპტომები როგორც წესი არ ქრება ადრეულ მოზრდილობაში და მისი შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები შესაძლოა იყოს დაბალი პროფესიული სტატუსი, წარუმატებელი სოციალური ურთიერთობები, ფსიქოაქტიური ნივთიერებების აქტიური მოხმარება და ფსიქიატრიული დარღვევების წარმოქმნის გაზრდილი რისკი (Mannuzza et al., 1997; Mannuzza et al., 1998).

დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული აღნიშნული ნეიროგანვითარების დარღვევის როგორც დიაგნოსტირება, ასევე შესაბამისი მკურნალობის განხორციელება. ADHD-ის ფენოტიპის დასახვეწად ჩატარდა უამრავი კვლევა, რომელთა საფუძველზე დადგინდა, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი უკავშირდება აღმასრულებელი ფუნქციონირების დარღვევას (Barkley, 1997b; Pennington et al., 1996; Willcutt et al., 2005; Bental & Tirosh, 2007; Hale et al., 2009; Walshaw et al., 2010; Mullane et al., 2011; Van Rooij et al., 2015). გამოვლინდა, რომ სხვადასხვა აღმასრულებელი ფუნქციიდან, რომლებიც განსხვავებული ფსიქოლოგიური ტესტებით იზომება დარღვეულია შეკავება (inhibition) (Barkley, 1997a; Oosterlaan et al., 1998; Albrecht et al., 2005; Willcutt et al., 2005; Huizenga et al., 2009; Toplak et al., 2009; McAlonan et al., 2009; Depue et al., 2010), გადართვა (shifting) (Kiliç et al., 2007; Müller et al., 2007; Pasini et al., 2007; Marchetta et al., 2008; McAlonan et al., 2009; Toplak et al., 2009; Vloet et al., 2010), მოქნილობა (fluency) (Koziol & Stout, 1992; Geurts et al., 2004; Hurks et al., 2004; Marzocchi et al., 2008; Marchetta et al., 2008; Walshaw et al., 2010; Jacobson et al., 2011), დაგეგმვა (planning) (Oosterlaan et al., 2005; Willcutt et al., 2005; Pasini et al., 2007; Marzocchi et al., 2008; Toplak et

al., 2009; O'Brien et al., 2010), მუშა მეხსიერება (working memory) (Karatekin, 2004; Willcutt et al., 2005; Oosterlaan et al., 2005; Bental & Tirosh, 2007; Marzocchi et al., 2008; Marchetta et al., 2008; Toplak et al., 2009; Walshaw et al., 2010).

## 1.2. ეპიდემიოლოგია

### 1.2.1. პრევალენტურობა

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ეპიდემიოლოგიური ასპექტების გაგება გარკვეულწილად მნიშვნელოვანია როგორც მისი ეტიოლოგიისა და გავრცელების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებისათვის, აგრეთვე ინფორმატიულია მენტალური ჯანმრთელობის სფეროსათვის საჭირო სახსრების გადანაწილების დასაგეგმად. სკოლის ასაკის ბავშვებში პრევალენტურობის მიმართულებით ჩატარებულია კვლევების დიდი რაოდენობა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიღებული შედეგების თვალსაზრისით - შედეგები ცვალებადობს უმცირესი მაჩვენებელიდან (1%) უდიდეს მაჩვენებლამდე (20%) (Faraone et al., 2003). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ვარიაბილურობის მიზეზები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი, არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი ამგვარ განსხვავებას უკავშირებს გეოგრაფიულ და დემოგრაფიულ ფაქტორებს (Rappley, 2005), სხვა მკვლევარები გამოთქვამენ მოსაზრებას დაავადების არათანაბარ გავრცელებაზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, რაც დაკავშირებულია კულტურალურ ფაქტორებთან (Timimi & Taylor, 2004), ექსპერტების ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად ADHD-ის გავრცელების შესახებ მიღებული საპირისპირო მონაცემები დაკავშირებულია განხორციელებულ კვლევებში განსხვავებული დიაგნოსტიკური სისტემებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებასთან (Polanczyk et al., 2007).

მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR) კრიტერიუმების თანახმად მსოფლიო მასშტაბით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად არის გადანაწილებული: 5.29% – დან 7.1%– მდე ბავშვებსა და მოზარდებში, და 3,4 % – ზრდასრულებში (Fayyad et al., 2007; Polanczyk et al., 2007; Willcutt EG., 2012), თუმცა ეს მაჩვენებელი ვარირებს ქვეყნების

მიხედვით. ADHD–ს დიაგნოზის მქონე ბავშვების/მოზარდების დაახლოებით 30–60 % აღნიშნება ამ დარღვევის სიმპტომები ზრდასრულ ასაკშიც. ADHD–თვის აგრეთვე დამახასიათებელია გენდერული განსხვავებები დაავადების სიხშირესა და გამოვლინებებში (Biederman et al., 1999). მაგალითად, ADHD ვაჟებში გვხვდება დაახლოებით სამჯერ უფრო ხშირად გოგონებთან შედარებით (Biederman et al., 2002), ხოლო ქვეტიპების გამოვლინების მიხედვით ვაჟებში უფრო ხშირია ADHD–ს კომბინირებული (ADHD-C) და ჰიპერაქტიურ–იმპულსური (ADHD-PH) ქვეტიპები, ხოლო გოგონებში – უყურადღებო (ADHD-PI) ქვეტიპი (Biederman et al., 2002). თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული გენდერული განსხვავებები შესაძლოა უსაფუძვლოც იყოს (Biederman et al., 2005).

### **1.2.2. ინციდენტურობა**

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ინციდენტურობა განსხვავდება სხვა ნოზოლოგიებისაგან. როგორც წესი, იგი დამოკიდებულია ასაკზე და ახალი შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად ეცემა სწავლების დაწყებითი საფეხურის პირველი წლის დასრულებასთან ერთად. შესაბამისად, პრევალენტურობის და ინციდენტურობის 6 % უნდა ვრცელდებოდეს პირველკლასელებზე რადგან 7–17 წლის ასაკის ბავშვებში ADHD–ის ახალი შემთხვევები არ ვლინდება. რეალურად კი შესაძლოა, რომ ყველა ახალი შემთხვევა პირველივე კლასში არ გამოვლინდეს, ასევე სავარაუდოა ზოგიერთი ADHD–ის მქონე ბავშვის გამოჯანმრთელება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალი შემთხვევები შესაძლებელია გამოვლინდეს სწავლების დაწყებითი საფეხურის მომდევნო წლებშიც.

## **1.3. ADHD–ს ეტიოლოგია**

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის წარმოშობის მიზეზები დღემდე დაუდგენელია, თუმცა სავარაუდოა მისი კავშირი გენეტიკურ და გარემო ფაქტორებთან.

### **1.3.1 გენეტიკური ფაქტორები**

ADHD–ის სიმპტომების ისევე, როგორც სხვა მენტალური დაავადებების, განვითარებაში მრავალი გენია ჩართული (Faraone et al., 2005; Wallis et al., 2008;

Banaschewski et al., 2010). კვლევათა უმრავლესობაში გამოვლენილია კატეჟოლამინერგულ გადაცემაში ჩართული მოლეკულების – დოფამინისა (DA) და დოფამინის რეცეპტორების (D1, D5 და D4) (Sunohara et al., 2000; Kustanovich et al., 2004; Shahin et al., 2015), დოფამინისა (DAT) (Fernández-Jaén et al., 2015; van Rooij et al., 2015) და ნორეპინეფრინის (NET) (Vanicek et al., 2014; Hohmann et al., 2015) გადამტანების, ალფა-2 ადრენორეცეპტორისა (Park et al., 2013; Kawaura et al., 2014) და ფერმენტ დოფამინ-ბეტა-ჰიდროქსილაზის (DBH) (Kwon & lim, 2013; Tong et al., 2015) კოდირებაში მონაწილე გენების პოლიმორფიზმები. ზოგიერთ კვლევაში აღმოჩენილია კავშირი კატაბოლურ ენზიმთან, მონოამინ ოქსიდაზასა და სეროტონერგულ გენებთან (Faraone et al., 2005). კვლევები ტარდება ADHD-ის გენოტიპისა და მასთან დაკავშირებული სიმპტომოლოგიის აღმოჩენაზე. მაგალითად, DBH-ის მაკოდირებელი გენის ვარიაცია დაკავშირებულია აღმასრულებლის ფუნქციონირებასა და ყურადღების შენარჩუნების უნართან (Bellgrove et al., 2006, Kieling et al., 2007). აღნიშნული კვლევები ძირითადად მიუთითებენ პრეფრონტალური კორტექსის წრეების (რომლებიც ჩართულნი არიან ყურადღებისა და ქცევების რეგულირებაში) დისფუნქციაზე.

### 1.3.2. გარემო ფაქტორები

გესტაციური პერიოდის გართულებები და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი წარმოადგენენ მთავარ გარემო ფაქტორებს, რომლებიც ADHD-ის განვითარებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ორსულობის დროს ალკოჰოლის მიღება გამოხატულად უარყოფითად მოქმედებს ნაყოფზე - იწვევს ADHD-ის უპირატესად უყურადღებო ქვეტიპისათვის დამახასიათებელი სიმპტომების განვითარებას ( Williams, Ross., 2007 Burger et al., 2011), ისევე როგორც დედის მიერ პრენატალურ პერიოდში თამბაქოსა (Mick et al., 2002; Kotimaa et al., 2003; Neuman et al., 2007) და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ნივთიერებების ნეგატიური მოქმედება დამოკიდებულია როგორც დედის ასაკთან, ასევე სხვა რისკ ფაქტორების ურთიერთქმედებასთან. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტყვიისა და ენდოკრინული სისტემის ფუნქციონირების დამრღვევი ქიმიური ნაერთების (EDCs) – პოლიქლორირებული ბიფენილების (PCBs) კავშირი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის სიმპტომების განვითარებასთან, რომელთა მცირე

რაოდენობით შემცველობაც კი, ფოსფორგანული ინსექტიციდების – ქლორპირიფოსისა და დიალკილფოსფატისაგან (DAP) განსხვავებით, რომელთა ზემოქმედება ADHD-ის სიმპტომების განვითარებაზე ჯერ კიდევ საეჭვოა, იწვევს ბავშვებში აღნიშნული დარღვევის ნიშნებს (Eubiget al., 2011; De Cock et al., 2012).

#### 1.4. დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

ADHD-ის მქონე ბავშვები/მოზარდები ხასიათდებიან სიმპტომების ჰეტეროგენულობით, რაც დიაგნოსტიკის თვალსაზრისით გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (Nigg et al. 2006; Nigg 2006b; Nigg & Nikolas, 2008). ADHD-თვის ყველაზე გავრცელებული სადიაგნოსტიკო სკალა წარმოდგენილია მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მე-4 გამოცემაში (DSM-IV-TR), რომელიც შედგება 18 პუნქტისაგან, სიმპტომები წარმოდგენილია 2 ჯგუფად (თითოეულში 9 პუნქტია მოცემული) და გამოყოფილია ADHD-ის სამი ქვეტიპი. ADHD-ის უპირატესად უყურადღებო ქვეტიპის (ADHD-PI) დიაგნოსტიკისათვის საჭიროა სულ მცირე 6 პუნქტი იყოს წარმოდგენილი ქვემოთ ჩამოთვლილი უყურადღებო-დეზორგანიზებული სიმპტომების ჯგუფიდან:

- უჭირს ერთ საკითხზე ყურადღების კონცენტრირება და მალე გადადის ერთი საქმიანობიდან მეორეზე;
- უჭირს რუტინული დავალებების შესრულება;
- ხშირად შთაბეჭდილებას ტოვებს რომ არ უსმენს მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ მას ელაპარაკებიან;
- ხშირად კარგავს ნივთებს;
- ერთდროულად იწყებს რამდენიმე აქტივობას და ვერ ასრულებს მათ ბოლომდე;
- უჭირს სკოლისა თუ საშინაო დავალების ბოლომდე შესრულება;
- ხშირად თავს არიდებს, არ მოსწონს ან არ სურს შეასრულოს დავალებები, სადაც ფსიქიკური ძალისხმევაა საჭირო;
- ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან გულმავიწყია;
- იოლად გადაეხრება (ეფანტება) ყურადღება გარეშე სტიმულების ზეგავლენით.



უპირატესად ჰიპერაქტიურ-იმპულსური (ADHD-PH) ქვეტიპის გამოსაყოფად აუცილებელია სულ მცირე 6 პუნქტი იყოს წარმოდგენილი ქვემოთ ჩამოთვლილი ჰიპერაქტიურ-იმპულსური სიმპტომების ჯგუფიდან:

- ხშირად მოუსვენრად ამოდრავებს ხელებს/ფეხებს, იკლაკნება, ცქმუტავს ჯდომის დროს;
- ტოვებს თავის ადგილს და გადაადგილდება მთელს საკლასო ოთახში;
- სიტუაციისადმი შეუსაბამოდ დარბის და დაძვრება ყველგან;
- სულ მოძრაობაშია, თითქოს მუდმივი ძალა ამოქმედებს;
- არ ელოდება თავის რიგს;
- ხშირად უძნელდება მშვიდად თამაში, ან გასართობი აქტივობის შესრულება;
- ხშირად წამოიძახებს პასუხებს შეკითხვის დასრულებამდე;
- ხშირად იჭრება სხვების აქტივობაში, ან აწყვეტინებს სხვებს თამაშსა და საუბარს.

ბოლო კომბინირებული ქვეტიპისათვის (ADHD-C) სულ მცირე 6 პუნქტი უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული ზემოთ ხსენებული ორი ჯგუფიდან). სიმპტომების გამოყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ხშირად მეორდება, წარმოდგენილია ბოლო ექვსი თვის მანძილზე და შეუსაბამოა ინდივიდის განვითარების ეტაპისათვის. გასათვალისწინებელია, რომ ADHD-ის დიაგნოზის დასმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე სიმპტომი მაინც იყო წარმოდგენილი 7 წლამდე, ვლინდება სხვადასხვა გარემოში, იწვევს სოციალურ, სასკოლო ან სამუშაო გარემოში ფუნქციონის მნიშვნელოვან დაქვეითებას.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დეფიციტის მქონე ბავშვების/მოზარდების დაახლოებით 2/3-თან აღინიშნება ერთი ან რამდენიმე თანმხლები, კომორბიდული აშლილობა. ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც გააჩნიათ კომორბიდული დარღვევები აქვთ უფრო დაბალი ცხოვრების ხარისხი ვიდრე იმ ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც არ გააჩნიათ რომელიმე კომორბიდული აშლილობა (Classi et al., 2012). ევროპის ქვეყნებში ბავშვებზე/მოზარდებზე (n=1478; ასაკის საშუალო მაჩვენებელი გოგოებისთვის იყო 8.8 წელი, ხოლო ბიჭებისთვის 9.0 წელი) ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ კომორბიდული დარღვევებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება ოპოზიციურ გამომწვევი

ქცევითი აშლილობა (oppositional defiant disorder) (67%) და ქცევითი აშლილობა (conduct disorder) (46%), შფოთვა (44%), მოტორული კოორდინაციის პრობლემები (33%) და დეპრესია (32%) (Steinhausen et al., 2006). აშშ-ს ADHD-ის მქონე ზრდასრულ პოპულაციაზე (n=3199) ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა, რომ კომორბიდული დარღვევებიდან მეტად გავრცელებულია სოციალური (29,3%) და სპეციფიური (22,7%) ფობიები, ბიპოლარული დარღვევები (19,4%), დეპრესიული აშლილობა (18,6%), ხასიათობრივი და იმპულსური აშლილობები (19,6%) და ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დარღვევები (15,2%) (Kessler et al., 2006). ADHD-ის მქონე მოზარდებში შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი კვების დარღვევები, ძილის დარღვევები, სწავლის უნარის დაქვეითება (learning disability), ეპილეფსია, ცელიაკია და ა.შ. კომორბიდულობა წარმოადგენს ADHD-ის წარმოშობის მექანიზმების ინტერპრეტაციის სირთულესთან დაკავშირებულ კიდევ ერთ ფაქტორს.

## 1.5. ADHD-ის ქვეტიპები

მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR, APA, 2000) თანახმად გამოყოფენ ADHD-ის სამ ქვეტიპს: ADHD-ის კომბინირებული ქვეტიპი (ADHD-C), უპირატესად ჰიპერაქტიურ/იმპულსური ქვეტიპი (ADHD-PH) და უპირატესად უყურადღებო ქვეტიპი (ADHD-PI). ამ ქვეტიპების გამოყოფის ვალიდურობა ჯერაც საკამათოა (Barkley et al., 1999; Milich et al., 2001). ზოგიერთი მკვლევარი განიხილავს ADHD-ის ქვეტიპებს როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებულ დარღვევებს, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული კოგნიტური, ქცევითი პროფილები და ნეირობიოლოგიური საფუძველი გააჩნიათ (Diamond, 2005). Barkley-ის ADHD-ის მოდელის მიხედვით აღმასრულებელი ფუნქციების დარღვევა დამახასიათებელია მხოლოდ ADHD-C და ADHD-PH ქვეტიპებისათვის. ADHD-ის ქვეტიპების ერთმანეთისაგან განსხვავების შესახებ წინააღმდეგობრივი შედეგები არსებობს. ზოგიერთ კვლევაში განსხვავებები გამოვლინდა ADHD-PH და ADHD-PI ქვეტიპებს შორის (Milich et al., 2001; Geurts et al., 2005; Goth-Owens et al., 2010, Shuai et al., 2011), რაც სხვა კვლევებში მიღებული შედეგებით არ დადასტურდა (Barkley et al., 1992; Faraone et al., 1998; Chhabildas et al.,

2001; Murphy et al., 2001; Wodka et al., 2008; Mullane et al., 2011; Di Trani et al., 2011). ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ არა მხოლოდ ADHD-C და ADHD-PH ქვეტიპებისათვის არის დამახასიათებელი აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტი, არამედ ADHD-PI-თვისაც (Schwenck et al., 2009; O'Brien et al., 2010; Di Trani et al., 2011) და ADHD-ს ქვეტიპები ხასიათდება აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტით განსხვავებული პროფილებით (Klorman et al., 1999; Lockwood et al., 2001; Nigg et al., 2002; Geurts et al., 2005; Schwenck et al., 2009). ჯერაც პასუხია გასაცემი კითხვაზე წარმოადგენენ თუ არა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ქვეტიპები განსხვავებულ დიაგნოსტიკურ ერთეულებს, თუ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან ნეიროფსიქოლოგიური საზომების თვალსაზრისით. აგრეთვე, გაურკვეველია რომელი აღმასრულებელი ფუნქციაა დეფიციტური ADHD-ის თითოეულ ქვეტიპისათვის. წარმოდგენილმა კვლევამ გარკვეული წვლილი შეიტანა ADHD-ის ქვეტიპების კოგნიტურ მახასიათებლებს შორის არსებული განსხვავებების გაგებაში.

## **1.6. ADHD-ის ნეირობიოლოგია**

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი წარმოადგენს კომპლექსურ დარღვევას, რომელიც ხასიათდება ქცევითი სიმპტომების ჰეტეროგენულობითა და თავის ტვინის სხვადასხვა ფუნქციებისა და სტრუქტურების დისფუნქციით). მიუხედავად იმისა, რომ ADHD-ის ნეიროფსიქოლოგიური, ნეიროანატომიური და ნეიროქიმიური ბაზისის შესასწავლად უამრავი კვლევა განხორციელებული, ჯერ კიდევ უცნობია მისი წარმოშობის ზუსტი მიზეზები.

### **1.6.1. თავის ტვინის სტრუქტურული ცვლილებები ADHD-ის დროს**

თავის ტვინის ნეიროვიზუალიზაციის მეთოდებით კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ADHD-ის მქონე პირებში აღინიშნება თავის ტვინის ტოტალური მოცულობის რედუქცია (Castellanos et al., 1996b; Castellanos et al., 2003; Hill et al., 2003; Greven et al., 2015). გარდა ამისა ADHD-ის პათოლოგიაში ჩართულია: პრეფრონტალური კორტიკალური უბნები (განსაკუთრებით მარჯვენა პრეფრონტალური ქერქი), ბაზალური განგლიები (კერძოდ, კუდიანი ბირთვი), ნათხემი (კერძოდ, ჭიის (vermis) VIII-X წილაკები და კორდიანი სხეული (კერძოდ, მუხლი) (Swanson & Castellanos, 2002), რომლებიც რედუცირებული აღმოჩნდა. ზოგიერთ კვლევაში აღწერილია რუხი და

თეთრი ნივთიერების რედუცირება (Castellanos et al., 2002; Mostofsky et al., 2002), რაც შესაძლოა არც იყოს ADHD-ის პათოგნომური ნიშანი, მაგრამ ასახავდეს ნეიროგანვითარების კერძოდ, სინაპტოგენეზის (მიელინიზაცია და სინაპსური ჩამოჭრა (pruning)) დარღვევას (Berger et al., 2007).

**პრეფრონტალური კორტიკალური უბნებიდან** ADHD-ისათვის რელევანტურია დისფუნქცია დორსოლატერალური პრეფრონტალური ქერქი (დაკავშირებულია მუშა მეხსიერებასთან ან/და დაგეგმარების უნართან), ორბიტო-ფრონტალური კორტექსი (ასოცირებულია შეუსაბამო ქმედებების შეკავების უნართან), და წინა სარტყლისებური ქერქი (anterior cingulate cortex) (დაკავშირებულია როგორც ემოციურ, აგრეთვე კოგნიტურ კონტროლთან). აღნიშნული სტრუქტურები მჭიდრო ურთიერთკავშირშია როგორც სხვა კორტიკალურ უბნებთან, ასევე ძირითადი ქერქვემა სტრუქტურების ფუნქციურ სისტემებთან, რომელთა ნერვული წრეების საშუალებითაც პრეფრონტალური სტრუქტურები ჩართულია ემოციების რეგულაციაში, აღმასრულებლის ფუნქციებში, ქცევის დროის თვალსაზრისით ორგანიზაციაში, მოტივაციური პასუხების ფორმირებაში, სოციალურ მსჯელობებსა და მოტორულ კონტროლში, რომლებიც შესაძლებელია ჩართული იყოს თითქმის ყველა ტიპის ფსიქოპათოლოგიაში და მათ შორის ADHD-ის სიმპტომების ფორმირებაში. პრეფრონტალური მიდამო წარმოადგენს გრძელბოჭკოვანი დოფამინური პროექციების მნიშვნელოვან სამიზნეს. ADHD-ის მქონე ბავშვების MRI კვლევებმა გამოავლინა აღნიშნული მიდამოს მარჯვენა ინფერიორული პრეფრონტალური კორტექსის (inferior prefrontal cortex) როგორც სტრუქტურული ასევე ფუნქციური დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია შეკავების რეაქციების და კოგნიტური კონტროლის გაძნელებასთან (Casey et al., 1997; Rubia, 1999).

**კუდიანი ბირთვი** წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრუქტურას ADHD-ის ფსიქოპათოლოგიაში. აღნიშნულ სტრუქტურაზე ჩატარებულ ყველა კვლევაში გამოვლინდა მისი მოცულობის შემცირება, რაც ასაკთან ერთად ნორმის ფარგლებს უბრუნდება (Castellanos et al., 2002). აღნიშნული პროცესი მიუთითებს ამ დარღვევაში ნეიროგანვითარების და განვითარების დინამიკის ასპექტების არსებობაზე.

**ჩენჩოზე (Putamen)** ჩატარებულ კვლევათა უმრავლესობაში არ გამოვლინდა სანდო განსხვავება საკონტროლო პირებსა და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პაციენტებს შორის, თუმცა Mous-მა და მისმა კოლეგებმა გამოავლინეს ADHD-ის უპირატესად ყურადღებო და ჰიპერაქტიურ/იმპულსური ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი სიმპტომების კავშირი ჩენჩოს უმნიშვნელოდ შემცირებულ ზომებთან (Mous et al., 2015).

**მკრთალი ბირთვის (globus pallidus)** კვლევის შედეგად მკვლევარების რამდენიმე ჯგუფმა გამოავლინა განსხვავება საკონტროლო ჯგუფსა და ADHD-ის მქონე პირებს შორის, რომელიც გამოიხატებოდა მკრთალი ბირთვის შემცირებულ ზომებში ნორმასთან შედარებით (Castellanos et al., 1996).

**ნათხეში (cerebellum)** წარმოადგენს მკვრივ კომპლექსურ სტრუქტურას, რომელსაც უამრავი პროექციები აქვს ბაზალურ განგლიებსა და პრეფრონტალურ მიდამოებზე. მასზე ჩატარებული რამდენიმე კვლევის შედეგად ADHD-ის მქონე პირებსა და საკონტროლო ჯგუფებს შორის, გამოვლინდა სანდო განსხვავება. აღმოჩნდა, რომ ADHD-ის მქონე პირებს საკონტროლო ჯგუფთან შედარებით უფრო მცირე მოცულობის ჭია (vermis) (VIII-X წილაკები) აქვთ (Castellanos et al 2002; Phillips et al., 2015). გარდა ამისა ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე (2-14 წლების განმავლობაში) განხორციელებული ლონგიტუდური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მათთან აღნიშნული სტრუქტურა ნეიროგანვითარების თვალსაზრისით არ ხასიათდება ასაკთან შესაბამისი პროგრესით (Mackie et al., 2008).

**კორძიან სხეულზე** ჩატარებული კვლევების შედეგები ორაზროვანია. ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან კორძიანი სხეულის ზომების დასადგენად განხორციელებული ექსპერიმენტების ნაწილში გამოვლინდა, რომ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით ADHD-ის მქონე ბიჭებში როსტრუმის და როსტრალური სხეულის და სპლენიუმის ზომები შემცირებულია (Giedd et al., 1994). ზოგიერთ კვლევაში გამოვლენილია ზოგადად კორძიანი სხეულის შემცირებული ზომები სქესის ეფექტის გარეშე (Hill et al., 2003), ზოგში კი აღინიშნება სქესის ზეგავლენა – გოგოებში სპლენიუმის, ხოლო ბიჭებში როსტრალური სხეულის შემცირებული ზომების არსებობით (Hutchinson et al., 2008). კვლევათა ნაწილმა არ აჩვენა ჯანმრთელ

საკონტროლო და ADHD-ის მქონე პირებს შორის განსხვავება აღნიშნული სტრუქტურის კვლევისას (Castellanos et al., 1996; McNally et al., 2010). კვლევათა შედეგებს შორის არსებული განსხვავებების მიზეზი შესაძლოა იყოს ADHD-ისთან ერთდროულად თანმხლები კომორბიდული აშლილობების არსებობა.


### 1.6.2. თავის ტვინის ფიზიოლოგიური ცვლილებები ADHD-ის დროს

ADHD-ის მქონე ბავშვებთან, მოზარდებთან და ზრდასრულ პირებთან პათოფიზიოლოგიური მექანიზმების გამოსავლენად ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს ფრონტალური უბნების აქტივაციის სანდო რედუქცია, რომელიც წინა სარტყლისებურ, დორსოლატერალურ პრეფრონტალურსა და ინფერიორულ პრეფრონტალურ კორტიკალურ უბნებსა და მათთან დაკავშირებულ ბაზალურ განგლიებს, თალამუსსა და თხემის წილის უბნებს მოიცავს (Dickstein SG et al., 2006). გარდა ამისა, ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებში აღინიშნება თავის ტვინის პასიურ რეჟიმში მუშაობის დროს ჩართული ნეირონული ქსელის (default mode network) ატიპიური აქტივაცია (Fair et al., 2010).

### 1.6.3. თავის ტვინის ნეიროქიმიური ცვლილებები ADHD-ის დროს

მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ნეიროქიმიური ცვლილებების შესასწავლად მრავალი კვლევაა ჩატარებული ჯერაც დაუდგენელია მათი წარმოშობის ზუსტი ბუნება, მაგრამ არსებობს მტკიცებულებები ფრონტოსტრიატალური წრისა და მეზოაქუმბეალური წრეების დოფამინის დისფუნქციის (Swanson et al. 2007, Volkow et al. 2009), და ანომალური ნორადრენერგული ტრანსმისიის (Brennan & Arnsten 2008) შესახებ. დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულად ითვლება მოლეკულური *in vivo* ვიზუალიზირების და ფარმაკოლოგიური კვლევების შედეგად დასაბუთებული ჰიპოდოფამინერგული თეორია. დოფამინის დარღვეული ნეიროტრანსმისია საფუძვლად ედება ADHD-ის უყურადღებობისა და იმპულსურობის სიმპტომებს. Volkow-ის მტკიცებულებით ADHD-სათვის დამახასიათებელი დაჯილდოვების/მოტივაციის დეფიციტი შესაძლოა განპირობებული იყოს დოფამინის მეზოაქუმბეალური გზების დისფუნქციით, რაც ვლინდება დოფამინის D2/D3 რეცეპტორებისა და DAT-ის ნორმასთან შედარებით

ADHD-ის პათოფიზიოლოგიაში ჩართული ფუნქციონალური წრეები



- ფრონტალური კორტექსი
- პარიეტალური (თხემის) კორტექსი
- სუპლემენტარული მოტორული კორტექსი (SMA)
- აქუმბეალური ბირთვი
- თალამუსი
- ბაზალური განგლია
- ნათხემი (Cerebellum)
- ფრონტო-ცერებელარული კავშირები
- ფრონტო-სტრიატალური კავშირები
- აღმასრულებლის ფუნქციონებაში ჩართული კავშირები
- ყურადღების პროცესებში ჩართული კავშირები

შემცირებული რაოდენობით, ხოლო ამგვარი დეფიციტი ძირითადად დამახასიათებელია ADHD-ის უყურადღებო სიმპტომებისთვის (Volkow et al. 2009).

გამოვლენილია დოფამინის ტრანსპორტერების მაინჰიბირებელი ფსიქოსტიმულანტების (უპირატესად მეთილფენიდატისა და ამფეტამინის) მოქმედების დადებითი ზეგავლენა აღნიშნული დარღვევის მქონე პირების მოტივაციურ, მოტორულ და კოგნიტურ სფეროებზე ექსტრაცელულარული დოფამინის რაოდენობის ზრდის ფონზე (Russel., 2003; Sagvolden and Sergeunt., 1998; Madras et al. 2005; Pliszka, 2005).

მკვლევარების მიერ შემოთავაზებულია სხვა თეორიებიც. მაგალითად, ზოგიერთ კვლევაში გამოვლინდა კატექოლამინერგული გადაცემის დისფუნქცია, რომელიც წარმოადგენს ADHD-ის კოგნიტური ცვლილებების საფუძველს (Vaidya & Stollstorff 2008). ADHD-ის პათოლოგიაში ჩართულია პრეფრონტალური კორტექსი და სტრიატუმი, სადაც კატექოლამინერგული სისტემების მიერ გლუტამინერგული და GABA-ერგული ნეიროტრანსმიტერების გამოთავისუფლების მოდულირება ხდება (Brennan and Arnsten, 2008). თავის ტვინის ზემოაღნიშნულ სტრუქტურებში კატექოლამინერგული ტრანსპორტერები (დოფამინი და ნორეპინეფრინი) მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ დოფამინის ტრანსმისიაზე. შესაბამისად, ADHD-ის სამკურნალოდ ეფექტური აღმოჩნდა ნორეპინეფრინის გადამტანის მაინჰიბირებელი პრეპარატის – ატომოქსეტინის გამოყენება, რომელიც პრეფრონტალურ კორტექსში აკავებს დოფამინის უკუმიტაცებას.

ამდენად, შეუძლებელია ADHD-ის ნეიროქიმიური ბაზისი განპირობებული იყოს მხოლოდ სინაფსური კატექოლამინების დეფიციტით ან სიჭარბით. უფრო მართებული იქნება მისი დაკავშირება ნეიროტრანსმიტერულ სისტემებს შორის ურთიერთქმედების ცვლილებებთან.



## 2. ADHD-ს ნეიროფსიქოლოგია

ADHD-ის ნეიროფსიქოლოგიური დეფიციტების გამოსავლენად მრავალი კვლევაა ჩატარებული, რომლებიც აღნიშნული დარღვევის მქონე პირებში კოგნიტურ დისფუნქციას მრავალფეროვნებაზე მიუთითებენ (Seidman, 2006; Golgstein et al., 2008; Nikolas et al., 2013; Hulst et al., 2015; Sonuga-Barke et al., 2014; Peskin et al., 2015). შესაბამისად კონკრეტული სფეროების გამოყოფა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული და საჭიროებს ამ მიმართულებით უფრო დეტალური კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირების სხვადასხვა ნეიროფსიქოლოგიური ფუნქციის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ADHD-ის ნეიროკოგნიტური მექანიზმები შესაძლოა განპირობებული იყოს ისეთი ფუნქციონალური კოგნიტური სფეროების დისფუნქციით, როგორებიცაა: ყურადღება, კოგნიტური კონტროლი (აღმასრულებელი ფუნქციები), მოტივაცია, მოტორული კონტროლი და დროის პერცეფცია/განცდა (timing), აგრეთვე მეტყველება და მეხსიერება (Nigg., 2005; Sonuga-Barke et al., 2010; Noreika et al., 2013; Orban et al., 2014). დარღვევები ზემოაღნიშნულ სფეროებში ნაწილობრივ გადაფარავენ ერთმანეთს, თუმცა ჩატარებულია კვლევები, რომლებიც მიუთითებენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებში/მოზარდებში მეტნაკლებად გამოკვეთილი ნეიროფსიქოლოგიურად განსხვავებული ქვეტიპების არსებობაზე (Solanto et al. 2001; Sonuga-Barke et al. 2010; Fair et al. 2012; Zeeuw et al. 2012; Robertset al. 2013; Sjöwall et al. 2013; Hulst et al. 2014;). ამდენად, ჩამოთვლილი სფეროები შესაძლოა ასახავს სიმპტომების წარმოშობის განსხვავებულ გზებს ნეირობიოლოგიურ დონეზე, სადაც თავის ტვინის ცალკეული სისტემები დამოუკიდებლად განაპირობებენ ADHD-ის ქცევით ფენოტიპს (Nigg & Casey, 2005; Sonuga-Barke, 2005; Cortese et al. 2012; Rossi et al., 2015).

**ყურადღება** მოიაზრება ყველა აღმასრულებელი ფუნქციის განუყოფელ კომპონენტად და მისი დარღვევა წარმოადგენს ყველაზე თვალსაჩინო დეფიციტს ADHD-ის ნეიროკოგნიტური მექანიზმების შეფასებისას. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირებზე ჩატარებული კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ყურადღებასთან დაკავშირებულ ისეთ პროცესებზე როგორებიცაა:

ორიენტაცია/სიფრთხილე, სელექციური/კონცენტრირებული ყურადღება, გაყოფილი ყურადღება და სიფხიზლე/დაყოფილების შენარჩუნება, რომლებსაც პრეფრონტალური ქერქის სხვადასხვა ბოჭკოების კონების ფუნქციობა უდევს საფუძვლად (Wu et al., 2014; Chiang et al., 2015; Rossi et al., 2015). ხშირად ამ დარღვევის მქონე ბავშვები/მოზარდები ვერ უთმობენ სათანადო ყურადღებას დავალებების შესრულებას და ვერ ახდენენ ყურადღების შეჩერებას დიდხანს ერთ დავალებაზე. მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და კლინიკისტებისათვის გაუგებარია თუ როგორ ახერხებენ აღნიშნული დარღვევის მქონე ბავშვები/მოზარდები რამდენიმე საათი გადაბმულად კომპიუტერული თამაშებით გართობას, როდესაც რამდენიმე წუთიც კი არ შეუძლიათ ყურადღების ფოკუსირება საშინაო დავალების შესრულებაზე. აღწერილი ორი განსხვავებული ქცევა შესაძლოა აიხსნას იმით, რომ ყურადღება წარმოადგენს კომპლექსურ კოგნიტურ პროცესს, რომელიც მოიცავს პერცეპტული სელექციურობის (ფოკუსირება), ყურადღების გადამხრელი ფაქტორის იგნორირების და სიფხიზლის შენარჩუნების უნარებს. ყურადღების ზემოაღნიშნულ პროცესებზე ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ ADHD-ის მქონე ბავშვების/მოზარდების დაახლოებით 33–35%-თან გამოვლენილია სიფხიზლის/ყურადღების შენარჩუნების დეფიციტი (Grane et al., 2014), ხოლო ორიენტაციის/სიფრთხილის პროცესები შედარებით ინტაქტურია, სელექტიურობის/ფოკუსირების და გაყოფილი ყურადღების პროცესებზე განხორციელებული კვლევების შედეგები კი ორაზროვანია.

**კოგნიტური კონტროლი (აღმასრულებელი ფუნქციები)** მოიაზრებს მრავალი კომპონენტის, მათ შორის მუშა მეხსიერების, შეკავების, დაგეგმვის, მოქნილობის, გადართვის და სხვა ფუნქციობას, რომლებიც მონაწილეობენ ქცევების, აზრებისა და ემოციების მიზანმიმართულ კონტროლში (დადამავალი კონტროლი) და რომელთა შესახებ ჯერაც არ არსებობს მეცნიერების ერთიანი მოსაზრება (Nigg, 2006; Marcovitch & Zelazo 2009). აღმასრულებელი ფუნქციების ძირითადი კომპონენტებია შეკავება (ყურადღებისა და აზრების კონტროლის, და აგრეთვე ავტომატიზებული ან დომინანტური პასუხების კონტროლის შესაძლებლობა), მოქნილობა (ყურადღების კონცენტრაციის გადანაცვლება და განსხვავებული პერსპექტივების განხილვის შესაძლებლობა) და მუშა მეხსიერება (გონებაში ინფორმაციის შენახვისა და მანიპულირების შესაძლებლობა). კომპლექსური აღმასრულებელი ფუნქციები კი

მოიცავენ ისეთ უნარებს, როგორებიცაა დაგეგმვა, მსჯელობა, პრობლემების გადაჭრა და სხვ. (Diamond, 2013). აღმასრულებლის ფუნქციობა ინდივიდს დასახული მიზნისათვის განსახორციელებელი ნაბიჯების დაგეგმვის, მიზნის განხორციელებამდე საჭირო ნაბიჯების გონებაში შენახვის, წარმოებული მოქმედებების პროგრესის მონიტორინგისა და საჭიროების შემთხვევაში ნაბიჯების კორექტირების (კოგნიტური მოქნილობა) საშუალებას აძლევს (Diamond, 2013). კოგნიტური კონტროლის ფუნქციობა ბავშვებში/მოზარდებში, მათი ასაკიდან გამომდინარე, გამოიხატება მაგალითად გაკვეთილის მსვლელობის დროს ყურადღების შენარჩუნებაში მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სხვა ბავშვები გარეთ თამაშობენ; აგრეთვე გუნდურ თამაშებში მინიჭებული როლის შესრულებაში, საკუთარი რიგის დალოდების უნარში, სკოლიდან სახლში საშინაო დავალების მიტანაში, ვახშამის ლოდინისას წახემსებაზე უარის თქმაში და სხვ. კოგნიტური კონტროლის უნარი მცირეწლოვან ბავშვებში ვლინდება ჩანასახოვან ფორმაში (მაგ., აკრძალული ტკბილეულისათვის თვალის არიდებაში როდესაც ის ბავშვის თვალთახედვის არეშია ან სასურველ და ამავე დროს აკრძალულ სათამაშოზე ფიქრის აღსაკვეთად სანაცვლოდ სიმღერის წამოწყებაში), მნიშვნელოვნად ვითარდება 4-7 წლის პერიოდში და იხვეწება ადრეულ ზრდასრულობამდე.

ზოგიერთი ავტორის თანახმად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირების მხოლოდ დაახლოებით 50%-თან ვლინდება აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტი (Lambek et al., 2011), ხოლო მკვლევარების გარკვეული ნაწილის თანახმად ADHD-ის მქონე პაციენტებში დარღვევები აღმასრულებლის ფუნქციობაში არ აღმოჩნდა (Saboya et al., 2009). მკვლევარების გარკვეული ნაწილი მიუთითებს აღმასრულებლის ფუნქციობის დარღვევებზე ADHD-ის მხოლოდ უპირატესად ჰიპერაქტიურ-იმპულსურ (ADHD-PH) და კომბინირებულ (ADHD-C) ქვეტიპებში (Barkley., 1997b), თუმცა ამ მიმართულებით ჩატარებულ Song-ისა და Hakoda-ს კვლევაში ნათლად ჩანს, რომ აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტი ვლინდება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის უპირატესად უყურადღებო (ADHD-PI) ქვეტიპშიც (Song & Hakoda, 2014). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ მიმართულებით განხორციელებული მრავალი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომთან დაკავშირებული აღმასრულებელი ფუნქციებიდან დარღვეულია

უპირატესად შეკავების/პასუხის შეკავების უნარი (Barkley, 1997a; Oosterlaan et al., 1998; Albrecht et al., 2005; Willcutt et al., 2005; Huizenga et al., 2009; Toplak et al., 2009; McAlonan et al., 2009; Depue et al., 2010; Song & Hakoda, 2011; Sjöwall et al., 2013; Menezes et al., 2015), რომელიც წარმოადგენს შეუსაბამო ქცევების/პასუხების შეკავების/ჩახშობისა და რელევანტური ქცევების/პასუხების შერჩევის შესაძლებლობას და რომლის ფუნქციობაშიც სავარაუდოდ ჩართულია ფრონტოსტრიატული და ფრონტოსუბთალამური წრეები (Aron, 2011; Casey et al., 2011). შეკავების უნარი თვითკონტროლის (Muraven & Baumeister, 2000), ემოციური რეგულირებისა (Wehmeier et al., 2010) და კოგნიტური მოქნილობის (Arbuthnott & Frank, 2000) პრერეკვიზიტს წარმოადგენს. პასუხების შეკავებისა და სელექციის უნარი მიზანმიმართული ქცევის განსახორციელებლად საჭირო წამყვან ფაქტორს წარმოადგენს, ამდენად მისი ADHD-თან კავშირი ძალზედ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ არა მარტო შეკავება, არამედ სხვა აღმასრულებელი ფუნქციებიც გამოირჩევიან ატიპიურობით ADHD-ის მქონე ბავშვებში/მოზარდებში. მაგალითად, ADHD-ის მქონე პირებში დარღვეული აღმოჩნდა კოგნიტური მოქნილობის უნარი, რომელიც მოიცავს **გადართვას** (გამოვლენილია ADHD-ის მქონე პირების დაახლოებით 25%-35%-თან), რაც წარმოადგენს ყურადღების ერთი დავალებიდან მეორეზე გადართვის და განსხვავებულ სიტუაციებში სწრაფი და ეფექტური ადაპტირების უნარს (Kiliç et al., 2007; Kray et al., 2012; Müller et al., 2007; Orban et al., 2014; Pasini et al., 2007; Marchetta et al., 2008; McAlonan et al., 2009; Titz & Karbach., 2014; Toplak et al., 2009; Vloet et al., 2010), **დაგეგმვას** (Oosterlaan et al., 2005; Willcutt et al., 2005; Pasini et al., 2007; Marzocchi et al., 2008; Toplak et al., 2009; O'Brien et al., 2010; Shimoni et al., 2012; Boyer et al., 2014; Mary et al., 2015), რომელიც მოიცავს პროცესებს, რომლებიც ჩართულნი არიან დასახული მიზნის მისაღწევი თანმიმდევრული მოქმედებებისა და აზრების ფორმულირებაში, შეფასებასა და შერჩევაში. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირებში ატიპიური აღმოჩნდა მუშა მეხსიერების ფუნქციობა (Karatekin, 2004; Willcutt et al., 2005; Oosterlaan et al., 2005; Bental & Tirosh, 2007; Marzocchi et al., 2008; Marchetta et al., 2008; Toplak et al., 2009; Walshaw et al., 2010; Bunford et al., 2015), რომელიც შეზღუდული მოცულობის მრავალკომპონენტური სისტემას წარმოადგენს და ინდივიდის მიზანმიმართული ქცევის განსახორციელებელი ინფორმაციის შენახვასა და გადამუშავებას უზრუნველყოფს (Baddeley, 2012). ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ADHD-ის მქონე

ბავშვები/მოზარდები ავლენენ დარღვევების ფართო სპექტრს მუშა მეხსიერების კომპონენტების ფუნქციონირებაში (ცენტრალური აღმასრულებელი), რომელთა ტვინოვანი მექანიზმები ძირითადად თავის ტვინის ფრონტალური და პრეფრონტალური მიდამოების მოქმედებას უკავშირდება (Kasper, et al 2012). საყურადღებოა, რომ მუშა მეხსიერების კომპონენტების დისფუნქცია შესაძლოა საფუძვლად ედოს ADHD-ის მქონე პირების ჰიპერაქტიურობის, უყურადღებობისა (Burgess et al., 2010) და იმპულსურობის (Rapport et al., 2009) სიმპტომებს და მათ სოციალურ პრობლემებს (Bunford et al., 2015). ADHD-ის მქონე ბავშვებთან/მოზარდებთან განხორციელებული კვლევების უმრავლესობაში გამოვლენილია მუშა მეხსიერების აღმასრულებელი კომპონენტის დისფუნქცია (Kasper et al., 2012; Rapport et al., 2013). შესაბამისად, ამ მიმართულებით განხორციელებულმა აქტიურმა ინტერვენციამ შესაძლებელია გააუმჯობესოს მუშა მეხსიერების აღნიშნული კომპონენტის ფუნქციონირება და ზოგადად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირების ცხოვრების ხარისხი (Titz & Karbach., 2014; Karbach et al., 2015).

### 3. ADHD–ის თეორიული მოდელები

კლინიკური კვლევების ძირითად მიზანს წარმოადგენს არსებული დარღვევის დიაგნოსტიკისა და ეფექტური მკურნალობის მეთოდების დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევებში იყენებენ თეორიულ მოდელებს. დღესდღეობით ADHD–ის რამდენიმე მოდელი არსებობს: გადავადების მიუღებლობის მოდელი (Delay Aversion model), ქცევითი შეკავების/აქტივაციის მოდელი (Behavioral Inhibition/Activation model), შეკავების მოდელი (Inhibition model), ინტეგრირებული კოგნიტური და ემოციური მოდელი (Integrated Affective and Cognitive model) კოგნიტურ–ენერგეტიკული მოდელი (Cognitive-Energetic model) და განვითარების მოდელი (Developmental model), რომლებიც შესაძლოა განვიხილოთ როგორც განმარტების შესაძლებლობის სიძლიერის კონტინუუმის ვარიაციურობა – ზოგიერთი უფრო მეტად ყოვლისმომცველია ზოგი კი შედარებით ზედაპირული. მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით თუ რომელი კოგნიტური პროცესია მიჩნეული ADHD–ის დროს არსებული დარღვევის ახსნისათვის საჭირო გასაღებად. ასე, ADHD–ის „დაღმავალი“ მოდელების უმთავრესი კონცეპტი – აღმასრულებელი ფუნქციებია, მეორე კონცეპტი – მუშა მეხსიერება, მესამე – ყურადღება, მეოთხე კი - შეკავება. თუმცა, აღსანიშნავია რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ტერმინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან.

#### 3.1. გადავადების მიუღებლობის მოდელი

აღნიშნული მოდელის თანახმად ADHD–ის მქონე პირებს არ შეუძლიათ ან არ სურთ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების გადადება. Sonuga-Barke–მ და მისმა კოლეგებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ როდესაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები დიდი მაგრამ გადავადებული და მცირე და დაუყოვნებლივი დაჯილდოვების არჩევანის წინაშე დგანან, უპირატესობას დაუყოვნებლივ მცირე დაჯილდოვებას ანიჭებენ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კავშირშია შესასრულებელი დავალების დროის შემცირებასთან (Sonuga-Barke et al., 1992). იმ შემთხვევაში როდესაც ექსპერიმენტატორი დავალების ხანგრძლივობას ცვლიდა ADHD–ის მქონე ბავშვები უფრო დიდ გადავადებულ დაჯილდოვებას ელოდებოდნენ. შედეგად Sonuga-Barke–მ დაასკვნა, რომ ADHD–ის მქონე ბავშვებს აქვთ გადავადების მიუღებლობის პრობლემა, მაგრამ არ

ხასიათებიან შეკავების დარღვევით. მოგვიანებით აღნიშნული პოზიცია შეიცვალა, რადგან გამოვლინდა, რომ გადავადების მიუღებლობისა და შეკავების მოდელები ADHD-ის სიმპტომატიკაში შესაძლოა წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ვარიანტებს (Solanto et al., 2001). შედეგად ჩამოყალიბდა ორი ნერვული გზის მოდელი, რომელშიც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი ორ ქვეტიპად არის განხილული, რომლებშიც ADHD სინდრომი ერთი მხრივ შეკავების კონტროლის დაქვეითებით გამოწვეულ ქცევისა და აზროვნების დისრეგულაციას წარმოადგენს, რაც დაკავშირებულია დოფამინური სისტემის მეზოკორტიკალური ბოჭკოების პრეფრონტალურ ქერქში პროექციებზე, მეორე მხრივ კი მოტივაციური ტიპით, რომელიც დოფამინური სისტემის მეზოლიმბურ ტრაქტს უკავშირდება, რომელიც ასოცირდება აქუმბეალურ ბირთვთან (nucleus accumbens) (Sonuga-Barke, 2005). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ გადავადების მიუღებლობის განახლებულ მოდელში არ არის აღწერილი თუ როგორ განსხვავდება ან გასხვავდება თუ არა ADHD ოპოზიციურ-გამომწვევი ან ქცევითი აშლილობისაგან.

### 3.2 ქცევითი შეკავების/ აქტივაციის მოდელი

ქცევითი შეკავების/აქტივაციის ADHD მოდელის თანახმად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის დამახასიათებელია ქცევითი შეკავების სისტემის დაბალი აქტივაცია და ქცევითი აქტივირების სისტემის ჰიპერაქტივაცია (Quay 1993, Quay 1988). Gray-ის თანახმად ქცევითი შეკავების სისტემა მოიცავს სუბტოპიპოკამპურ სივრცესა და მის პროექციებს ფრონტალურ ქერქზე (Gray, 1982). აღნიშნული სისტემა სუბიექტს სიგნალს აძლევს იმის შესახებ თუ რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს მას დასჯის თუ დაჯილდოვების. Iaboni-ისა და მისი კოლეგების მიერ წარმოებულ ექსპერიმენტში აღმოჩნდა, რომ საკონტროლო პირებისაგან განსხვავებით, ADHD-ის მქონე პირებში არ ვლინდება აგზნების ჩახშობის ეფექტი, რაც ქცევითი შეკავების სისტემის დაბალი აქტივაციაზე მიუთითებს (Iaboni et al., 1997), რომელიც დაკავშირებულია ცისფერ ლაქაში (locus coeruleus) ნორეპინეფრინის გამოყოფის შემცირებასთან (Gray, 1982).

ქცევითი აქტივაციის სისტემა აძლევს სუბიექტს სიგნალს იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს ორგანიზმი რაიმე კონკრეტული დავალების შესრულების

დროს. ADHD–ის მქონე ბავშვები დაჯილდოვების სტიმულზე ავლენენ უფრო სწრაფ გულისცემის ჰაბიტუაციას, რაც მიუთითებს ქცევითი აქტივაციის სისტემის ჰიპერაქტივაციაზე.

ქცევითი შეკავების/აქტივაციის მოდელის თანახმად ADHD–ის, ODD და CD საერთო აქვთ შეუკავებლობის დეფიციტი. ამდენად, ეს მოდელი ზემოაღნიშნულ დარღვევებს ერთ ჯგუფად განიხილავს ქცევითი შეკავებისა და ქცევითი აქტივაციის სისტემებს შორის ბალანსის თვალსაზრისით. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის არსებობისას უმაღლესი კოგნიტური პროცესების მიმდინარეობაში დარღვევების ახსნის თვალსაზრისით ქცევითი შეკავების/აქტივაციის მოდელი მნიშვნელოვანი მოსაზრებების წყაროს წარმოადგენს.

### 3.3 შეკავების მოდელი

შეკავების თეორიული მოდელის თანახმად ADHD–ის მქონე ბავშვებში არსებული დარღვევების მიზეზი შეკავების კონტროლის დეფიციტია (Barkley, 1997b). Barkley–ის თანახმად ADHD–ის დროს ქცევითი შეკავების მექანიზმის დისფუნქცია, რომელიც ცხოვრების ადრეულ ეტაპზე წარმოიქმნება, საფუძვლად ედება სხვა კოგნიტური პროცესების ფუნქციობას, რადგან აღმასრულებელი პროცესების განვითარება ხდება მხოლოდ მოტორული შეკავების პერიოდში. კოგნიტური ფუნქციებიდან ავტორი გამოყოფს: ა) მუშა მეხსიერებას, რომელიც მნიშვნელოვანია მიმდინარე ინფორმაციის დასახსომებლად, ამავდროულად წარსულში მომხდარ რელევანტურ მოვლენებთან დასაკავშირებლად და საბოლოო ჯამში სამომავლო მოქმედებების დასაგეგმად; ბ) აფექტის თვითრეგულაციას, რომელიც მოიცავს როგორც ემოციების გამომჟღავნების შენელების (ემოციური ფონის კონტროლის მიზნით), ასევე საჭიროების შემთხვევაში მოტივაციის ამაღლების შესაძლებლობას (მაგ., რუტინული დავალების შესრულების დროს); გ) ინტერიორიზებულ მეტყველებას, რომელიც აადვილებს სოციალურად მისაღები ქცევების განსახორციელებელი წესების ორიენტირის სახით გამოყენებასა და ამოცანების ამოხსნისას სტრატეგიების გამოყენებას; და დ) რეკონსტიტუციას, რომელიც მაღალ დონეზე აზროვნების შესაძლებლობას მოიაზრებს, კერძოდ, ანალიზის, სინთეზისა და კრეატიულობის შესაძლებლობა.



აღმასრულებელი ფუნქციების საბოლოო შედეგს მოტორული კონტროლი და მიზანმიმართული ქცევა წარმოადგენს, რომელიც საბოლოოდ მეტად ხანგრძლივი, რთული და ადაპტური ხდება. Barkley-ის მოსაზრებით ზემოაღწერილ 4 კომპონენტთაგან თითოეულისათვის დამახასიათებელია განვითარების ინდივიდუალური ტრაექტორია. მაგალითად, მეტყველებასთან დაკავშირებული კომპონენტები სხვა სფეროებთან შედარებით მოგვიანებით ვითარდებიან.

### 3.4. ინტეგრირებული კოგნიტური და ემოციური მოდელი

Barkley-ის თეორიული კონსტრუქტისაგან განსხვავებულ მოდელს წარმოადგენს Nigg-ისა და Casey-ის მიერ შემოთავაზებული მოდელი (Nigg & Casey, 2005), რომელშიც ინტეგრირებულია ADHD-თან ასოცირებული კოგნიტური და ემოციური ფუნქციების დეფიციტი როგორც ნეირონატომიურ, ასევე ბიჰევიორულ დონეზე.

მოდელის თანახმად კოგნიტური კონტროლი და აქტიური ყურადღების სისტემა, რომელიც დარღვეულია ADHD-ის დროს მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს:

- ფრონტოსტრიალურ და ფრონტოცერებელარულ ქვესისტემებს – მიმდინარე მოვლენების ვარაუდების დეტექცია და პროგნოზირება (რა და როდის);
- ფრონტამიგდალური ქვესისტემა – მოვლენის ემოციური მნიშვნელობის მარკირება.

ავტორების თანახმად ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქვესისტემაში არსებულმა დარღვევებმა შესაძლოა გამოიწვიოს ADHD-ის მსგავსი სიმპტომები. მაგალითად, ფრონტოსტრიალური და ფრონტოცერებელური ქვესისტემების დისფუნქცია იწვევს დარღვევებს კოგნიტურ კონტროლში, რაც თავის მხრივ განაპირობებს თვითრეგულაციის განვითარების დარღვევებს, რომლებიც ძირითადად ვლინდება უყურადღებო და არაორგანიზებული ქცევების სახით (მაგ., ADHD-ის უპირატესად უყურადღებო ქვეტიპი). Nigg-ისა და Casey-ის მოდელში აღწერილია აფექტური პროცესებისა და ტემპერამენტის როლი იმპულსური ქცევის განვითარებაში. ავტორების მოსაზრებით ფრონტამიგდალური ქვესისტემების ჰიპერაქტიურობა განაპირობებს სუბიექტის მიერ დაუფიქრებელი ექსტრემალური ქცევების განხორციელებას, რაც თავის მხრივ მიუთითებს თვითკონტროლისა და სოციალური უნარების დარღვევებზე, რომლებიც ასოცირებულია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის

სინდრომთან. ამ მოდელში აღწერილია ამიგდალოფრონტალური ქვესისტემის ჰიპოაქტივაცია რომელიც ვლინდება სუბიექტში შიშის შეგრძნების უქონლობისა და აგრესიის სახით, რაც ემოციურ დისრეგულაციას, ემპათიის არარსებობასა და სოციალური წესების მიმართ დაუმორჩილებლობას იწვევს. აღწერილი სიმპტომების პროფილი ასოცირდება უმთავრესად ADHD-ის თანმხლებ ოპოზიციურ-გამომწვევ (ODD) ან/და ქცევით აშლილობასთან (CD). ინტეგრირებული კოგნიტური და ემოციური მოდელის ავტორების თანახმად ზემოაღწერილ რომელიმე ქვესისტემაში არსებულმა დარღვევებმა შესაძლოა გამოიწვიოს სიმპტომები, რომლებიც დაკავშირებულია ADHD-ის კომბინირებულ ქვეტიპთან (ADHD-C) და კომორბიდობასთან (ODD ან CD).

### 3.5. კოგნიტურ-ენერგეტიკული მოდელი

Sergeant-ისა და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებულ კოგნიტურ-ენერგეტიკულ მოდელში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგეტიკულ ფაქტორსა და რესურსების გადანაწილების შესაძლებლობას, რომელთა დეფიციტი მათი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ADHD-ის დროს. აღნიშნული მოდელის თანახმად ენერგეტიკული რესურსების უკმარისობა ედება საფუძვლად როგორც დაღმავალი რეგულაციის მექანიზმების (top-down) აქტივობის დარღვევას, რომელიც ნებიითი ყურადღების შენარჩუნებისა და შეკავების დეფიციტს იწვევს აღმავალი აქტივაციის მექანიზმების (bottom-up) დაქვეითებას, რასაც ყურადღების განლევა და ფლუკტუაცია მოსდევს. Sergeant-ის აზრით, ADHD-ის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის დამახასიათებელი ქცევების შეუკავებლობა წარმოადგენს ზემოაღწერილ დეფიციტთა შედეგს.

Sergeant-ის კოგნიტურ-ენერგეტიკული მოდელი მოიცავს სამ კომპონენტს: (1) კოგნიტურ მექანიზმებს, (2) ენერგეტიკულ საცავებსა და (3) მართვით/აღმასრულებელ ფუნქციებს (Sergeant, 2005).

კოგნიტური მექანიზმები მოიცავენ დაბალი დონის კოგნიტურ აქტებს, რომლებიც ოთხი საფეხურისაგან შედგება: კოდირება, ძიება, გადაწყვეტილება და მოტორული ორგანიზაცია. მოდელის მეორე დონე მოიცავს სამ ენერგეტიკულ საცავს – ძალისხმევას, სიფხიზლეს/დაყურადებას და აქტივაციას. ძალისხმევა გულისხმობს მოცემული დავალების შესასრულებლად საჭირო ენერგიას. ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ

ძალისხმევაზე ვარიაბილურია და დამოკიდებულია კოგნიტურ დატვირთვაზე. აღნიშნული საცავი საჭიროა მაშინ, როდესაც ორგანიზმის მდგომარეობა არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა მოცემული დავალების შესასრულებლად. მეორე საცავს სიფხიზლე/დაყურადება წარმოადგენს და ის განიხილება როგორც ფაზური პასუხი, რომელიც დროებით მიმართულია სტიმულის დამუშავებაზე. კოგნიტურ-ენერგეტიკული მოდელი მოიცავს მესამე დონეს – მართვით ან აღმასრულებელ ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია დაგეგმვასთან, მონიტორინგთან, შეცდომების აღმოჩენასა და მათ კორექციასთან.

ინფორმაციის გადამუშავების აღწერილი სამი დონე ჩართულია როგორც ADHD-ის სინდრომში, ასევე სხვა დარღვევებში. გარდა მრავალჯერადად დასაბუთებული აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტისა, რომლებიც დამახასიათებელია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომისათვის, ავტორის მტკიცებულებით ძალისხმევა და განსაკუთრებით ენერგეტიკული საცავების აქტივაცია დაკავშირებულია ქცევით შეკავებასთან. ამდენად ADHD-ის მქონე ბავშვების ქცევითი შეუკავებლობის მიზეზი შესაძლოა იყოს ამ მექანიზმების დისფუნქცია.

### **3.6. განვითარების მოდელი**

Halperin-ისა და Schulz-ის (Halperin & Schulz, 2006) მიერ შემოთავაზებულია განვითარების მოდელი, რომლის მიხედვით ADHD წარმოადგენს არაკორტიკალურ ნერვულ დისფუნქციას, რომელიც სუბიექტის ადრეული ონტოგენეზის პროცესში ვლინდება და უცვლელი რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. მოდელის თანახმად აღმასრულებელი ფუნქციების დეფიციტი ასოცირებულია არა პრეფრონტალური ქერქის წრის დისფუნქციასთან, არამედ მეორეულად განპირობებული სუბკორტიკალური მარეგულირებელი სისტემების დისფუნქციით. კონცეპტის თანახმად პრეფრონტალური კორტექსის წრე შესაძლოა ჩართული იყოს დარღვევის აღდგენით და არა პათოფიზიოლოგიურ მექანიზმში.

## 4. მუშა მეხსიერება

მუშა მეხსიერება თანამედროვე კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი კონსტრუქტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპლექსურ კოგნიციაში. იგი წარმოადგენს ყურადღების კონტროლის ქვეშ მყოფ დროებით საცავს, რომლის მოცულობა მნიშვნელოვანია კომპლექსური აზროვნებისათვის. საგაზეთო სტატიის კითხვა, მაღაზიასა თუ რესტორანში გაწეული მომსახურების შესაბამისი თანხის დაჯამება, ახალი სავარძლის დასადგმელად გონებაში ავეჯის გადაადგილება და შესაბამისი ადგილის პოვნა და ა.შ. წარმოადგენენ ყოველდღიურ კოგნიტურ ამოცანებს, რომელთა წარმატებით განსახორციელებლად ხშირად საჭიროა მრავალი ნაბიჯისაგან შემდგარი შუალედური შედეგების დროებითი შენახვა. მუშა მეხსიერება წარმოადგენს თეორიულ კონსტრუქტს, რომელიც კოგნიტურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება სისტემების ან მექანიზმების აღსანიშნავად, რომლებიც საფუძვლად ედება კოგნიტური დავალების შესრულებისას რელევანტური ინფორმაციის შენარჩუნებას. იგი წარმოადგენს კოგნიტური ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ნეირომეცნიერების მთავარ კონსტრუქტს (Miyake & Shah, 1999).

ტერმინი „მუშა მეხსიერება“ რთული ცნებაა სხვადასხვა შესაძლო განსაზღვრებით (მაგ., დამოკიდებულია იმაზე კვლევები ტარდება ადამიანებზე თუ ცხოველებზე, ან მუშა მეხსიერების გამოყენებულ მოდელზე). კოგნიტური ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით ქცევით ნეირომეცნიერებასა და ცხოველთა ქცევით სფეროებში მუშა მეხსიერებას აქვს სპეციფიკური ოპერანტული განმარტება.

გარდა ამისა, ზოგჯერ ვერ ხერხდება მუშა მეხსიერების ხანმოკლე მეხსიერებისაგან მკვეთრი გამიჯვნა. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით ზემოაღნიშნული ორი ცნება ერთმანეთის ექვივალენტურია (Miyake & Shah, 1999) და შესაძლოა მუშა მეხსიერების კონცეპტმა ტრადიციული ხანმოკლე მეხსიერების კონცეპტი შეცვალა. მიუხედავად ამისა ზემოაღნიშნული ტერმინები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (Baddeley, 2012). ხანმოკლე მეხსიერება წარმოადგენს დროის თვალსაზრისით ინფორმაციის მცირე მოცულობის პასიურ საცავს. ვერბალური ხანმოკლე მეხსიერების შემთხვევაში ეს შესაძლოა იყოს მაგალითად ტელეფონის ნომრის დამახსოვრება ზარის განხორციელებამდე, ხოლო ვიზუალური ხანმოკლე მეხსიერების შემთხვევაში კი

წიგნის კითხვის გაგრძელება იმ გვერდიდან, რომელზეც მკითხველი დროებით შეჩერდა. ხანმოკლე მეხსიერებისაგან განსხვავებით მუშა მეხსიერება წარმოადგენს როგორც პასიურ – ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის პასიურ საცავს და ამ ინფორმაციის აქტიურ მენტალურ მანიპულირებას. ამგვარად ხანმოკლე მეხსიერება მუშა მეხსიერების ერთ–ერთ ფუნქციას წარმოადგენს.

წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა Baddeley-ის (Baddeley, 2000; Baddeley, 2012) მიერ შეთავაზებულ მუშა მეხსიერების მოდელს. აღნიშნული მოდელი არ არის ფართოდ გამოყენებული ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის კვლევაში. ამდენად კვლევაში მუშა მეხსიერების ამ მოდელის გამოყენებამ ერთის მხრივ უზრუნველყო ამ მოდელის დამოუკიდებელი ვალიდაცია, ხოლო მეორეს მხრივ გაამდიდრა ცოდნა ADHD-ს ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი კოგნიტური დისფუნქციების შესახებ.

Baddeley-ის მოდელის თანახმად მუშა მეხსიერება მოიცავს კოგნიციის რამდენიმე სპეციალიზირებულ კომპონენტს, რომლებიც მოიცავენ როგორც კონტროლის სისტემას (ცენტრალურ აღმასრულებელს) ასევე სპეციალიზირებულ დროებითი მეხსიერების სისტემებს – ფონოლოგიურ საცავს (ფონოლოგიური კვანძი), მხედველობით–სივრცით საცავს (მხედველობით–სივრცითი მონახაზის ჩამწერი) და ეპიზოდურ ბუფერს. მეხსიერების კვალის აქტიურ შენარჩუნებას უზრუნველყოფენ აღნიშნული სპეციალიზირებული დროითი საცავის ფუნქციის მქონე მეხსიერების სისტემები – ფონოლოგიური კვანძი, რომელიც მეტყველების წარმოქმნაში მონაწილეობს, მხედველობით–სივრცითი მონახაზის ჩამწერი, რომელიც სავარაუდოდ მოქმედებების ან/და წარმოსახვების წარმოქმნის მომზადებაშია ჩართული განმეორების მექანიზმების, აღქმის საშუალებით და ეპიზოდური ბუფერი, რომელიც აკავშირებს ამ ორ სისტემაში მყოფ ინფორმაციას ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებულ ინფორმაციასთან. ცენტრალური აღმასრულებელი თავის მხრივ ჩართულია მუშა მეხსიერების სისტემის კონტროლსა და რეგულაციაში. მისი ფუნქციები განისაზღვრება როგორც დაქვემდებარებული სისტემების კოორდინაციაში და ყურადღების კონცენტრაცია და გადართვაში და ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებული წარმოსახვითი ხატების აქტივაციაში. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აღმასრულებელი არ ასრულებს დროებითი საცავის ფუნქციას. მუშა მეხსიერების აღნიშნული კომპონენტი

მონაწილეობს როგორც ხანგრძლივი მეხსიერებიდან კატეგორიების, პროცედურების და სხვა ინფორმაციის დროებით საცავებში ამოტანაში, ასევე დაქვემდებარებული სისტემების ურთიერთკოორდინაციაში. გარდა ამისა, მისი მოქმედების მექანიზმი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის შესაძლებლობით განისაზღვრება.


Baddeley-ისა და Hitch-ის (1974) მიერ შეთავაზებული მუშა მეხსიერების სქემატური მოდელი (სურ. 2) მოიცავდა ცენტრალურ აღმასრულებელსა და ორ დაქვემდებარებულ სისტემას – ფონოლოგიურ კვანძსა და მხედველობით-სივრცითი მონახაზის ჩამწერს. დროთა განმავლობაში აღნიშნული მოდელი იხვეწებოდა (Baddeley, 2000; Baddeley 2007). დღესდღეობით კი Baddeley-ის მიერ შეთავაზებული მრავალკომპონენტური მუშა მეხსიერების კოგნიტური მოდელი (Baddeley, 2012), რომელიც არ წარმოადგენს მრავალკომპონენტური მუშა მეხსიერების საბოლოო ვარიანტს, რადგან მოდელის დასახვეწად კვლავ მიმდინარეობს აქტიური კვლევები, მოიცავს ცენტრალურ აღმასრულებელს (ყურადღების კონტროლის ცენტრი), ეპიზოდურ ბუფერს (წარმოადგენს შეზღუდული მოცულობის მქონე საცავს, რომელშიც მუშა მეხსიერების სხვა კომპონენტებიდან შემოსული ინფორმაციის ერთიან ეპიზოდებად ინტეგრირდება) და ორ დაქვემდებარებულ სისტემას – მხედველობით-სივრცითი მონახაზის ჩამწერს (ოპერირებს მხედველობით ან/და სივრცით ინფორმაციით) და ფონოლოგიურ კვანძს (ოპერირებს აუდიტორულ ინფორმაციით) (სურ. 3). გარდა ამისა აღნიშნულ მოდელში აღწერილია მუშა მეხსიერების კავშირი ხანგრძლივ მეხსიერებასა და აღქმასთან (Baddeley, 2007; Baddeley, 2012), რომელიც ხორციელდება ეპიზოდური ბუფერის მეშვეობით, სადაც ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებული ცოდნისა და გამოცდილების ახლად მიღებულ ცოდნასთან/გამოცდილებასთან დაკავშირება ხდება. ამდენად მუშა მეხსიერება ააქტიურებს ხანგრძლივ მეხსიერებასთან დაკავშირებულ თავის ტვინის მრავალ უბანს. გარდა ამისა Baddeley-ის მუშა მეხსიერების მრავალკომპონენტური მოდელში ნაჩვენებია ეპიზოდური ბუფერისა და ქემორეცეპტორებიდან შემოსული ინფორმაციის სავარაუდო კავშირი (Baddeley, 2012)

აღსანიშნავია მუშა მეხსიერების ფუნქციონის თავისებურებები ასაკთან მიმართებაში. მაგალითად, Michalczyk-ისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულ მუშა მეხსიერების კვლევაში (კვლევა განხორციელდა 5–12 წლამდე ასაკის 1669 ბავშვზე)



სურათი 1. Baddeley-ის Hitch-ის მუშა მეხსიერების მოდელი (1974)

Baddeley-ის მუშა მეხსიერების მოდელი (2012). მსმჩ: მხედველობით – სივრცითი მონახაზის ჩამწერი





აღმოაჩინეს სამივე კომპონენტის (კვლევა ეფუძნებოდა Baddeley-ის მუშა მეხსიერების 1986 წლის მოდელს) უცვლელი სახით როგორც არსებობა, ასევე ურთიერთკავშირიც (Michalczyk et al., 2013). Gathercole-მა კოლეგებთან ერთად იკვლია განვითარებასთან დაკავშირებული მუშა მეხსიერების კომპონენტების მოცულობების ცვლილებები (კვლევა ტარდებოდა 4–15 წლის ასაკობრივ დიაპაზონზე). გამოვლინდა როგორც მუშა მეხსიერების კომპონენტების ფუნქციონის პროგრესული გაუმჯობესება, რომელიც კორელირებს ასაკის მატებასთან, ასევე მისი სტრუქტურული მუდმივობა (Gathercole et al., 2004). მოცულობის ზრდასთან დაკავშირებული ცვლილებები შესაძლოა იყოს გამოწვეული მრავალი ფაქტორის ზეგავლენით, მაგრამ უმთავრესი კი სავარაუდოდ შუბლ-თხემის წილში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებია (თავის ტვინის სტრუქტურების მომწიფება), რასაც ადასტურებს Tamnes-ისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევა (Tamnes et al., 2013).

#### 4.1. ფონოლოგიური კვანძი

მუშა მეხსიერების ერთ-ერთი კომპონენტი – ფონოლოგიური კვანძი, რომელიც მუშა მეხსიერებას ექვემდებარება, ვინაიდან მას არ გააჩნია გადაწყვეტილებების მიღებისა და ყურადღების კონტროლის არანაირი პოტენციალი, ვერბალური ინფორმაციის (სავარაუდოდ, აკუსტიკური ინფორმაციის) სპეციალიზებულ საცავს წარმოადგენს, რომელიც სავარაუდოდ მუშა მეხსიერების დანარჩენ სტრუქტურებთან შედარებით ყველაზე განვითარებულსა და დეტალურად შესწავლილ კომპონენტს წარმოადგენს, რაც შესაძლოა რამდენიმე მარტივი საკვლევი ინსტრუმენტის (მაგ., ფონოლოგიური მსგავსების, სიტყვების სიგრძის ეფექტი და სხვ.) ხელმისაწვდომობამ განაპირობა (Baddeley, 2007; Baddeley, 2012). ფონოლოგიური კვანძი მოსმენილი ინფორმაციის დროებით საცავს წარმოადგენს და მოიაზრება როგორც „ფონოლოგიურ ხანმოკლე მეხსიერებაზე“ (PSTM) პასუხისმგებელი საცავი. იგი წარმოადგენს ინდივიდის მიერ მოსმენილი ინფორმაციის დროის ხანმოკლე პერიოდით დახსომების უნარს. აღნიშნული სტრუქტურის ფუნქციონის შესასწავლად მრავალი კვლევა ჩატარდა. მაგალითად, Conrad-ისა და მისი კოლეგის მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელშიც ცდისპირებს ევალებოდათ გარკვეული ფონოლოგიური ელემენტების მოკლე

ჩამონათვალის ზუსტი თანმიმდევრობით აღდგენა, რომელთაგან ზოგიერთი თანმიმდევრობა ფონოლოგიურად მსგავსი იყო (მაგ., B, G, V, P, T) ზოგი კი განსხვავდებოდა (მაგ., Y, W, H, K, R) აღმოჩნდა, რომ მსგავსი ჟღერადობის მქონე თანმიმდევრობის დამახსოვრება განსხვავებულთან შედარებით გაცილებით რთულია, რადგან ფონოლოგიური კვანძი წარმოადგენს მცირე მოცულობის მქონე ვერბალური ინფორმაციის საცავს, ხოლო მსგავსი ჟღერადობის მქონე ვერბალური ელემენტების მეხსიერების კვალი ხასიათდება მსგავსი თვისებებით რაც აძნელებს დახსომებული ინფორმაციის სრულად აღდგენას, რაც ცალკეულ ელემენტებს შორის სუსტი დისკრიმინაციით არის განპირობებული (Conrad & Hull., 1964). აღწერილი ფენომენი მრავალჯერ იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა მკვლევარის მიერ და ცნობილია როგორც „ფონოლოგიური მსგავსების ეფექტი“ (აგრეთვე გამოიყენება ტერმინები „ფონემური მსგავსების ეფექტი“ და „აკუსტიკური მსგავსების ეფექტი“).

Baddeley–სა და მისი კოლეგების მიერ (Baddeley et al., 1975; Baddeley et al., 1984a) ჩატარდა კვლევა ფონოლოგიურ ხანმოკლე მეხსიერებაში არსებული, რეალურ დროში მოქმედი ვერბალური განმეორების მექანიზმის არსებობის დასამტკიცებლად, რომელიც ცნობილია როგორც „სიტყვის სიგრძის ეფექტი“ (word length effect). აღნიშნულ კვლევაში ცდისპირებს ევალეობდათ მათთვის შეთავაზებული ხუთი სიტყვის იგივე თანმიმდევრობით გახსენება. ერთ შემთხვევაში ხუთივე წარდგენილი სიტყვიდან ყველა ერთმარცვლიანი იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში სიტყვები მარცვლების განსხვავებული რაოდენობისაგან შედგებოდა (1–დან 5–მდე). მკვლევართა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ცდისპირები უკეთ ასრულებდნენ მოკლე სიტყვებისაგან შემდგარ დავალებებს, და ამის გათვალისწინებით ამ ფენომენს ეწოდა „სიტყვის სიგრძის ეფექტი“. მეცნიერთა აზრით აღნიშნული ეფექტი გამოვლინდა ვინაიდან გრძელი სიტყვების განმეორება მოკლე სიტყვებთან შედარებით საჭიროებს უფრო მეტ რეალურ დროს. შესაბამისად ფონოლოგიური საცავიდან მეხსიერების კვალის გაქრობა საჭიროებს უფრო მეტ დროს, ხოლო მოკლე სიტყვების შემთხვევაში 2 წამის განმავლობაში შესაძლებელია უფრო მეტი სიტყვების სწრაფი განმეორება. ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან ორ წამიანი კრიტიკული პერიოდის გავლისთანავე ცდისპირს ამახსოვრდება მხოლოდ ის სიტყვები, რომელთა ვერბალურად მრავალჯერადი განმეორება (არტიკულატორული განმეორების მექანიზმი) მოხერხდა.

Baddeley–მ და მისმა კოლეგებმა შეისწავლეს არტიკულატორული სუპრესიის ფენომენი. ამისათვის ცდისპირებს ექსპერიმენტის მსვლელობის დროს დასახსომებელ სიტყვებთან ერთად ევალუბოდათ ირელევანტური ინფორმაციის განმეორება (მაგ., ბლა, ბლა, ბლა.... ან ერთი, ორი, სამი, ერთი ორი სამი... და ა.შ.). არტიკულატორული განმეორების მექანიზმის შეუსაბამო ინფორმაციით დატვირთვა, რომელიც ყურადღებისა და რესურსების მინიმუმს მოითხოვს, აფერხებს ფონოლოგიური კოდირების ან ვერბალური განმეორების პროცესს, რაც თავის მხრივ ვიზუალური ინფორმაციის ფონოლოგიურ საცავში შეღწევას შეუძლებელს ხდის და შესაბამისად, ინფორმაციის განმეორება ვერ ხერხდება. აუდიტორული ინფორმაციის შემთხვევაში ინფორმაციის რეგისტრირება ხდება ფონოლოგიურ საცავში, მაგრამ ვერ ხერხდება მისი განმეორება. აღმოჩენილ ფენომენს მკვლევარების მიერ მიეცა შემდეგი ინტერპრეტაცია: ვიზუალურ მასალასთან შედარებით (ფონოლოგიურ საცავში დარეგისტრირებისათვის საჭიროებს სუბვოკალიზაციას) აუდიტორულ მასალას აქვს პირდაპირი წვდომა ფონოლოგიურ საცავთან (Baddeley, 2007). აღსანიშნავია, რომ სუპრესიის ფონზე ფონოლოგიურ საცავში აუდიტორული ინფორმაციის კვალის შენარჩუნების შესახებ მოსაზრება განსხვავებულად გაიზარეს Jones–მა და მისმა კოლეგებმა (Jones et al. 2006). მათი მოსაზრების მიხედვით აღნიშნული ფენომენი უმჯობესია განხილულ იქნას როგორც აღქმის ეფექტი, ხოლო Baddeley და მისი კოლეგები ამ მოსაზრების მართებულობას შესაძლებლად თვლიან მხოლოდ სიტყვების გრძელი ჩამონათვალისათვის და შეუსაბამოდ სიტყვათა მოკლე ჩამონათვალისათვის (Baddeley & Larsen 2007) .

ირელევანტური ხმის ეფექტი წარმოადგენს კიდევ ერთ ფენომენს, რომელიც ფონოლოგიური საცავის ვერბალურ (სამეტყველო მასალისათვის განკუთვნილ) ბუნებას ადასტურებს (Salame & Baddeley 1986). აღნიშნული ეფექტი აჩვენებს, რომ ვიზუალურად წარდგენილი ინფორმაციის (სიტყვების ან ციფრების) მყისიერი წარმოთქმა თანმხლები ირელევანტური ხმების (საუბრის, სიტყვების ან უაზრო მარცვლების) ფონზე ირღვევა მიუხედავად იმისა, რომ ცდისპირი ინფორმირებულია ამის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ აღწერილი ეფექტი არ მოქმედებს ციფრული ინფორმაციის წარმოთქმაზე თუ ირელევანტური ხმების ჟღერადობა ემთხვევა რელევანტურ ინფორმაციას (მაგ., ერთი – ეი, სამი – ამი და ა.შ.), რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ფონოლოგიური საცავი ოპერირებს პრელექსიკურ დონეზე (Baddeley., 2012).

ფონოლოგიური კვანძი დაყოფილია ორ ქვეკომპონენტად (ფონოლოგიური საცავი და არტიკულატორული განმეორების მექანიზმი), რომელთა მდებარეობა ნეიროვიზუალიზაციის კვლევების თანახმად განისაზღვრება თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში, კერძოდ კი თხემის ქვედა წილაკში (lobulus parietalis inferior) და შუბლის ქვედა (gyrus frontalis inferior) და შუა წილაკებში (gyrus frontalis medius) (Paulesu et al., 1993; Jonides et al., 1998), თუმცა ზოგიერთი მეცნიერის თანახმად შეუძლებელია ფონოლოგიური საცავის, როგორც თეორიული კონსტრუქტის თავის ტვინის ერთ ფუნქციურად დისკრეტულ რეგიონთან ზუსტი შესაბამება, რაც შესაბამისად მოითხოვს ფონოლოგიური ხანმოკლე მეხსიერების რეკონცეპტუალიზაციას როგორც აღქმასა და მეტყველების წარმოქმნის და საფუძვლად მდებარე ნერვული პროცესების ინტეგრირებული ფუნქციობის გათვალისწინებას (Buchsbaum BR & D'Esposito M., 2009).

## 4.2 ფონოლოგიური საცავი

ფონოლოგიური საცავი ფონოლოგიური კვანძის პირველ ქვეკომპონენტს წარმოადგენს, რომელშიც სიტყვები ინახება დროის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. იგი მოიაზრება როგორც ხანმოკლე „პასიური“ საცავი, რადგანაც მასში ინფორმაცია მცირე დროით დაყოვნდება, რის შემდეგაც ინფორმაცია სწრაფად ქრება. აღნიშნულ საცავში არსებული ინფორმაცია მოიაზრება როგორც „მეხსიერების კვალი“ ხოლო მისი სწრაფი გაქრობა როგორც „კვალის გაქრობა“. ფონოლოგიურ საცავში კვალის გაქრობა დაახლოებით 1,5 – 2 წამში ხდება ან შესაძლოა მაგ., გაგრძელდეს ტელეფონის ნომრის დამახსოვრებიდან ზარის განხორციელებამდე.

### არტიკულატორული განმეორების მექანიზმი

ფონოლოგიური კვანძის მეორე ქვეკომპონენტს არტიკულატორული განმეორების მექანიზმი წარმოადგენს. აღნიშნული მექანიზმის საშუალებით ხდება ფონოლოგიურ საცავში არსებული ინფორმაციის წარმოთქმა (განმეორება), რაც თავის მხრივ აფერხებს ფონოლოგიური საცავიდან კვალის სწრაფ გაქრობას. წარმოთქმის შედეგად ინფორმაცია თავიდან აღწევს ფონოლოგიურ საცავში სადაც სწრაფად ქრება. Baddeley-ის თანახმად აღნიშნული პროცესი დიქტოფონის ორ წამიანი ჩანაწერის მსგავსად მოქმედებს.

წარმოთქმის პროცესის დროს ფონოლოგიურ საცავში ერთისა და იმავე ინფორმაციის განახლება ხდება რაც ხელს უშლის მის გაქრობას. წარმოთქმის პროცესი, რომელსაც უწოდებენ „არტიკულატორული განმეორების“ ან „ვერბალური განმეორების“ პროცესს, წარმოადგენს ფონოლოგიური ხანმოკლე მეხსიერების (PSTM) მოცულობის გაზრდისა და გაუმჯობესების ძირითად სტრატეგიას. Baddeley-იმ კოლეგებთან ერთად აღმოაჩინა, რომ ზრდასრული ცდისპირების მეხსიერების მოცულობა (გარკვეული თანმიმდევრობით დასახსომებელი ინფორმაციული ერთეულების რაოდენობა), კორელირებს კითხვის სიჩქარესთან (Baddeley et al., 1975). აღნიშნულ ექსპერიმენტში ზრდასრულ ცდისპირებს შეეძლოთ იმდენი სიტყვის დახსომება, რამდენის წაკითხვასაც მოასწრებდნენ ორი წამის განმავლობაში, რადგან მისი ვარაუდით კითხვის სიჩქარე დაკავშირებულია დასახსომებელი სიტყვების გონებაში ვერბალური განმეორების სიჩქარესთან (განმეორებული სიტყვების რაოდენობასთან). თუმცა Ferguson-მა და Bowey-მ აღმოაჩინეს, რომ მეხსიერების მოცულობა დამოკიდებულია არა მარტო კითხვის სისწრაფეზე, არამედ ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებულ ფონოლოგიურ წარმოსახვებზე (Ferguson & Bowey 2005). ზემოაღწერილი პროცესები მართებულია ბავშვებისათვისაც და მოზარდებისათვისაც. აქვე აღსანიშნავია, რომ მეხსიერების მოცულობა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება.

ვერბალური განმეორება ზრდასრულ ადამიანებთან როგორც წესი ხდება გონებაში - შინაგანად. აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს მეცნიერების ერთიანი მოსაზრება. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ადგილი აქვს რეალურ არტიკულაციას, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ განმეორება მოიცავს შინაგან ვერბალიზაციას (ე.წ. შინაგან მეტყველებას). ბავშვებსა და მოზარდებთან განხორციელებულ კვლევებში გამოვლინდა, რომ მსგავსად ზრდასრული ცდისპირებისა ისინიც იყენებენ შინაგან ვერბალურ განმეორებას, თუმცა Flavell-მა და მის კოლეგებმა ბავშვებთან ჩატარებულ კვლევაში აღმოაჩინეს დახსომების დროს ტუჩების მოძრაობის, წარმოთქმის არსებობა (Flavell et al., 1966).

აღსანიშნავია, რომ არტიკულატორული განმეორების მექანიზმი გარდა ზემოაღწერილისა მოიცავს ფონოლოგიური/ვერბალური ინფორმაციის კოდირების ფუნქციას, რომელიც ინდივიდს ვიზუალური ფორმით მიწოდებული ინფორმაციის (ნაბეჭდი სიტყვების, ნაბეჭდი ასოების/ციფრების, სურათების) ვერბალიზაციის

საშუალებას აძლევს. თავდაპირველად ვიზუალურად წარდგენილი ელემენტების სახელდება ხდება ან წარმოებს მათი მარკირება, შედეგად კი წარმოქმნილი ფონოლოგიური ინფორმაცია აღწევს ფონოლოგიურ საცავში. ამდენად, არტიკულაციური პროცესის საშუალებით არტიკულატორული განმეორების მექანიზმი გარდაქმნის ვიზუალურ ინფორმაციას ვერბალურ (ფონოლოგიურ) კოდებად. ვერბალური/ფონოლოგიური კოდირება ხშირ შემთხვევაში მომგებიანია, რადგან ფონოლოგიური ინფორმაციის დახსომება ვიზუალურთან შედარებით შესაძლოა უფრო ადვილი იყოს. ფონოლოგიური დახსომების უპირატესობები განსაკუთრებულად თვალსაჩინოა, როდესაც ინდივიდმა გარკვეული თანმიმდევრობით უნდა აღადგინოს ცალკეული ელემენტების ჩამონათვალი.

#### **4.2 მხედველობით – სივრცითი მონახაზის ჩამწერი**

მხედველობით–სივრცითი მონახაზის ჩამწერი წარმოადგენს მუშა მეხსიერების მოდელის დაქვემდებარებულ კომპონენტს, რომელშიც დროის ხანმოკლე პერიოდით (ფიქრის, დახსომების და დავალების დამუშავების პროცესში) ინახება ვიზუალური და სივრცითი ინფორმაცია (Logie, 1995). ითვლება, რომ აღნიშნული კომპონენტი თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროში მდებარეობს, ვინაიდან აღნიშნული ჰემისფერო ორიენტირებულია მხედველობითი და სივრცითი ინფორმაციის დამუშავებაზე და უზრუნველყოფს ვიზუალურ–სივრცითი ხანმოკლე მეხსიერების (VSSTM) ფუნქციობას.

მხედველობით–სივრცითი მონახაზის ჩამწერი ისევე როგორც ფონოლოგიური კვანძი წარმოადგენს მუშა მეხსიერების მოდელის დაქვემდებარებულ სტრუქტურას, რომელიც არ ღებულობს მონაწილეობას არც კონტროლში და არც ყურადღების გადართვაში. იგი მხოლოდ საცავის ფუნქციას ასრულებს და განკუთვნილია ობიექტების ვიზუალური („როგორი“?) და სივრცითი („სად“?) მახასიათებლების დახსომებისათვის. ზოგიერთი ავტორის თანახმად აღნიშნულ კომპონენტში არსებობს ვიზუალური და სივრცითი ინფორმაციის გადასამუშავებელი ცალკეული მექანიზმები (Vicari et al., 2006). ზოგი მეცნიერის მოსაზრებით კი არსებობს მესამე ქვეკომპონენტიც, რომელიც მოქმედებების თანმიმდევრობების კინესტეტიკურ კოდებს ინახავს. მხედველობით–სივრცითი მონახაზის ჩამწერში ფონოლოგიური კვანძის მსგავსად მეხსიერების კვალი ძალიან სწრაფად ქრება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფონოლოგიური

კვანძისაგან განსხვავებით მისი მოქმედების მექანიზმი დეტალურად შესწავლილი არ არის. მიუხედავად ამისა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქაც აქვს ადგილი განმეორების გარკვეულ ფორმას (მაგ., გონებაში რაიმე ინფორმაციის განმეორება ან განახლება). გამონაკლისს Logie-ის მიერ შეთავაზებული მოდელი წარმოადგენს (Logie, 1995), რომელიც წარმოადგენს პასიურ „ვიზუალურ-სივრცით საცავს“, რომელშიც ვიზუალური ინფორმაცია (მაგ., ფერები, ფორმები) ინახება და რომელიც მჭიდრო კავშირშია მხედველობითი-აღქმითი სისტემის აქტივობასთან. Logie-მ აღწერა მეორე კომპონენტი – „შიდა ჩამწერი“, რომელიც მისი აზრით წარმოადგენს შედარებით აქტიურ სისტემას, სადაც მოძრაობათა თანმიმდევრობის შესახებ ინახება ინფორმაცია და ხდება ინფორმაციის განმეორება, რის შედეგადაც ვიზუალურ-სივრცითი მონახაზის ჩამწერში არსებული ინფორმაციის განახლება ხორციელდება და მცირდება დროსთან დაკავშირებული კვალის გაქრობა. შიდა ჩამწერი სავარაუდოდ უშუალო კავშირშია აღნიშნული სისტემის სივრცით კომპონენტთან და შესაძლოა გარკვეულ წილად პასუხისმგებელია გამოსახულებების მანიპულირებასთან.

Baddeley-ის თანახმად (Baddeley, 2007) ვიზუალურ-სივრცითი მონახაზის ჩამწერი წარმოადგენს ქვესისტემას, რომელშიც სხვადასხვა წყაროდან შემოსული მხედველობითი, ტაქტილური და კინესთეტიკური, აგრეთვე ეპიზოდური და სემანტიკური ხანგრძლივი მეხსიერებიდან ამოტანილი ვიზუალურ-სივრცითი ინფორმაციის ინტეგრირება წარმოებს. აღნიშნული კომპონენტი უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, რადგან მეცნიერთა უმრავლესობა ფოკუსირებული იყო ვერბალური მუშა მეხსიერების კვლევაზე. ჩამწერის აქტიურად კვლევა XX საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება, როდესაც Posner-მა და მისმა კოლეგამ (Posner & Konick, 1966) აღწერეს სივრცითი ინფორმაციის დასამახსოვრებლად გარკვეული აქტიური განმეორების ფორმის არსებობა, რის ხარჯზეც ინფორმაციის კვალის გარკვეული დროით (დაახლოებით 2 წამით) შენარჩუნება ხდებოდა (Posner & Keele, 1967). მოგვიანებით მეცნიერების მიერ შეთავაზებული იყო მხედველობით-სივრცითი მონახაზის ორ ქვეკომპონენტად დაყოფა, რომელთაგან ერთი ოპერირებდა საგნების ვიზუალური მახასიათებლებით (ფერი, ფორმა და ა.შ.), ხოლო მეორე – სივრცითი ლოკაციის მიმდევრობებით (სივრცეში განლაგებების ან გადაადგილებათა მიმდევრობით). ამგვარი დაყოფის მართებულობის დასამტკიცებლად Della Sala-სა და მისი კოლეგების მიერ

(Della Sala et al., 1999) ჩატარდა ნეიროფსიქოლოგიური კვლევა თავის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტებთან, რომლებსაც შემეცნებითი უნარები ნაწილობრივ ჰქონდათ დარღვეული. ამ კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ზოგიერთ პაციენტს აღნიშნებოდა მხედველობითი ინფორმაციის მანიპულირების მკვეთრად გამოხატული დარღვევა, ზოგს კი – დარღვეული ჰქონდა სივრცითი ინფორმაციის გადამუშავების უნარი. აღნიშნულ ჰიპოთეზას მხარს უჭერდა მესამე ექსპერიმენტი, რომელშიც ცდისპირებს ევალუბოდათ მხედველობითი ან სივრცითი ინფორმაციის დახსომება, როდესაც ყოველ ცდას მოჰყვებოდა ვიზუალური ან სივრცითი ინტერფერენცია. ჰიპოთეზაში ჩამოყალიბებული ვარაუდის მიხედვით ორი ცალკეული ქვესისტემის არსებობის შემთხვევაში მხედველობითი ინტერფერენცია დაარღვევდა მხოლოდ მხედველობით მეხსიერებას, ხოლო სივრცითი – სივრცით მეხსიერებას. ეს პრედიქცია ეყრდნობოდა შემდეგ მოსაზრებას: თუ არსებობს მხედველობითი და სივრცითი ინფორმაციისათვის განკუთვნილი ცალკეული საცავები, მაშინ მათში არსებული ინფორმაცია არ დაზარალდება საპირისპირო სახის ინფორმაციით ინტერფერენციისას, ხოლო ერთი და იმავე სახის მასალის (დასახსომებელი და მაინტერფერირებადი) ურთიერთქმედება წარმოქმნის კონკურენციას საცავის მოცულობაზე, რაც შედეგად დავალების შესრულების შეფერხებას გამოიწვევს.

Darling–მა და მისმა კოლეგებმა (Darling et al., 2007) ჩატარეს კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა ზემოაღწერილ ყველა კომბინაციას. ამისათვის ცდისპირებს წარუდგინეს ეკრანის გამოსახულებათა 30 პატარა მიმდევრობა, რომელთაგანაც ყველა ცარიელი იყო ერთის გარდა – მასში იყო მოთავსებული ასო „P“ (ამ ასოს დასაწერად გამოიყენეს 400 განსხვავებული შრიფტი). ზოგიერთ ცდისპირს ევალუბოდა ყურადღების გამახვილება ასო „P“-ს ადგილმდებარეობაზე (ცდა აფასებდა სივრცითი განლაგების დახსომებას), ხოლო ზოგს კი – ასო „P“-ს გარეგნულ მახასიათებლებზე (მხედველობითი მახასიათებლების დახსომების შესაფასებლად). ყოველ წარდგენაზე იცვლებოდა ასო „P“-ს როგორც ადგილმდებარეობა ისევე შრიფტი. წარდგენის შემდეგ ცდისპირებს 5–15 წამიანი მხედველობითი (შემთხვევით განლაგებული მოციმციმე შავი ან თეთრი წერტილები) ან სივრცითი (კლავიატურაზე რვიანის გამოსახულების მქონე ღილაკზე დაჭერა) ინტერფერენცია მიეწოდებოდათ. როგორც აღმოჩნდა ვიზუალური ინტერფერენცია შერჩევითად აფერხებდა მხედველობით ხანმოკლე მეხსიერებას, ხოლო



სივრცითი – სივრცით ხანმოკლე მეხსიერებას. საბოლოოდ ცდისპირებს ლოკაციის ან ვიზუალური მახასიათებლების იდენტიფიკაციისათვის (თავდაპირველ წარდგენასთან შესადარებლად) ხელახლა წარუდგინეს ეკრანის გამოსახულებათა 30 მიმდევრობა. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ვიზუალურ–სივრცითი ხანმოკლე მეხსიერების მხედველობითი და სივრცითი ასპექტები განსხვავებულ მექანიზმებზეა დამოკიდებული, რომლებიც არ აფერხებენ ერთმანეთის ფუნქციობას. თუმცა ზოგიერთი მეცნიერის აზრით ზემოაღწერილი ფენომენი შესაძლოა განპირობებული იყოს ინფორმაციის მიწოდების განსხვავებული ფორმით, კერძოდ, სივრცითი დავალებების თანმიმდევრულ რეჟიმში წარდგენით (მაგ., ცდისპირი იმახსოვრებს სივრცითი განლაგების სერიებს) და მხედველობითი დავალებების ერთდროულად წარდგენით (მაგ., ერთი გამოსახულების ყურება) (Pickering et al., 2001). თუმცა აღსანიშნავია, რომ Darling–მა და მის კოლეგებმა (Darling et al., 2009) მოგვიანებით ჩატარებულ კვლევაში ვერ აღმოაჩინეს კავშირი ვიზუალური და სივრცითი ინფორმაციის ერთდროულად ან თანმიმდევრულად წარდგენის ტიპებს შორის.

ცალკეული ქვეკომპონენტების არსებობის დასამტკიცებლად კვლევა ჩატარდა ბავშვებზე და მოზარდებზე (5–15 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე) სადაც გამოვლინდა ვიზუალური და სივრცითი ქვეკომპონენტების არსებობა. გარდა ამისა გამოვლინდა, რომ ქვეკომპონენტებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული განვითარების ტრაექტორია (მხედველობითი კომპონენტი უფრო სწრაფად ვითარდება ვიდრე სივრცითი) (Pickering et al., 2001).

### 4.3 ცენტრალური აღმასრულებელი

ცენტრალური აღმასრულებელი წარმოადგენს მუშა მეხსიერების მთავარ კომპონენტს. თავდაპირველად მისი შესაძლებლობები შემოიფარგლებოდა როგორც: (ა) გარკვეული მოცულობის მქონე საცავის; (ბ) ხანგრძლივ მეხსიერებასთან ურთიერთქმედების ფუნქციის მქონე კომპონენტის და (გ) ყურადღების კონცენტრაციის, გაყოფისა და გადართვის მეშვეობით სხვა კომპონენტებს შორის რესურსების გადანაწილების შესაძლებლობის მქონე კომპონენტის.

მოგვიანებით აღნიშნული შეხედულებები შეიცვალა. მაგალითად, დღესდღეობით ცენტრალური აღმასრულებელი ყურადღების კონტროლისა და გადანაწილების ფუნქციას ასრულებს (Baddeley, 2000; Baddeley, 2007; Baddeley, 2012), ხოლო მუშა

მეხსიერების კომპონენტების ერთმანეთთან და ხანგრძლივ მეხსიერებასთან კავშირი ხორციელდება „ეპიზოდური ბუფერის“ საშუალებით.

ამდენად, ცენტრალური აღმასრულებლის მთავარ ფუნქციას მუშა მეხსიერების სისტემაში ყურადღების გადანაწილება (ფოკუსირება, გაყოფა და გადართვა) წარმოადგენს. Baddeley-ის მოსაზრებით შესაძლოა არსებობდეს ყურადღების კონცენტრირებისა და გაყოფის ფუნქციის ცალკეული ქვეკომპონენტები (Baddeley, 2007).

Baddeley-ისა და Hitch-ის მიერ წარდგენილ მუშა მეხსიერების პირვანდელ მოდელში ცენტრალური აღმასრულებლის შესახებ მოცემული იყო ძალზედ მწირი ინფორმაცია (Baddeley & Hitch, 1974). ამდენად Baddeley-მ აღნიშნული კომპონენტის ფუნქციობის დასაზუსტებლად Norman-ისა და Shallice-ის (1986) ყურადღების სუპერვიზორული სისტემის (supervisory attentional system (SAS)) ვერსიის ადაპტირება მოახდინა, რომლის თანახმად ყურადღების სუპერვიზორული სისტემა (SAS) წარმოადგენს ყურადღების კონტროლის უფრო მაღალ დონეს, რომელიც უცხო გარემოში ახალი იდეების, სტრატეგიებისა და გეგმების წარმოქმნას ახორციელებს. ამდენად, ცენტრალური აღმასრულებელი უზრუნველყოფს ახალი ქცევის ან მიდგომის განსახორციელებლად საჭირო ამოცანებისათვის მაღალი დონის კონტროლს. მისი მოსაზრებით ყურადღების სუპერვიზორული სისტემისა (SAS) და ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციები, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის მსგავსია. აღმასრულებელი ფუნქციები, სავარაუდოდ, შუბლის წილის ფუნქციობასთან არის ასოცირებული (Kane & Engle, 2002). მაგალითად, შუბლის წილის დაზიანების მქონე პაციენტებში გამწვანებულია კარგად დასწავლილი ქცევითი პატერნების შეკავებისა და პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების პოვნის უნარი. აღნიშნული დაზიანების მქონე პაციენტებს ეკარგებათ ქცევითი მოქნილობის უნარი და ეწყებათ პერსევერაციები. Baddeley-ს თანახმად აღნიშნული დარღვევა წარმოადგენს „აღმასრულებელი ფუნქციების დარღვევის სინდრომს“ (disexecutive syndrome, შუბლის სინდრომი).

მუშა მეხსიერების ცენტრალური აღმასრულებელი კომპონენტი შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ზოგადად ყურადღების მართვისათვის არსებული სივრცე, რაც სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილი „აღმასრულებელი ფუნქციების“ იდენტურია. ამდენად, კონცეპტები „ცენტრალური აღმასრულებელი“, რომელიც განმარტების მიხედვით აკონტროლებს და არეგულირებს აზროვნებასა და მოქმედებებს (Friedman et

al., 2006) და „აღმასრულებელი ფუნქციები“ ერთმანეთის მსგავსია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

აღმასრულებლის ფუნქციების საკვლევად ჩატარდა არაერთი კვლევა, რომელთა შედეგად დადგინდა, რომ მის ფუნქციობას უკავშირდება მთელი რიგი ცალკეული უნარებისა (Miyake et al., 2000), რომელთა ცალ-ცალკე გამოყაფა შესაძლებელია. მაგალითად, Friedman-ისა და მისი კოლეგების მიერ ტყუპებზე ჩატარებულ კვლევაში გამოვლინდა, რომ აღმასრულებელი ფუნქციები ეყრდნობა მემკვიდრული ხასიათის მქონე საერთო ფაქტორს, რომელიც ავტორთა მოსაზრებით აკავშირებს ერთმანეთთან აღმასრულებლის ფუნქციების სხვადასხვა საზომს (Friedman et al., 2008). მათი მტკიცებულებით აღმასრულებლის ფუნქციობა არ წარმოადგენს ცნებას, რომელიც ფუნქციურად ჩაანაცვლებდა „ინტელექტს“ და იგი ვერ იქნება ინტელექტის საზომი საშუალება.

ცენტრალური აღმასრულებლის მიერ რთული კომლექსური დავალებების შესრულების შესაძლებლობა მეცნიერების მიერ გამოვლენილია ექსპერიმენტებში, როგორც ლაბორატორიული, ასევე ყოველდღიური დავალებების შესრულებისას. მაგალითად, ჩატარდა კვლევა მძღოლების მიერ გზის სხვადასხვა მონაკვეთში გავლის შესაძლებლობაზე, როდესაც მათ იმავდროულად უნდა შეესრულებინათ ვერბალური სააზროვნო დავალება (Baddeley-ის verbal reasoning task). კვლევაში გამოვლინდა, რომ ორი დავალების ერთდროულად შესრულება ხელს უშლიდა მძღოლებს განესაზღვრათ გასავლელი გზის მონაკვეთის სივიწროვე. თუმცა, ამ დავალების შესრულებისას არ ირღვეოდა კარგად დასწავლილი რუტინული ქცევის შესრულება - მანქანის ტარების განხორციელება. მოქმედების მსგავსი დარღვევები შეინიშნებოდა მოქმედების დაწყებისას და მისი დროში ორგანიზების თვალსაზრისით.

შემთხვევითი წარმოთქმის ტესტი წარმოადგენს ცენტრალური აღმასრულებლის ერთ-ერთი უნარის თეორიულად შესაფასებელ დავალებას, რომელშიც ცდისპირებს (მძღოლებს) მართვის დროს ევალუბოდათ ციფრების ან ასოების შემთხვევითი თანმიმდევრობით წარმოთქმა ისე, რომ ციფრებს/ასოებს შორის არანაირი კავშირი არ ყოფილიყო (მაგ., 123, 999, 'MSN' ან 'SOS'). ამ მეორეული დავალებით ხდებოდა იმ კომპონენტების მოქმედების ინტერფერენცია, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილების მიღებაზე (მაგ., გასწრების დროს აღებული ინტერვალის სიდიდის

შეფასებაზე), მაგრამ იგი ზეგავლენას არ ახდენდა ქცევის რუტინული ელემენტების შესრულებაზე (მაგ., სიჩქარეების გადართვაზე) (Groeger, 1997).

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მეხსიერების ერთი დავალებით დატვირთვა (მაგ., ციფრების ზრდადობის მიხედვით დამახსოვრება) არ ახდენს ზეგავლენას ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციობაზე (მაგ., ვერბალური მასალის გამოყენებაზე დაფუძნებული აზროვნების დავალების შესრულებაზე), რაც მეხსიერების შესაძლებლობისა და მოცულობის ურთიერთდამოუკიდებლობაზე მიუთითებს. სხვა კვლევებში, სადაც დავალების შესრულება საჭიროებდა ყურადღების გაყოფას ორ მნიშვნელოვან სტიმულს შორის (ორმაგი დავალების ტესტი), რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ვერბალურს (ციფრების თანმიმდევრობი განმეორება), ხოლო მეორე მხედველობით–სივრცით თვალის მიდევნების დავალებას (tracking), აღმოჩნდა, რომ ცდისპირმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თუ როგორ შეასრულოს დავალება: ყურადღების ფოკუსირება ერთ რომელიმე დავალებაზე მოახდინოს (მეორე დავალების ხარჯზე), თუ ყურადღება დავალებებს შორის გადართოს. ითვლება, რომ სწორედ ცენტრალური აღმასრულებელია ჩართული ზემოაღწერილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

#### 4.4 ეპიზოდური ბუფერი

ეპიზოდური ბუფერი მუშა მეხსიერების მოდელის შედარებით ახალი კომპონენტია, რომლის აღმოჩენამაც დიდი ცვლილებები შეიტანა მუშა მეხსიერების თავდაპირველ მოდელში (Baddeley, 2000). იგი წარმოადგენს მულტიმოდალურ დროებით საცავს, რომელიც სხვადასხვა მოდალობის (აუდიტორულ, მხედველობით, სივრცით, კინესთეტიკურ) ინფორმაციასთან ოპერირებს. ეპიზოდური ბუფერი მუშა მეხსიერების სხვადასხვა წყაროდან შემოსულ ინფორმაციას მეხსიერების ერთ კოჰერენტულ ეპიზოდად აერთიანებს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მისი როგორც ბუფერული საცავის ფუნქციობა არ შემოიფარგლება მუშა მეხსიერების კომპონენტებით არამედ იგი აკავშირებს მუშა მეხსიერებას როგორც აღქმასთან ასევე ხანგრძლივ მეხსიერებასთან, რომელიც ეპიზოდური ბუფერის ძალზედ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს (Baddeley, 2012).

ეპიზოდური ბუფერის მოცულობა ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, შეზღუდულია და შემოიფარგლება ინფორმაციის ეპიზოდების ან

სტრუქტურების იმ რაოდენობით, რომლის ერთდროულად დამუშავებაც შესაძლებელია. ამდენად, ეპიზოდური ბუფერის მოცულობა სტრუქტურული თვალსაზრისით შესაძლოა ემთხვეოდეს Cowan-ის მიერ შეთავაზებულ მუშა მეხსიერების ალტერნატიულ მოდელს. მისი მტკიცებულებით ზრდასრულ ადამიანებს სტრუქტურირების მეთოდის გამოყენებით შეუძლიათ ოპერირება მოახდინონ მათი ყურადღების ფოკუსში მყოფი სამიდან ხუთამდე ინფორმაციული ერთეულის/სტრუქტურის (რაც ხშირად არ აღემატება ოთხს) მიუხედავად ინფორმაციული ერთეულის სახისა (Cowan, 2010).

ეპიზოდურ ბუფერში ინფორმაცია წარმოდგენილია ერთი მრავალგანზომილებიანი კოდის სახით. იგი სხვადასხვა წყაროდან მიღებული განსხვავებული ფორმატის მქონე ინფორმაციის ინტეგრაციის მოქნილ ინტერფეისს წარმოადგენს.

Baddeley-ის თანახმად (Baddeley, 2007) ეპიზოდურ ბუფერს შეუძლია ფონოლოგიური კვანძისა და ვიზუალურ-სივრცითი მონახაზის ჩამწერისათვის დამატებითი საცავის როლი შეასრულოს და უზრუნველყოს კავშირი ხანგრძლივ მეხსიერებასთან. მაგალითად, ცდისპირები ცალკეული სიტყვების აღდგენასთან (ერთჯერადად შეუძლიათ დაახლოებით 5-6 ცალკეული სიტყვის დახსომება) შედარებით რაოდენობრივად გაცილებით უფრო კარგად აღადგენენ წინადადებებსა და აზრებს (ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვებს). აქედან გამომდინარე ეპიზოდური ბუფერი (1) უზრუნველყოფს დამატებით საცავს და (2) მას აქვს წვდომა ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებული ენის, გრამატიკისა და წინადადებების სტრუქტურის ცოდნასთან რითაც ხელს უწყობს ფონოლოგიურ კვანძში არსებული ხანმოკლე ფონოლოგიური საცავის ფუნქციობას.

ეპიზოდურ ბუფერზე ჩატარებულმა სხვა კვლევებმაც აჩვენეს, რომ აღნიშნულ კომპონენტს აქვს წვდომა ხანგრძლივ მეხსიერებაში არსებულ ინფორმაციასთან. მაგალითად, Hulme-მ და მის კოლეგებმა კვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ცდისპირების მიერ უცნობი სიტყვების (ცდისპირებს ევალებოდათ მათთვის უცხო იტალიური სიტყვების დახსომება) დახსომება გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ნაცნობი სიტყვების (Hulme et al., 1991). მკვლევარებმა აჩვენეს, რომ სემანტიკურად დატვირთული (ცდისპირებს ეუბნებოდნენ უცხო ენაზე წარდგენილი სიტყვების

მნიშვნელობას) ინფორმაცია აუმჯობესებს ტესტის მსვლელობას, რაც მკვლევარების მოსაზრებით ეპიზოდური ბუფერის დამსახურებაა.

მუშა მეხსიერების მოდელის აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფონოლოგიური კვანძისა და მხედველობით-სივრცითი მონახაზის ჩამწერში მეხსიერების შეზღუდული მოცულობის გამო წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში (Baddeley, 2000). კერძოდ, ეს კომპონენტი უზრუნველყოფს საცავის დამატებით მოცულობასა და აერთიანებს სხვადასხვა დაქვემდებარებული საცავიდან შემოსულ ინფორმაციას.

აღნიშნულ კომპონენტზე კვლევები ჩატარებულია ბავშვებთანაც. მაგალითად, Alloway-სა და მისი კოლეგების მტკიცებულებით ბავშვებში (კვლევა 4-5 წლის ბავშვებზე ტარდებოდა) შესაძლებელია ეპიზოდური ბუფერის მუშა მეხსიერების სხვა კომპონენტებისაგან გამოყოფა (Alloway et al., 2004). ჩატარდა კვლევები, რომლებშიც ნათლად ჩანს ეპიზოდური ბუფერის ფუნქციობის განვითარების კავშირი ასაკის მატებასთან (Sluzenski et al., 2006; Cowan et al., 2006).

#### **4.5 მუშა მეხსიერების ნეიროანატომიური საფუძვლები**

Baddeley-ის მრავალკომპონენტური მუშა მეხსიერების მოდელის როგორც ანატომიური, ასევე ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების გარკვევას ხელი შეუწყო სხვადასხვა ნეიროფსიქოლოგიური დეფიციტების (კერძოდ, თავის ტვინის სპეციფიური დარღვევების) მქონე პაციენტების შესწავლამ, რომელთაც არ აღენიშნებოდათ ზოგადი კოგნიტური დეფიციტი (Baddeley, 2012), მაიმუნებზე (ერთი ნეირონის კვლევის მეთოდი single cell recording SCR) და ჯანმრთელ პირებზე (ნეიროვიზუალიზაციის კვლევები) განხორციელებულმა კვლევებმა.

SCR მეთოდით განხორციელებულმა მრავალმა კვლევამ გამოავლინა თავის ტვინის შუბლის წილის ნეირონების აქტივაცია (funahashi et al 1989). მოგვიანებით გამოვლინდა, რომ ფრონტალური მიდამო წარმოადგენს მუშა მეხსიერების ფუნქციობასთან დაკავშირებული სტრუქტურების ნაწილს და ასოცირებულია მუშა მეხსიერების კონტროლთან (Goldman-Rakic, 1996), ხოლო ცენტრალური აღმასრულებლისა და ვიზუალური-სივრცითი მონახაზის ჩამწერის ფუნქციობა დამოკიდებულია თხემის მიდამოზე (Rowe et al., 2001). ფუნქციურ მრტ (fMRI) კვლევებმა აჩვენეს, რომ მუშა მეხსიერების ფუნქციობა დაკავშირებულია როგორც დორსო-ლატერალურ

პრეფრონტალურ ქერქთან (DLPFC) (Barbey et al., 2013) ასევე ვენტრალურ რეგიონებთან (Blumenfeld & Ranganath, 2006). ზოგადად კი ითვლება, რომ მრავალკომპონენტური მუშა მესხიერების ფუნქციონა ასოცირებულია სარტყლისებრ ხვეულთან (cingulate gyrus), ბაზალურ ბირთვებთან, თხემის ქერქთან და შუბლის წილთან (Arslan, 2014).

მუშა მესხიერების ნეიროანატომიური ბაზისის შესასწავლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი - პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფია (PET), ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (fMRI), მულტივოქსელური პატერნების ანალიზი (multi-voxel pattern analysis (MVPA)) და სხვა.

### **ფონოლოგიური კვანძი**

ფონოლოგიურ კვანძთან დაკავშირებული ფუნქციური ნეიროანატომიის კვლევები ძირითადად ეფუძნება კლინიკურ სინდრომებს (მაგ. დიზარტრია) ან ინდივიდუალურ შემთხვევებს, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული კომპონენტის კვლევა მოითხოვს მეტყველების ჩართულობას.

Paulesu-მ და მისმა კოლეგებმა (Paulesu et al., 1993) ფონოლოგიური კვანძის კვლევისას PET მეთოდის გამოყენებით გამოავლინეს ორი ცალკეული რეგიონი: ერთის მდებარეობა განისაზღვრებოდა მარცხენა ნახევარსფეროს საფეთქელისა და თხემის მიდამოებს შორის არით (BA 40) (დაკავშირებულია ფონოლოგიური საცავის ფუნქციონასთან), ხოლო მეორესი – ბროკას მიდამოთი (BA 44), რომელიც ჩართულია მეტყველების წარმოქმნაში (დაკავშირებულია სუბვოკალურ განმეორებასთან). Jonides-ისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულ ფონოლოგიური კვანძის PET კვლევაში აღმოჩნდა აქტივაცია მარცხენა ნახევარსფეროში კერძოდ, მარცხენა თხემის უკანა ქერქში (Cortex parietalis posterior) (BA 40), ბროკას მიდამოში (BA 44), მარცხენა პრემოტორულ მიდამოსა (BA 6) და მარცხენა დამატებით მოტორულ არეში (supplementary motor area (BA 6)) (Smith & Jonides, 1997). გარდა ამისა, Buchsbaum-ისა და მისი ჯგუფის მიერ ჩატარებულ კვლევაში (როგორც ნეიროფსიქოლოგიურ ასევე fMRI კვლევებში) ცდისპირების მიერ განმეორების დროს აღინიშნებოდა ორმხრივი აქტივაცია ზედა საფეთქელის რამდენიმე მიდამოში, კერძოდ კი მარცხენა უკანა planum temporale არეში (left posterior planum temporale (Area Spt)), მარცხენა საფეთქელის ზედა ხვეულის უკანა წილში (left posterior superior temporal sulcus (pSTS)), და საფეთქელის ზედა ხვეულის შუა

წილში (middle superior temporal sulcus (mSTS)). კოდირებისა და გადავადების დროს ძლიერი აქტივაცია გამოვლინდა მარცხენა ნახევარსფეროს დორსო-ვენტრალური ღერძის (პრემოტორული ქერქის, ქვედა ფრონტალური ხვეულისა და კუნძულის წინა ნაწილის ჩათვლით) არეში (Buchhsbaum et al., 2011).

### **მხედველობით-სივრცითი მონახაზის ჩამწერი**

Smith-ისა და მისი კოლეგებმა კვლევა ჩაატარეს ვიზუალურ-სივრცით მუშა მესხიერებასთან დაკავშირებული თავის ტვინის სტრუქტურების განსასაზღვრად. აღმოჩნდა, რომ ვიზუალურ მესხიერებასთან ასოცირებულია მარჯვენა ჰემისფერო (Smith et al., 1996). ამ მიმართულებით ჩატარებულ შემდგომ კვლევებში (Smith & Jonides, 1997) აღმოჩნდა, რომ სივრცითი მესხიერება (სივრცითი მახასიათებლების დამუშავება) იწვევს თავის ტვინის დორსალური მიდამოების, ხოლო ვიზუალური მესხიერება (ვიზუალური მახასიათებლების დამუშავება) – ვენტრალური მიდამოების აქტივაციას.

### **ცენტრალური აღმასრულებელი**

როგორც ცნობილია, ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციობა ასევე შუბლის წილთანაა დაკავშირებული. აღნიშნული კომპონენტის ფუნქციური მრტ კვლევები და თავის ტვინის დაზიანებების მქონე პაციენტებზე განხორციელებული კვლევები მიუთითებს პრეფრონტალური ქერქის მნიშვნელოვან როლზე ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციობაში (Duncan, 2010). აღმასრულებელი ფუნქციების კვლევისას გამოვლინდა, რომ ორბიტოფრონტალური და ვენტრომედიალური პრეფრონტალური კორტექსი მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონებთან (დაზიანების შემთხვევაში ინდივიდი კარგავს ემოციური მოქნილობის შესაძლებლობას), რომლებიც ემოციური ინფორმაციის დამუშავებაზე არიან პასუხისმგებელი, ხოლო ლატერალური და დორსომედიალური ქერქი დაკავშირებულია სენსორულ და მოტორულ რეგიონებთან (დაზიანების შემთხვევაში ინდივიდი კარგავს გარკვეულ სტიმულზე შესაბამისი ქცევის განხორციელების უნარს). არსებობს მტკიცებულებები აღმასრულებელი ფუნქციების როსტრალურ პრეფრონტალურ ქერქთან კავშირის შესახებ, რომელიც ჩართულია რამდენიმე დავალების ერთდროულად შესრულების პროცესში (Burgess et al., 2007). თავის ტვინის აღნიშნული უბნის დაზიანების მქონე



პაციენტები ვერ ასრულებენ ტესტებს, რომლებიც მოითხოვენ რამდენიმე დავალების ერთდროულად შესრულებას, თუმცა თავისუფლად ართმევენ თავს აღმასრულებელი ფუნქციების სხვა დავალებებს (Roca et al., 2010; Roca et al., 2011). Stuss-ისა და მისი კოლეგების მიხედვით არსებობს გარკვეული ფუნქციური სპეციალიზაცია მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროების ლატერალურ პრეფრონტალურ ქერქს შორის (Stuss et al., 1995). სავარაუდოა, რომ წინა სარტყლისებრი ქერქის დორსალური ნაწილი თამაშობს მნიშვნელოვან როლს შეცდომებისა და პასუხებს/რეაქციებს შორის არსებული კონფლიქტების აღმოჩენაში, ხოლო ლატერალური პრეფრონტალური მიდამოები მნიშვნელოვანია რეაგირებასათვის და არსებული შეუსაბამო ქცევის შესაბამისი ქცევით ჩანაცვლების პროცესისათვის.

ზემოაღწერილი მრავალწლიანი მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, ამ მიმართულებით დღესაც მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები.

## 5. ორმაგი დავალების მეთოდოლოგია

ცენტრალური აღმასრულებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარი – წარმოადგენს პროცედურას, რომელიც ცდისპირისაგან მოითხოვს ორი დავალების სიმულტანურ შესრულებას (Bherer et al., 2005; Holtzer et al., 2005). ტესტის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ თუ ორივე დავალება იქნება ერთმანეთის მსგავსი, რომლებიც შესაბამისად მოითხოვენ ერთი და იმავე ინფორმაციის წვდომას, დამუშავებას ან შენახვას, ერთ-ერთი მათგანის ან შესაძლოა ორივეს შესრულება უნდა დაქვეითდეს. იმ შემთხვევაში თუ შესრულება არ ქვეითდება დავალებები ერთი მეორისაგან დამოუკიდებელნი არიან. ორმაგი დავალების მეთოდოლოგიას დიდი წვლილი მიუძღვის Baddeley-ის მრავალკომპონენტური მუშა მახსიერების თეორიული მოდელის განვითარებაში.

ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ამგვარი კოორდინაციის დარღვევა დამახასიათებელია ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტებისათვის დაავადების ადრეულ სტადიაზე, რაც შესაბამისად ვლინდება როგორც ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში (Baddeley et al., 1986; Della Sala et al., 1995; Greene et al., 1995; MacPherson et al., 2004), ასევე ყოველდღიური დავალებების შესრულებისას (Alberoni, et al., 1992). აგრეთვე გამოვლინდა, რომ ორმაგი დავალების პარადიგმა წარმოადგენს სენსიტიურ იარაღს ვასკულარული დემენციის მქონე პაციენტების კოგნიტური დარღვევების ადრეულ საფეხურზე გამოსავლენად (Inasaridze et al., 2006a; Inasaridze et al., 2006b). გარდა ზემოაღნიშნულისა ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის შესრულებისას მცირე დაქვეითება გამოვლინდა პარკინსონის დაავადების მქონე პაციენტებთან (Dalrymple-Alford et al., 1994). აღნიშნულმა მეთოდმა წარმატებით განასხვავა ერთმანეთისაგან შუბლის წილის დაზიანების მქონე და ჰიპოკამპის დაზიანების მქონე პაციენტები (Cowey & Green, 1996). აღმოჩნდა, რომ ორმაგი დავალება შუბლის წილის დაზიანებით გამოწვეული ქცევითი ცვლილებების უფრო სენსიტიურ იარაღს წარმოადგენს, ვიდრე ე.წ. „ფრონტალური“ ტესტები, ვინაიდან კლასიკურ „ფრონტალურ“ ტესტებთან შედარებით ის უფრო უკეთ ახდენს შუბლის წილის დაზიანების მქონე პაციენტების გამოყოფას აღმასრულებელი ფუნქციების დარღვევის სინდრომის მქონე პაციენტებისაგან (Baddeley et al., 1997).

ორმაგი დავალების შესრულების დარღვევა გამოვლინდა აუტიზმის მქონე ბავშვებთან და მოზრდილებთან (Bucci et al., 2013), რამაც მნიშვნელოვანი გახადა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირებთან ორმაგი დავალების შესრულების შემსწავლელი კვლევებიდან აუტიზმის ან აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე პირების გამორიცხვა.

### 5.1. ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია

ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარზე განხორციელებულ კვლევათა უმრავლესობაში გამოყენებულია ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია (Baddeley et al., 1986; Baddeley et al., 1991; Logie et al., 2004; MacPherson et al., 2004). Baddeley-სა და მისი კოლეგების მიერ აღნიშნული პარადიგმის ფუნქციობის შესასწავლად კვლევა ჩატარდა ალცჰეიმერის ტიპის დემენციის მქონე პაციენტებსა და მათთან ასაკითა და განათლების წლების მიხედვით გათანაბრებულ საკონტროლო პირებსა და ახალგაზრდებზე. (Baddeley et al., 1986). აღნიშნულ კვლევაში ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის მოტორული დავალების შესასრულებლად ცდისპირს ფერად მონიტორზე წარუდგენდნენ 2x2 სმ-ის ზომის თეთრ კვადრატს, რომელიც მონიტორზე შემთხვევითი ტრანექტორიით გადაადგილდებოდა, ხოლო ცდისპირი ელექტრული ფანქრის საშუალებით უნდა მიჰყოლოდა მას. კვადრატის ფერი იცვლებოდა (ხდებოდა ნარინჯისფერი) თუ ცდისპირი ასცდებოდა მის ტრანექტორიას. კვადრატის გადაადგილების სიჩქარე თანდათან მატულობდა. თუ ცდისპირი 20 წამის განმავლობაში დროის 60 პროცენტზე ნაკლები ხანგრძლივობით იქნებოდა კონტაქტში კვადრატთან, დგებოდა დავალების შეწყვეტის კრიტერიუმი. შემდგომ, ცდისპირი სიჩქარის ინდივიდუალურ დონეზე 2 წუთის განმავლობაში ასრულებდა მოტორულ დავალებას. საპილოტე ტესტებში მონიტორი ვერტიკალურად იყო დამონტაჟებული, რაც ძალზედ მოუხერხებელი იყო განსაკუთრებით ასაკოვანი პირებისათვის, ამდენად შემდგომში მონიტორი 30° კუთხის მქონე დახრილობით დაამონტაჟეს. Baddeley-ის კვლევაში ინტერფერენციისათვის გამოიყენებოდა სამი სახის აუდიტორული-ვერბალური დავალება: არტიკულატორული სუპრესია (გარკვეული სიჩქარით ერთიდან ხუთამდე ციფრების გამეორება), ხმოვან ტონზე რეაქციის დროში გასაზომი დავალება (გარკვეული ხმის გაგონებაზე სატერფულზე ფეხის დაჭერა) და ციფრების მოცულობის ტესტი (1-დან 7-მდე რაოდენობის ციფრების გარკვეული თანმიმდევრობების

განმეორება). ოთხივე ზემოაღწერილი ამოცანა შეირჩა ისე, რომ კონკურენცია ძირითად რესურსზე იყო მინიმალური. კვლევის შედეგად გამოვლინდა ალცჰეიმერის დაავადების მქონე პირების მიერ ორმაგი დავალების შესრულების დაქვეითება, რაც ინტერპრეტირდა როგორც „აღმასრულებლის ფუნქციობის დეფიციტის ჰიპოთეზა“. აქვე აღსანიშნავია, რომ საკონტროლო პირებში ორმაგი დავალების შესრულება დამოკიდებულია ცალკეული დავალების ბუნებაზე და არა მათ სირთულეზე. მეცნიერთა აღნიშნული ჯგუფის მიერ (Baddeley et al., 1991) კვლევა იგივე პაციენტებზე ჩატარდა 6 თვის შემდეგ და გამოვლინდა აღნიშნული ფუნქციის მკვეთრი გაუარესება. აღნიშნული მეთოდი ძალზედ ინფორმატიული აღმოჩნდა ალცჰეიმერის დაავადების როგორც დეტექციისათვის ასევე პროგრესირების კონტროლისათვის.

## 5.2. ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია

ორმაგი დავალების შესრულებაზე წარმოებულ კვლევათა უმრავლესობაში გამოყენებულია ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია (Baddeley, 1986; Baddeley et al., 1991; Logie et al., 2004; MacPherson et al., 2004). კომპიუტერული ექსპერიმენტების ჩატარება საჭიროებს ელექტრო ფანქარსა (წარმოადგენს კომპიუტერული აღჭურვილობის არასტანდარტულ ნაწილს) და მოტორული დავალების კომპიუტერულ პროგრამას, რომლის ტრანსფერი ერთი კომპიუტერიდან მეორეზე გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კლინიკურ გარემოში აღნიშნული მეთოდის გამოყენება თავის ტვინის სხვადასხვა დაზიანების მქონე პაციენტების საწოლთან შეუძლებელია. ამდენად, აქტუალური გახდა კომპიუტერული დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის შექმნა. Della Sala და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია (Della Sala et al., 1995; Baddeley et al., 1997), რომელიც წარმოადგენდა A4 ფორმატის მქონე ფურცელზე განლაგებული 80 კვადრატის (თითოეული კვადრატის გვერდის ზომა იყო 1 სმ<sup>2</sup>) მიმდევრობას, რომლებიც ცდისპირს ერთი მეორის მიყოლებით ჯვრებით უნდა გადაეხაზა (მოტორული დავალება). გავარჯიშების (ცდისპირს 10 კვადრატი უნდა გადაეხაზა, რათა ექსპერიმენტატორი დარწმუნებულიყო იმაში, რომ მან გაიგო დავალების ინსტრუქცია) შემდეგ, ცდისპირს ტესტის შესასრულებლად ორი წუთი ეძლეოდა, რომლის მანძილზეც მას თანმიმდევრობით უნდა გადაეხაზა რაც შეიძლება მეტი კვადრატი. აღნიშნული მეთოდი სირთულის დონის თვალსაზრისით არ იყო ადაპტირებული თითოეული

ინდივიდის შესაძლებლობაზე. ამდენად, თუ ცდისპირი დროის ამოწურვამდე გადახზავდა ფურცელზე მოცემულ ყველა კვადრატს, მას აძლევდნენ ახალ ფურცელს სადაც ის აგრძელებდა ტესტის შესრულებას. ცდისპირის ინდივიდუალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა გადახზული კვადრატების რაოდენობა. ვერბალურ დავალებად კვლევაში გამოიყენეს ვერბალური ხანმოკლე მეხსიერების მოცულობის განსასაზღვრი დავალება, რომელიც მოითხოვდა ციფრების მიერ ციფრების მიმდევრობით აღდგენას. ამ დავალების შესრულების მაჩვენებელს წარმოადგენდა საუკეთესოდ აღდგენილი მიმდევრობში ციფრთა რაოდენობა. შემდეგ ცდისპირი ორი წუთის განმავლობაში აღადგენდა ინდივიდუალურ დონეზე ციფრების სხვადასხვა კომბინაციას. ამის შემდეგ ცდისპირს ორი წუთის მანძილზე ორივე დავალება ერთდროულად უნდა შეესრულებინა (Della Sala et al., 1995). აღნიშნული კვლევა ტარდებოდა ალცჰეიმერის დაავადების მქონე და ჯანმრთელ პირებზე. ორი დავალების სიმულტანური შესრულების დროს კვლევაში მონაწილე ყველა ალცჰეიმერის მქონე პირმა საკონტროლო ჯგუფისაგან განსხვავებით გამოავლინა ვერბალური დავალების შესრულების გაუარესება. განსხვავებული შედეგები მიიღო Green–მა ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტების ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ზემოაღწერილი მეთოდით კვლევაში (Green et al., 1995), რომელმაც გამოავლინა აღნიშნული დაავადების მქონე პაციენტების მიერ მოტორული დავალების შესრულების გაუარესება. ზემოაღწერილ კვლევებში მიღებული განსხვავებული შედეგების მიზეზი, სავარაუდოდ, შესაძლოა იყოს სხვადასხვა ცდისპირის მიერ შესრულების დროს გამოყენებული დავალების შესრულების განსხვავებული სტრატეგიები. Logie–სა და მისი კოლეგების მიერ (Logie et al., 2004) გამოითქვა მოსაზრება, რომ პაციენტები უფრო მოტივირებულები არიან ვერბალური დავალების შესასრულებლად მოტორულთან შედარებით, რადგან პაციენტების მოსაზრებით ექსპერიმენტატორისათვის ვერბალური დავალების შესრულების ხარისხი უფრო თვალსაჩინოა ვიდრე მოტორულის, და ცდისპირები ვერბალური დავალებისადმი მეტი მონდომების გამოჩენით ცდილობენ უკვე არსებული კოგნიტური დეფიციტის შენიღბვას.

ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის დასახვეწად ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ფურცლისა და ფანქრის პერცეფტულ–მოტორული დავალების ახალი, უფრო მარტივი მოდიფიცირებული ვერსია – „თბილისის

ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალება“ (Inasaridze et al., 2006b), რომელიც გამოყენების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელია მომხმარებლისათვის. კვლევაში გამოვლინდა, რომ ორმაგი დავალების მოდიფიცირებული მეთოდი კომპიუტერული ვერსიის ექვივალენტურია და მსგავს შედეგებს იძლევა (Inasaridze et al., 2006b).

### 5.3. ორმაგი დავალების კომბინირებული *mu* ქულა

ზოგჯერ ორმაგი დავალების (კომპიუტერული ან ფურცლისა და ფანქრის ვერსიის) რომელიმე ცალკეული კომპონენტის შესრულებისას ვერ ხერხდება ნორმასა და პათოლოგიას შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავების გამოვლენა, რაც თავის მხრივ საჭიროებს ორივე კონკურენტული დავალების კომბინირებული ქულის შემოღებას. ორმაგი დავალების შესრულების შედეგების ინტერპრეტაცია გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან თითოეული ცდისპირი განსხვავებულად ასრულებს ყურადღების გადანაწილებას ორ სუბტესტს შორის. მაგალითად, სუბიექტი შესაძლოა ასრულებდეს ორივე დავალებას ერთდროულად, ან ახდენდეს კონცენტრირებას ერთი რომელიმე დავალების შესრულებაზე (მეორე დავალებისადმი კონცენტრაციის შემცირების ხარჯზე) (Della Sala et al., 1995). ამდენად ორმაგი დავალების კომბინირებული ქულა შესაძლოა დამოკიდებული იყოს სავარაუდო კომბინირების მეთოდებზე და შესაბამისად უნდა ეფუძნებოდეს პროცესების დეტალურ ანალიზს რომლებიც საფუძვლად უდევს აღნიშნული დავალების სირთულის სხვადასხვა დონეზე შესრულებასა და დავალებების კომბინირებას. ვინაიდან ზემოაღწერილი ანალიზის განხორციელება დღესდღეობით შეუძლებელია, ორმაგი დავალების პირობებში შესრულების შესაფასებლად შემოღებულია კომბინირებული *mu* ქულა.

გარდა ამისა, ორმაგი დავალების ერთიანი ინდექსი განისაზღვრა ფსიქომეტრიული მოსაზრებითაც ცალკეული პაციენტის კლინიკური შეფასების განსახორციელებლად. ორმაგი დავალების კლინიკური თვალსაზრისით გამოყენება მიზანშეწონილი იყო იმ შემთხვევაში თუ ტესტირების შედეგად მიღებული პაციენტის ინდივიდუალური ქულით შესაძლებელი გახდებოდა ფუნქციონალური დარღვევის არსებობის განსაზღვრა. ამდენად, აუცილებლობას წარმოადგენდა განსაზღვრულიყო შესრულების ზღვრული ქულა (cut off score), რომელიც კლინიცისტს მისცემდა

საშუალებას ეჭვი შეეტანა თავის ტვინის დაზიანების არსებობაში. ყოველივე ზემოაღნიშნული შეისწავლეს Baddeley-მ და მისმა კოლეგებმა ჯანმრთელ პირებზე დემოგრაფიული ცვლადების გათვალისწინებით (ასაკი, სქესი, განათლება) ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის გამოყენებით (Baddeley et al., 1997). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ *mu* ქულის განაწილება იყო სიმეტრიული (დაახლოებით ნორმალური) და *mu* ქულა უმნიშვნელოდ კორელირებდა ასაკთან. მდებრობითსა და მამრობით სქესს შორის განაწილება არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. გამოყვანილი ქულა, ექსპერიმენტის შედეგების თანახმად, არ ასახავდა ინდივიდის მიერ დახსომებული ციფრების მოცულობას. Della Sala-სა და მისი კოლეგების მიერ განხორციელებულ კვლევაში გამოვლინდა *mu* ქულის უმნიშვნელო სანდობა, რაც შესაძლოა განპირობებული იყო ორმაგი დავალების კვლევებში შერჩევის მოცულობის სიმცირით და პროცედურული ასპექტებით, რაც ამარტივებს *mu* ქულის ინტერპრეტაციას (Della Sala et al., 1997).

#### 5.4. ორმაგი დავალება ADHD-ის დროს

როგორც ცნობილია, ბავშვებსა და მოზარდებთან სწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუშა მეხსიერება (Alloway & Gathercole et al., 2006; Clair-Thompson & Gathercole, 2006). იგი მნიშვნელოვანია შემეცნებითი პროცესებისათვის (De Jong, 2006; Cain, 2006; Bull & Espy, 2006). ზოგიერთი მეცნიერი, რომელიც კითხვის პროცესს იკვლევს თვლის, რომ ორმაგი დავალების საშუალებით შესაძლოა კარგი და ცუდი კითხვის უნარის მქონე პირების ერთმანეთისაგან გამოყოფა (Yap & Van Der Leij, 1994; Nicolson & Fawcett, 1990, 1995, 2000; Nicolson, Fawcett, & Dean, 2001). ცენტრალური აღმასრულებლის ერთ-ერთი ფუნქცია – ყურადღების გაყოფის უნარი აუცილებელია როგორც ყოველდღიური ასევე დასწავლის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის კვლევა ნორმალურად განვითარებულ და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებში, რათა მოხდეს საკლასო გარემოში როგორც ქცევის ასევე განათლების შესაძლებლობის როგორც ნორმალური, ასევე პათოლოგიური ფუნქციონის უკეთ გაგება.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე პირებთან ორმაგი დავალების კოორდინაციის შესაძლებლობაზე ზოგადად მცირე რაოდენობის

ექსპერიმენტია ჩატარებული, რომლებშიც გამოყენებულია ორმაგი დავალების განსხვავებული მეთოდები (Schachar & Logan, 1990; Wimmer et al., 1999; Cornoldi et al., 2001; West et al., 2002; Karatekin, 2004; Savage et al., 2006; Fuggetta, 2006; Leitner et al., 2007; Müller et al., 2007; Hwang et al., 2010). განხორციელებული კვლევების მხოლოდ მცირე ნაწილში გამოვლინდა ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის დეფიციტი (Wimmer et al., 1999; Cepeda et al., 2000; Karatekin, 2004; Savage et al., 2006; Fuggetta, 2006; Müller et al., 2007; Hwang et al., 2010; Ewen et al., 2012), ხოლო კვლევათა უმრავლესობაში არ დადასტურდა (Schachar & Logan, 1990; Cornoldi et al., 2001; West et al., 2002; Karatekin, 2004; Leitner et al., 2007). განხორციელებულ კვლევებში მეტწილად გამოიყენებოდა ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია (Baddeley, 1986; Baddeley et al., 1991; Logie et al., 2004; MacPherson et al., 2004). აღსანიშნავია, რომ ჩატარებულ კვლევათა უმრავლესობაში ორმაგი დავალების შესრულებისას არც ერთი დავალება არ იყო ადაპტირებული თითოეული ცდისპირის ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე. მხოლოდ რამდენიმე კვლევაში იყო გამოყენებული ტიტრაციის პროცედურა (Karatekin, 2004), ისიც მხოლოდ ერთი დავალებისათვის რაც თავის მხრივ ართულებს ორმაგი დავალების შესრულების დეფიციტის აღმოჩენას ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და მის ქვეტიპებთან ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით. ჩატარებულ კვლევებში ორმაგი დავალების პარადიგმაში გამოყენებული ზოგიერთი ინდივიდუალური დავალება თავისი ბუნებით კომპლექსურია, რადგანაც დატვირთულია სხვა კოგნიტური ფუნქციების წონებით. ამის გამო კვლევის შედეგები ასახავს უფრო აღნიშნული კოგნიტური ფუნქციების შესრულების გაძნელებას, ვიდრე თვით ორმაგი დავალების შესრულების გაძნელებას.

## 5.5. ორმაგი დავალების ნეიროანატომია

ორმაგი დავალების ნეიროანატომიური ბაზისის შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევები ძირითადად ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის საშუალებითაა განხორციელებული (Adcock et al., 2000; Herath et al., 2001; Jiang, 2004; Hesselmann et al., 2011; Tombu et al., 2011; Deprez et al., 2013; Takeuchi et al., 2014). ასე, Adcock-ისა და მისმა ჯგუფმა ფუნქციური მრტ გამოიყენეს თავის ტვინის აქტივაციის გამოსაკვლევად ორმაგი დავალების პარადიგმის შესრულების დროს (Adcock et al., 2000).



აღნიშნულ კვლევაში გამოიყენეს სამი სახის ტესტი – აუდიტორული, ვიზუალური და სივრცითი შემდეგი კომბინაციით: აუდიტორული + ვიზუალური და აუდიტორული + სივრცითი. კვლევის შედეგად მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ თავის ტვინში არ ვლინდება უბანი რომელიც სელექციურად აქტიურდება ორმაგი დავალების შესრულებისას. ზოგადად კი აღნიშნული პარადიგმის გამოყენების დროს გამოვლინდა შუბლისა და თხემის ასოციაციური მიდამოების ორმხრივი აქტივაცია. ნეიროვიზუალიზირების სხვა კვლევებში აღმოჩნდა ორმაგი დავალების პარადიგმის კავშირი შუბლისა და თხემის რეგიონებთან კონკრეტულად თხემის ზედა წილაკთან (superior parietal lobule (SPL)), თხემის ქვედა ხვეულთან (inferior parietal sulcus), შუბლის ქვედა ხვეულთან (inferior frontal sulcus), აგრეთვე შუბლის ზედა, შუა და ქვედა წილაკებთან (superior, middle and inferior frontal gyri), რომლებიც მუშა მეხსიერების მოდელის აღმასრულებელის ფუნქციობის სხვა პროცესებშიც არიან ჩართულნი (Herath et al., 2001; Jiang, 2004; Hesselmann et al., 2011; Tombu et al., 2011; Deprez et al., 2013; Takeuchi et al., 2014; Al-Hashimi et al., 2015).

## 6. კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება

ცნობილია, რომ ბავშვებთან მუშა მეხსიერება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სწავლის პროცესების მიმდინარეობაში. ამ მიმართულებით განხორციელებულმა კვლევებმა გამოავლინა მუშა მეხსიერების უნარების მჭიდრო კავშირი სწავლასა და აკადემიურ მოსწრებასთან (Alloway & Gathercole et al., 2006; Clair-Thompson & Gathercole, 2006). მნიშვნელოვანია მისი როლი შემეცნებით პროცესებშიც, რაც დასტურდება ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებში (Bull & Espy, 2006; Cain, 2006; De Jong, 2006). ამდენად, აღნიშნულ სტრუქტურაში არსებულმა ხარვეზებმა შესაძლოა გამოიწვიოს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. თუმცა, ჩატარებული კვლევებიდან ვლინდება, რომ მუშა მეხსიერების ფუნქციონირებაში დეფიციტის არსებობისას დროული ჩარევა აუმჯობესებს ბავშვების კოგნიტური ფუნქციონისა და სწავლის უნარს (Minear & Shah, 2006; Loosli et al., 2011). ყურადღების გაყოფის უნარი აღმასრულებლის ერთ–ერთი ფუნქციაა, რომელიც აუცილებელია როგორც ყოველდღიური დავალებების შესასრულებლად, ასევე განათლების პროცესში. ამდენად, ADHD–ის მქონე და ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებთან სწავლის უნარისა და საკლასო გარემოში ქცევის ნორმალური და პათოლოგიური ფუნქციონის უკეთ გაგებისთვის მნიშვნელოვანია ორმაგი დავალების კოორდინაციის შესაძლებლობის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ არც ერთ აქამდე განხორციელებულ კვლევაში არ შესწავლილა ორმაგი დავალების კოორდინაციაში არსებული შესაძლო განსხვავებები როგორც ზოგადად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე მის ქვეტიპებთან ორმაგი დავალების ისეთი პარადიგმის გამოყენებით, რომელშიც თითოეული ცდისპირი თითოეულ დავალებას ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამის სირთულის დონეზე ასრულებდა, რაც სწორედ წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენდა. არსებითი იყო იმ ფაქტორების (დავალების სირთულის დონე თუ ორი დავალების კოორდინაციის ზოგადი პრობლემა) შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ ADHD–ისა და მის ქვეტიპებთან ორმაგი დავალების შესრულებისას შესაძლო განსხვავებების არსებობას (შესრულების განსხვავებული პროფილების არსებობას). წარმოდგენილ კვლევაში დაიგეგმა დავალების სირთულესა და ყურადღების გაყოფას შორის შესაძლო ინტერაქციის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ

ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებში აქამდე არ იყო შესწავლილი ორმაგი დავალების შესრულების განვითარების ტრაექტორია, რისი კვლევაც დაიგეგმა წინამდებარე კვლევაში, მიღებული შედეგები კი გააუმჯობესებს ჯანმრთელ პირებში ცენტრალური აღმასრულებლის ფუნქციობის თავისებურებების შემეცნებას.

კვლევათა უმრავლესობაში გამოიყენებოდა ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია, რომლის გამოყენება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული (იხ. თავი 4). ამდენად, შემუშავდა (Baddeley et al., 1997; Della Sala et al., 1995) და შემდგომ დაიხვეწა (Inasaridze et al., 2006b) ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია. წარმოდგენილ კვლევაში დაიგეგმა ახლად შემუშავებული „თბილისის ფურცლისა და ფანქრის მატორული დავალების“ გამოყენებით ორმაგი დავალების შესრულებისა და განვითარების ტრაექტორიის შესწავლა როგორც ჯანმრთელ, ასევე ADHD-ის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან. კვლევამ განსაზღვრა შესაძლებელია თუ არა ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის წარმატებით გამოყენება განათლების სფეროში/გარემოში.

აღსანიშნავია, რომ ADHD-ის კოგნიტური ფუნქციობის კვლევისას მიღებულ შედეგებს შორის გამოვლენილი შეუთანხმებლობა სავარაუდოდ განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს კვლევებს შორის არსებული მეთოდოლოგიური განსხვავებები. აღმასრულებელი ფუნქციების, ყურადღებისა და მუშა მეხსიერების კვლევებში ხშირად არ ხდება კომორბიდული (თანმხლები) აშლილობების (მაგ., ოპოზიციურ-გამომწვევი ქცევითი აშლილობა, ქცევითი აშლილობა, აუტიზმი, ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ტურეტის სინდრომი, სწავლის უნარის დაქვეითება) გათვალისწინება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავისთავად ხასიათდებიან ცენტრალური აღმასრულებლის დეფიციტით (Sergeant et al., 2002; Ozonoff & Strayer, 1997; Geurts et al., 2004; Sjöwall et al., 2013). აგრეთვე კიდევ ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს, რომელიც აფერხებს ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და მის ქვეტიპებთან მუშა მეხსიერებისა და სხვა კოგნიტური უნარების ფუნქციობაში არსებული დეფიციტების გამოვლენას, წარმოადგენს აღმასრულებელი ფუნქციების გასაზომად გამოყენებული დავალებების კომპლექსური ბუნება. სხვადასხვა მკვლევარი ერთი და იმავე აღმასრულებელი ფუნქციის ოპერაციონალიზაციას განსხვავებულად ახდენს. შედეგი კი კვლევისათვის

არა ერთი, არამედ რამდენიმე აღმასრულებელი ფუნქციით დატვირთული დავალებების გამოყენებაა. გარდა აღნიშნულისა, აღმასრულებელი ფუნქციების შემსწავლელი დავალებების შესრულება მოითხოვს არა-აღმასრულებელი კოგნიტური პროცესების გამოყენებას, რაც თავის მხრივ ართულებს აღმასრულებლის ფუნქციობაში არსებულ ბაზისურ დეფიციტთა გამოვლენას. ეს კი გაურკვეველს ხდის ADHD-ის ქვეტიპებს შორის კოგნიტურ ფუნქციობაში არსებულ ნებისმიერ განსხვავებას. ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ADHD-ისა და საკონტროლო პირებს შორის და აგრეთვე ADHD-ის ქვეტიპებს შორის კოგნიტურ ფუნქციობაში არსებული განსხვავებების აღმოჩენაზე წარმოადგენს ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის დიდი ასაკობრივი ინტერვალების აღება. წარმოდგენილ კვლევაში განისაზღვრა მცირე ასაკობრივი ინტერვალები და შესაბამისად სტატისტიკური ანალიზი შესრულდა ამ ასაკობრივ ჯგუფებზე როგორც ADHD-ის მქონე, ასევე ჯანმრთელი პირებისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტისათვის მცირე შერჩევების აღება ამცირებს სტატისტიკური ანალიზის სიმძლავრეს და აფერხებს საკვლევ ქვეჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების გამოვლენას, რაც გათვალისწინებულია ამ კვლევაში და შესაბამისად კვლევისათვის აირჩა ADHD-ის მქონე და საკონტროლო პირების შედარებით დიდი შერჩევა. გარდა ამისა, საკვლევ ჯგუფებში შემავალი ცდისპირების ასაკისა და IQ-ს მიხედვით მკაცრმა შეთანადებამ გააუმჯობესა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების გამოვლენა.

ADHD-ის მქონე პირებთან გამოვლენილია მოტორული ფუნქციების განვითარების დარღვევა (DCD) (Brossard-Racine M et al., 2012; Fliers et al., 2010), რომელიც მეტ წილად ვლინდება ნატიფი და მსხვილი მოტორიკის განვითარების ჩამორჩენაში ტიპურად განვითარებულ ბავშვებთან და მოზარდებთან შედარებით (Lavasani et al., 2011; Scharoun et al., 2011), აგრეთვე დინამიკური და სტატიკური ბალანსის დარღვევებში (Mao HY et al., 2014). აღსანიშნავია, რომ დეფიციტი მოტორულ სფეროში არ ვლინდება ADHD-ის მქონე ყველა პაციენტში, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ მოტორული ფუნქციების განვითარების დარღვევა შესაძლოა იყოს არა ADHD-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომი, არამედ კომორბიდული ფაქტორი. ამდენად, აუცილებლობას წარმოადგენდა ზოგად მოტორულ ფუნქციობაში არსებული დეფიციტის კონტროლირება ჯანმრთელ პირებთან ADHD-ისა და მისი ქვეტიპების

შედარებისას აღმასრულებელი ფუნქციების ცვლილებების შესწავლის დროს, რათა დადგენილიყო განსაზღვრავს თუ არა ADHD-ისათვის დამახასიათებელი ზოგადი მოტორული ფუნქციების დარღვევა ორმაგი დავალების შესრულებაში გამოვლენილ ცვლილებებს, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია წარმოდგენილ კვლევაში.

კვლევაში დაიგეგმა გამოვლენა იმისა, თუ რამდენად ხასიათდებიან ADHD-ის ქვეტიპები აღმასრულებელი ფუნქციების, კერძოდ კი ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის დეფიციტთა განსხვავებული პროფილით. ორმაგი დავალების პარადიგმის შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ADHD-ის კოგნიტური და ნეირობიოლოგიური ცვლილებების გაგებაში, ახალი დიფერენციალური სწავლების სტრატეგიებისა და რეაბილიტაციური პროგრამების განვითარებაში ADHD-ის სხვადასხვა ქვეტიპის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის. იგი ხელს შეუწყობს ADHD-ისა და მისი ქვეტიპებისათვის დიაგნოსტიკური კრიტერიუმების დახვეწას და ADHD-ის ქვეტიპებს შორის კოგნიტურ ფუნქციობაში არსებული განსხვავებებისადმი სენსიტიური ნეიროფსიქოლოგიური ტესტების იდენტიფიცირებას. ADHD-ის ქვეტიპებისათვის დამახასიათებელი კოგნიტური დარღვევების ბუნების უკეთ შესწავლა ხელს შეუწყობს სამედიცინო/ფარმაკოლოგიური მიდგომების დახვეწას, რაც თავის მხრივ ADHD-ის ქვეტიპებში არსებულ კოგნიტურ დეფიციტებს შეამსუბუქებს. მომზადდება კოგნიტური ტესტური ბატარეების ადაპტური ვერსიები და განისაზღვრება ნორმები ქართული პოპულაციისათვის.

## 7. კვლევის მიზანი და ამოცანები

წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანი იყო მრავალფუნქციური მუშა მესხიერების მოდელის ცენტრალური აღმასრულებელი კომპონენტის ერთერთი ფუნქციის – ორმაგი დავალების კოორდინაციის კვლევა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის (ADHD) მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და ამ სინდრომის ქვეტიპებთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კვლევის მიზნები. წარდგენილ კვლევაში დასახული იყო:

1. ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის კვლევა ADHD-ის მქონე პირებთან:
  - 1.1 ორმაგი დავალების შესრულების მახასიათებლების დადგენა ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებთან ორმაგი დავალების პარიდიგმის კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისათვის;
  - 1.2 ორმაგი დავალების კოორდინაციის უნარის განვითარებაში შესაძლო ცვლილებების განსაზღვრა როგორც ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებისათვის, ასევე ADHD-ის ქვეტიპებისათვის (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
  - 1.3 კვლევა იმისა ახდენს თუ არა დავალების სირთულის დონის გაზრდა არაპროპორციულ ზეგავლენას ორმაგი დავალების შესრულებაზე ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
  - 1.4 ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის შედეგების კომპიუტერული ვერსიის შედეგებთან შედარება შედეგების იდენტურობის შემოწმების მიზნით როგორც ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
  - 1.5 კვლევა იმისა, განაპირობებს თუ არა ზოგადი მოტორული ფუნქციონირების დეფიციტი ორმაგი დავალების დეფიციტს ADHD-ის მქონე ბავშვებთან და

მოზარდებთან და ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ პირებთან შედარებით.

2. კომორბიდული ფაქტორების (მაგ., ქცევითი აშლილობა, ოპოზიციურ-გამომწვევი აშლილობა) როლის კვლევა ორმაგი დავალების დეფიციტის განსაზღვრაში როგორც ზოგადად ADHD-ის მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან, ასევე ADHD-ის ქვეტიპებთან (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI) ასაკითა და IQ-თი შესაბამებულ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარებით;
3. კოგნიტური ტესტური ბატარეების ადაპტური ვერსიების მომზადება და ნორმების განსაზღვრა ქართული პოპულაციისათვის.

ექსპერიმენტული

ნაწილი



## 8. კვლევის მეთოდები და ცდისპირები

### 8.1. კვლევაში გამოყენებული დავალებები

#### 8.1.1. ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსია

ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის გამოყენებით წარმოებულ ექსპერიმენტში ცდისპირებს უტარდებოდათ ვერბალური დავალება და კომპიუტერული მოტორული დავალება, როგორც ცალკეულად ასევე ერთდროული შესრულებით ორმაგი პარადიგმის დროს.

*ვერბალური დავალება.* ამ დავალების შესრულებისას ცდისპირებს ევალებოდათ კომპიუტერით (Cool Edit Pro 2.0 და Superlab 1.03 პროგრამის გამოყენებით) მოსმენილი ციფრების მიმდევრობების გამეორება. სხვადასხვა კომბინაციებით წარდგენილი ციფრების (ერთიდან ცხრის ჩათვლით) სხვადასხვა რაოდენობა ჩაწერილი იყო პროფესიონალი დიქტორის მიერ. მიმდევრობაში მოცემული ციფრების წარდგენის სიჩქარე იყო ერთი ციფრი ერთ წამში. ციფრების მოცულობის განსასაზღვრად თითოეული სიგრძის მიმდევრობისათვის მოცემული იყო ციფრთა ექვსი კომბინაცია, საწყისი მიმდევრობა კი შედგებოდა ორი ციფრისაგან. ცდისპირის ინდივიდუალური მეხსიერების მოცულობა განისაზღვრებოდა იმ მიმდევრობის ციფრთა რაოდენობით რომელსაც ცდისპირი 6 წარდგენიდან 5-ჯერ სწორად აღადგენდა. ამის შემდეგ სუბიექტი მეხსიერების მოცულობის ინდივიდუალური დონის შესაბამისად ასრულებდა ვერბალური დავალებას ორი წუთის განმავლობაში.

*მოტორული დავალება.* აღნიშნულ დავალებაში ცდისპირებს ევალებოდათ ელექტრული ფანქრით მიედევნებინათ 30<sup>0</sup> კუთხის დახრილობით განთავსებულ მონიტორზე (314 მმ × 216 მმ) წარდგენილ სამიზნეზე, რომელიც წარმოადგენდა 2,5 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის წითელ ოვალს შავი წერტილებით (ე.წ. ჭიამაია, ვინაიდან ვიზუალურად ჰგავს ამ მწერს). ჭიამაია მოთავსებული იყო მონიტორის ცენტრში და მასზე ელექტრული ფანქრით ორჯერადად დაწკაპუნების შემდეგ იწყებდა შემთხვევითი ტრაექტორიით მოძრაობას. გადაადგილების სიჩქარე საწყის დონეზე დაახლოებით წამში 3,5 სმ-ის ტოლი იყო და მომდევნო დონეზე გადასვლისას ერთი სმ-

ით იზრდებოდა (მაგ., I დონეზე წამში – 3,5 სმ, II დონეზე – 4,5 სმ, ხოლო X დონეზე – 12,5 სმ). ჭიამაია წითელი ფერის იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ცდისპირი ასწრებდა მასზე ელექტრული ფანქრის მიდევნებას - მასთან ელექტრული ფანქრის წვერით კონტაქტის შენარჩუნებას, ხოლო მწვანდებოდა იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი მას ასცდებოდა. სამიზნე იწყებდა მოძრაობას 4,5 სმ წამში და გადადიოდა შემდეგ დონეზე თუ ცდისპირი აღნიშნული სიჩქარეზე ახერხებდა 5 წამის (დროის დაახლოებით 60%) მანძილზე მისთვის ელექტრული ფანქრის მიდევნებას. თუ სამიზნეზე ელექტრული ფანქრის წვერის კონტაქტის დრო 40% ნაკლები იყო ცდისპირი გადადიოდა უფრო დაბალ დონეზე, ხოლო თუ კონტაქტის დრო მოთავსებული იყო 40%-სა და 60%-ს შორის, სიჩქარის დონე უცვლელი რჩებოდა. მოტორული დავალების სიჩქარე ცდისპირისათვის განსაზღვრულად ითვლებოდა იმ შემთხვევაში თუ სიჩქარის დონე 15 წამის (სამი 5 წამიანი პერიოდი) მანძილზე უცვლელი რჩებოდა. მოტორული დავალების ადაპტურ ფაზაში დაღლილობისა და გავარჯიშების ეფექტის გამოსარიცხად სიჩქარის დონე ერთი საფეხურით იცვლებოდა 1–დან 5-მდე საფეხურებზე, როლო სიჩქარის მაღალი დონეებისათვის ცვლილება ხდებოდა ორი საფეხურით (Cocchini et al., 2002).

**ორმაგი დავალება.** ორმაგი დავალების კოორდინაციის დროს ცდისპირები ერთდროულად ასრულებდნენ როგორც ვერბალურ, ასევე მოტორულ დავალებას.

ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის გამოყენებით წარმოებულ ექსპერიმენტში საკვლევ პირებს უტარდებოდათ ვერბალური დავალება (ერთი დავალება), შემდეგ კომპიუტერული მოტორული დავალება (ერთი დავალება), შემდგომ ორმაგი დავალება (ვერბალური და მოტორული დავალებები ერთად), შემდეგ ორმაგი დავალების რეტესტი, ბოლოს კი ვერბალური (ერთი დავალება) და მოტორული (ერთი დავალება) დავალებების რეტესტი გავარჯიშების, მოტივაციისა და დაღლილობის ეფექტების ზეგავლენის განსასაზღვრად. თითოეული დავალების (როგორც ერთი, ასევე ორმაგი) ხანგრძლივობა ორი წუთი იყო. ვერბალური და მოტორული ერთი დავალების მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო ცდისპირებს შორის.

ADHD-ისა და მისი ქვეტიპების მიერ ორმაგი დავალების შესრულებაზე სირთულის ზეგავლენის შესასწავლად განისაზღვრა სირთულის სამი დონე, როგორც

მეხსიერების, ასევე მოტორული დავალებისათვის. მოტორული დავალებისათვის სირთულის დაბალ დონედ აღებულ იქნა ცდისპირის ინდივიდუალური მოტორული სიჩქარის 0.5 ნაწილი, სტანდარტულ დონედ – მისი ინდივიდუალური სიჩქარე, ხოლო მაღალ დონედ – ინდივიდუალური მოტორული სიჩქარის 1.5 ნაწილი. ვერბალური დავალებისათვის სირთულის დაბალი დონე განისაზღვრა როგორც საკვლევი პირის ვერბალური მეხსიერების მოცულობას  $-2$ , სტანდარტული დონე – როგორც ცდისპირის ინდივიდუალური ვერბალური მეხსიერების მოცულობა, ხოლო სირთული მაღალი დონე – ვერბალური მეხსიერების მოცულობას  $+2$ . კვლევაში მონაწილე პირებს ჩაუტარდათ 6 ერთი დავალება (3 მოტორული და 3 ვერბალური), რომელთა მიწოდების რიგირ დაბალანსებული იყო საკვლევ პირებს შორის. მათ ჩაუტარდათ 6 ორმაგი დავალება, რომელთაგან სამში მოტორული დავალების სირთულის დონე იყო ფიქსირებული ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო ვერბალური დავალებების სირთულის დონეები იცვლებოდა. დანარჩენ 3 ორმაგ დავალებაში ვერბალური დავალების სირთულის დონე იყო ფიქსირებული ინდივიდუალურ დონეზე, ხოლო მოტორული დავალების სირთულის დონე იცვლებოდა. ყველა ზემოაღწერილი ორმაგი დავალების მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო საკვლევ პირებს შორის (Logie et al., 2004).

### 7.1.2. ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია.


ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიაში საკვლევ პირებს ევალებოდათ ვერბალური და მოტორული დავალებების შესრულება, როგორც ცალკეულად, ასევე სიმულტანურად ორმაგი დავალების პარადიგმაში.

**ვერბალური დავალება.** აღნიშნული ტიპის დავალება ერთნაირი იყო ორმაგი დავალების როგორც კომპიუტერული ასევე ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისათვის.

**ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალება.** აღნიშნულ დავალებაში გამოიყენებოდა Inasaridze-ისა და მისი კოლეგების მიერ ახლად შემუშავებული „თბილისის ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალება“ (Inasaridze et al., 2006b), რომელიც წარმოადგენს A3 ფორმატის ფურცელზე ერთი მეორის მიყოლებით ვერტიკალური ჯაჭვის პარალელების სახით განლაგებულ 373 შეფერადებულ ისარს, რომლებიც ერთმანეთთან 1 სმ ხაზებით არიან შეერთებულნი. თითოეული ისრის სისქე 5 მმ იყო, ხოლო სიმაღლე 7 მმ. (სურ. 4). ცდისპირებს ამ დავალების შესასრულებლად


მოტორული დავალების ფიგურების ნიმუში. ა) მოტორული დავალების ფურცლისა და ფანქრის ძველი ვერსია; ბ) „თბილისის ფურცლისა და ფანქრის ვერსია“.

ა.



NAME..... DATE..... TOTAL SCORE.....

ბ.



დახაწვისა      ხაზული      თანადი      ქაღალდი      დახაზული

გადასვლა

ევალუბოდათ კალმით ისრების ჯვრებით გადახაზვა მიყოლებით დასაწყისიდან ბოლოსკენ რაც შეიძლება სწრაფად. ძირითადი დავალების შესრულებაზე გადასვლამდე ცდისპირებს ეძლეოდათ გასავარჯიშებელი A4 ფორმატის იგივე დიზაინით განლაგებული 35 ისრიანი ფურცელი. პროცედურის ინსტრუქციის გაგების შემდეგ საკვლევი პირები გადადიოდნენ ძირითადი დავალების შესრულებაზე. თითოეული მოტორული დავალების შესასრულებლად მათ ორი წუთი ეძლეოდათ.

**ორმაგი დავალება.** ორმაგი დავალების დროს ცდისპირებს ევალუბოდათ ვერბალურისა და მოტორული დავალებების ერთდროული შესრულება.

### **8.1.3. ვექსლერის ინტელექტის შესაფასებელი სკალა (WISC III)**

კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვსა და მოზარდს ჩაუტარდა პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და ქართული ენის სპეციალისტების მიერ მომზადებული ბავშვების ინტელექტის შესაფასებელი სკალის (WISC III, 1992) ქართული ვერსია. აღნიშნული ბატარეა, რომლის ჩატარება 50–75 წუთს საჭიროებს, 13 სუბტესტისაგან შედგება, რომელთაგან 6 ვერბალურია (ინფორმაცია, ანალოგიები, არითმეტიკა, ლექსიკონი, გაგება, ციფრები) 7 კი პერფორმული (სურათების დასრულება, კოდირება, სურათების დალაგება, კუბები, ობიექტების აწყობა, სიმბოლოების ძიება, ლაბირინთი). თითოეულ სუბტესტში შემავალი დავალებების რაოდენობა 10–დან 30–მდე ვარიირებს და თანდათანობით რთულდება შესრულების თვალსაზრისით. თითოეული სუბტესტისათვის გაწყვეტის კრიტერიუმად ითვლება ორი დავალების ზედიზედ წარუმატებელი შესრულება. WISC–ის ბატარეის საშუალებით შესაძლებელია ბავშვის/მოზარდის როგორც ზოგადი ინტელექტუალური შესაძლებლობების ასევე ცალკეული კოგნიტური სფეროების (მაგ., ვერბალური გაგების ინდექსი, ვიზუალურ-სივრცითი ინდექსი, ფლუიდური აზროვნების ინდექსი, მუშა მეხსიერების ინდექსი, ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარის ინდექსი) ფუნქციონების შეფასება. ვექსლერის ბატარეის მიხედვით კვლევიდან გამოირიცხნენ ცდისპირები, რომელთა სრული სკალის IQ–ს 80–ზე ნაკლები იყო.

### **8.1.4. მოტორული ფუნქციონირების შესაფასებელი ბატარეა (MABC)**

კვლევაში ჩართული ყველა საკვლევი პირის მოტორული ფუნქციონირების ზოგადი დონე (წვრილი და მსხვილი მოტორიკა, აგრეთვე სტატიკური და დინამიკური ბალანსი) შეფასდა MABC-2 (the Movement Assessment Battery for Children –Second Edition, Henderson & Sugden, 2007) გამოყენებით. აღნიშნული ბატარეა გამოიყენება ბავშვებსა და მოზარდებთან (ასაკობრივი ზღვარი 3–16 წ) დარღვეული მოტორული უნარების გამოსავლენად. ტესტის ჩატარება საჭიროებს 20–40 წუთს.

## 8.2. ცდისპირები



ორმაგი დავალების შემთხვევით კონტროლირებული კვლევა (case control study) ჩატარდა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე და ჯანმრთელ ბავშვებსა და მოზარდებზე. ჯანმრთელი ბავშვებისა და მოზარდების კვლევაში ჩართვამ ხელი შეუწყო ADHD-ს მქონე ბავშვებსა და მოზარდებთან ორმაგი დავალების შესრულებაში შესაძლო განვითარების დევიაციის განსაზღვრას ჯანმრთელ პირებთან შედარებით.

წარმოდგენილ კვლევაში ჩაერთო 91 ჯანმრთელი 6–16 წლის და 91 ADHD-ს მქონე 6–16 წლის ბავშვი და მოზარდი, რომლებიც შეირჩნენ თბილისის სხვადასხვა სკოლიდან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ნევროლოგიური განყოფილებიდან. კვლევაში ჯანმრთელ ბიჭებთან (46%) შედარებით უფრო მეტი ADHD-ის მქონე ბიჭი (64%) მონაწილეობდა ( $\chi^2 = 5.682, df=1 p<.017$ ). ასაკობრივი დიაპაზონი MABC-2-ის ასაკობრივი გადანაწილების თანახმად დაიყო 3 საკვლევ ჯგუფად (6-6.11; 7-10.11; 11-16). თითოეული ჯგუფის ასაკობრივი და სქესობრივი, აგრეთვე ADHD-ის ქვეტიპებისა და კომორბიდული მდგომარეობების რაოდენობრივი/პროცენტული მაჩვენებელი წარმოდგენილია ცხრილში 1 და ნახაზებზე 1 და 1<sup>ა</sup>. ჯანმრთელი საკვლევი პირების საშუალო ასაკობრივი მაჩვენებელი იყო 9.65 (SD=2.66), ხოლო ADHD-ის მქონე ბავშვების/მოზარდების – 9.73 (SD=2.68). საკონტროლო პირების განათლების წლების საშუალო მაჩვენებელი 4.46 (SD=2.65) იყო ADHD-ის ჯგუფისა კი 4.46 (SD=2.66). WISC-III-ის ჯამური უმი ქულის მიხედვით ჯანმრთელ (M=269.77, SD=73.17) და ADHD-ის (M=252.01, SD=81.34) მქონე საკვლევ ჯგუფებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება  $t(175)=1.525, p=.129$ .



**ცხრილი 1.**

საკონტროლო და ADHD-ის მქონე საკვლევი პირების რაოდენობრივი/ პროცენტული გადანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით.

182 ცდისპირი		საკონტროლო ჯგუფი	ADHD-ის მქონე ჯგუფი
N(%)		91(50%)	91(50%)
სქესი	გოგონები 82 (45.1%)	49(59,8%)	33 (40,2%)
	ვაჟები 100 (54,9%)	42 (42,0%)	58 (58,0%)
ასაკი	6–6.11 წლები 21(11,5%)	10(47,6%)	11(52,4%)
	7–10.11 წლები 98(53,8%)	49(50%)	49(50%)
	11–16 წლები 63(34,6%)	32(50,8%)	31(49,2%)
კომორბიდულობა		9(12,2%)	65(87,8%)
	ODD	8(12,1%)	58(87,9%)
	CD	3(6,5%)	43(93,5%)
ADHD-ის ქვეტიპები		უყურადღებო	კომბინირებული
		21 (23.1 %)	48 (52,7%)
		30პერაქტიურ/ იმპულსური	22 (24,2%)







ADHD-ის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების თანახმად განისაზღვრა ADHD და მისი ქვეტიპები (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI), აგრეთვე განხორციელდა ისეთი კომორბიდული დარღვევების დიაგნოსტიკა როგორებიცაა ქცევითი აშლილობა (CD), ოპოზიციურ-გამომწვევი ქცევითი აშლილობა (ODD), ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, ტურეტის სინდრომი და სხვა. კვლევაში გამოიყენებოდა მშობლისა და მასწავლებლის მიერ შესაფასებელი 45 პუნქტიანი ქცევითი აშლილობის სკალა (DBD) (Pelham et al., 1992), რომელიც ეფუძნება მენტალური აშლილობების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოს (DSM-IV-TR). აღნიშნული სკალის საშუალებით განისაზღვრებოდა აკმაყოფილებს თუ არა ბავშვის/მოზარდის ქცევა DSM-IV-TR-ის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებს ADHD-ისა და მისი ქვეტიპებისათვის (ADHD-C, ADHD-PH, ADHD-PI), ODD-თვის, ან CD-თვის. საკონტროლო ჯგუფის DBD-ის საშუალო მაჩვენებელი იყო 23.50 (SD=13.11), ხოლო ADHD-ის მქონე ბავშვების/მოზარდების – 64.25 (SD=20.17) (Bzhalava V. Inasaridze K., 2017).

SNAP-IV (Swanson et al, 1983), რომელიც 90 კითხვისაგან შედგება, წარმოადგენს მასწავლებელთა და მშობელთა მიერ შესაფასებელ სკალას. ზემოხსენებული სკალა კვლევაში გამოიყენებოდა ADHD-ის დიაგნოზის უკეთ განსასაზღვრად და ADHD-ის ქვეტიპების დიაგნოსტიკისათვის და აგრეთვე ისეთი კომორბიდული დარღვევების შესაფასებლად, როგორებიცაა ქცევის პერიოდული ექსპლოზიური აშლილობა, სტერეოტიპული მოძრაობები, გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა, ნარკოლეფსია, ისტერიული პიროვნული აშლილობა, ნარცისტული პიროვნული აშლილობა, პერსონოლოგიური მოსაზღვრე აშლილობა, მანიაკალური ეპიზოდი, დიდი დეპრესიული ეპიზოდი, დისტიმური აშლილობა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ადაპტაციის დარღვევები.

აუტიზმის სიმპტომატიკა შეფასდა „სოციალური კომუნიკაციის კითხვარის“ (SCQ) გამოყენებით (Berument et al., 1999), რომლის საფუძველზეც კვლევიდან გამოირიცხნენ აუტიზმის სიმპტომების მქონე ბავშვები და მოზარდები.

კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვის/მოზარდის, როგორც საკონტროლო ჯგუფის ასევე ADHD-ის მქონე პირების, მშობელმა/მეურვემ შეავსო განვითარებისა და სამედიცინო ისტორიის შესაფასებელი კითხვარი, რომელიც მოიცავდა შეკითხვებს

პრენატალურ და პოსტნატალურ მდგომარეობაზე, ჩვილობის გართულებებზე, ადრეულ განვითარებაზე, სოციალურ და აკადემიურ ფუნქციონირებაზე. ბავშვის/მოზარდის სხვადასხვა გარემოში ქცევის შესასწავლად მშობლებს/მეურვეს ევალუბოდა ქცევის სიმპტომების შეფასება აშენბახის ბავშვის ქცევის 120 პუნქტიანი კითხვარით ასაკებისათვის 6–18 (CBCL/6-18), ხოლო მასწავლებლებს – აშენბახის მასწავლებლების მიერ შესაფასებელი ფორმის შევსება (TRF/6-18) (Achenbach, 2001). გარდა ქცევისა აღნიშნული კითხვარი აფასებს ბავშვის/მოზარდის ემოციურ და სოციალურ ასპექტებს. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ყველა ბავშვსა და მოზარდს ჩაუტარდა ნევროლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური კვლევა. კვლევიდან გამოირიცხნენ გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები (პირები, რომელთათვისაც WISC-III-ით შეფასებული სრული სკალის IQ ქულა 80-ზე ნაკლები იყო), თავის ტვინის ტრავმებისა და მნიშვნელოვანი ნევროლოგიური დარღვევების (მაგ., გულყრები) მქონე პირები, რომლებსაც აღენიშნებოდათ ნეიროფსიქოლოგიური დავალებების შესრულების ხელის შემშლელი ფიზიკური დარღვევები, მწვავე იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველების დარღვევები.

კვლევიდან გამოირიცხნენ საკონტროლო პირები, რომელთაც წარსულში ყურადღების პრობლემები აღენიშნებოდათ და ამ პრობლემების კორექციის მიზნით მათ სპეციალისტებს მიმართეს. კვლევიდან გამოირიცხნენ საკონტროლო პირები, რომლებსაც ჰყავდათ ADHD -ს მქონე პირველი თაობის ოჯახის წევრები.

მოსაზღვრე მდგომარეობების მქონე ინდივიდები, რომელთაც აღენიშნებოდათ უყურადღებო ან ჰიპერაქტიურ/იმპულსური ქვეტიპის 4 ან 5 თვისება გამოირიცხნენ მონაცემების ანალიზიდან, რადგან სიმპტომების აღნიშნული მაჩვენებელი ვერ აღწევდა კრიტერიალურ სიდიდეს.

საკვლევ ჯგუფებში (როგორც საკონტროლო, ასევე ADHD) არანაკლებ 30 ცდისპირის ჩართვამ უზრუნველყო საკმარისი სიმძლავრე მონაცემთა ანალიზისათვის.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის დროს ADHD-ს, მისი ქვეტიპებისა და საკონტროლო პირთა ჯგუფები შესაბამებულები იყვნენ ასაკის, IQ-სა და სოციალური სტატუსის მიხედვით.

### 8.3. პროცედურები

წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა ჰელსინკის დეკლარაციის (1977) მედიცინაში კლინიკური კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვით. თითოეული ცდისპირის მშობლისაგან/მეურვისაგან მივიღეთ წერილობით ინფორმირებული თანხმობა კვლევის ჩატარებაზე და შესაბამისად კვლევაში ჩაერთნენ მხოლოდ ის ბავშვები/მოზარდები, რომელთა მშობლებიც დათანხმდნენ მათი შვილების კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. კვლევაში დაგეგმილი ექსპერიმენტები განსახილველად გადაეცა და თანხმობა მივიღეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ. კვლევა დამატებით განიხილა ეროვნული ეთიკის კომისიამ.

თავდაპირველად თბილისის სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს ჩაუტარდათ წინასწარი ინტერვიუ ADHD-ს სიმპტომების გასაცნობად და სავარაუდოდ ADHD-ს მქონე ბავშვების/მოზარდების გამოსავლენად. შემდეგ კი ჩატარდა გამოვლენილი პირების უფრო დეტალური ნეიროფსიქოლოგიური და ნევროლოგიური კვლევა და მასწავლებლებისა და მშობლების/მეურვეების მიერ მათი შეფასება. თავდაპირველად მასწავლებლებსა და მშობლებს/მეურვეებს ევალუბოდათ DBD-ს კითხვარის შევსება. ADHD-ს კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ისინი ავსებდნენ SNAP-IV და SCQ კითხვარებს. შემდგომ ფასდებოდა კომორბიდული ფაქტორები და კვლევიდან გამორიცხა აუტიზმის ან აუტისტური სპექტრის სიმპტომების მქონე ბავშვები/მოზარდები. კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვის/მოზარდის (როგორც საკონტროლო, ასევე ADHD-ის მქონე) მშობელმა/მეურვემ შეავსო კითხვარი ბავშვის განვითარებისა და ავადმყოფობის ისტორიის შესახებ (მეხსიერების კლინიკა, თბილისი 2006). ბავშვების/მოზარდების ზოგადი ქცევითი სიმპტომები შეფასდა მასწავლებლისა და მშობლის/მეურვის მიერ აშენბახის CBCL/6-18 და TRF/6-18) (Achenbach, 2001) კითხვარებით. შეფასების ანალოგიური პროცედურა გაიარეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული კლინიკის ნევროლოგიური განყოფილებიდან შერჩეულმა ADHD-ს მქონე ბავშვებმა/მოზარდებმა და მათმა მშობლებმა/მეურვეებმა.

ADHD-ს მქონე ბავშვთა/მოზარდთა მშობლები ორი დღით ადრე გაფრთხილებულები იყვნენ თავი შეეკავებინათ საკვლევი პირისათვის

ფსიქოსტიმულატორების (და არა რომელიმე სხვა დანიშნული მედიკამენტის) მიცემისაგან დაგეგმილ კვლევამდე 24 საათით ადრე.

კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვს/მოზარდს ჩაუტარდა WISC-III ტესტური ბატარეა. ცდისპირთა წამყვანი ხელი განისაზღვრა ლურჯის მიერ შემუშავებული მეთოდის საშუალებით.

წინამდებარე კვლევაში ჩართულმა ყველა ADHD-ს მქონე ბავშვმა/მოზარდმა გაიარა სრული ნევროლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური კვლევა, რათა კვლევიდან გამორიცხულიყო გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები (ისინი რომელთა WISC-III სრული სკალის IQ ქულა 80-ზე ნაკლები იყო), თავის ტვინის ტრავმებისა და სერიოზული ნევროლოგიური დაზიანებების მქონე ინდივიდები (მაგ., კრუნჩხვები), პირები, რომლებსაც აღენიშნებოდათ სომატური სტატუსის ისეთი გაურესება, რომელიც აფერხებდა ნეიროფსიქოლოგიური დავალებების შესრულებას, ან ხასიათდებოდა იმპრესიული და ექსპრესიული მეტყველების მწვავე დარღვევით. ADHD-ს მქონე ბავშვების/მოზარდების მოტორული ფუნქციების დეფიციტი შეფასდა MABC-2-ით.

ორმაგი დავალების ექსპერიმენტები ჩატარდა ერთი ექსპერიმენტული სეანსის განმავლობაში. ორმაგი დავალების ექსპერიმენტის დაწყებამდე ყველა ცდისპირი გადიოდა ვერბალური მეხსიერების მოცულობის დასადგენ პროცედურას. ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის გამოყენებით წარმოებულ ექსპერიმენტში საკვლევ პირებს ჯერ უტარდებოდათ ვერბალური დავალება (ერთი დავალება), შემდეგ კომპიუტერული მოტორული დავალება (ერთი დავალება), შემდეგ ორმაგი დავალება (ვერბალური და მოტორული დავალებები ერთად), შემდეგ ორმაგი დავალების რეტესტი, და ბოლოს ვერბალური (ერთი დავალება) და მოტორული (ერთი დავალება) დავალებები განმეორებით, გავარჯიშების, მოტივაციისა და დაღლილობის ეფექტების ზეგავლენის განსასაზღვრად. თითოეული დავალების (როგორც ერთის, ასევე ორმაგის) ხანგრძლივობა შეადგენდა ორ წუთს. ვერბალური და მოტორული დავალებების მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო მონაწილეებს შორის.

ADHD-ისა და მისი ქვეტიპების მიერ ორმაგი დავალების შესრულებაზე დავალების სირთულის დონის ზეგავლენის შესასწავლად განისაზღვრა სირთულის სამი დონე ვერბალური და კომპიუტერული მოტორული დავალებებისათვის.

მოტორული დავალებისათვის სირთულის დაბალ დონედ აღებულ იქნა საკვლევი პირის ინდივიდუალური მოტორული სიჩქარის 0.5 ნაწილი, სტანდარტულ დონედ – საკვლევი პირის ინდივიდუალური სიჩქარე, ხოლო სირთულის მაღალი დონედ – მოტორული სიჩქარის 1.5 ნაწილი. ვერბალური დავალებისათვის სირთულის დაბალ დონედ განისაზღვრა ინდივიდის ვერბალური მეხსიერების მოცულობას გამოკლებული 2, სტანდარტულ დონედ – საკვლევი პირის ვერბალური მეხსიერების მოცულობა, სირთულის მაღალ დონედ კი – ვერბალური მეხსიერების მოცულობას დამატებული 2. საკვლევ პირებს ჩაუტარდათ 6 ერთი დავალება ( 3 მოტორული და 3 ვერბალური), რომელთა მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო ცდისპირებს შორის და 6 ორმაგი დავალება, რომელთაგან სამში მოტორული დავალების სირთულის დონე იყო ფიქსირებული ცდისპირის ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე და ვერბალური დავალებების სირთულის დონეები იცვლებოდა, ხოლო დანარჩენ სამში – ვერბალური დავალების დონე იყო ფიქსირებული ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე, ხოლო მოტორული დავალების სირთულის დონე იცვლებოდა. 6 ორმაგი დავალების მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო საკვლევ პირებს შორის. თითოეული დავალების (სულ 12 დავალება) ჩატარების ხანგრძლივობა შეადგენდა 2 წუთს (Logie et al., 2004).

ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის გამოყენებით წარმოებულ კვლევაში საკვლევ პირებს ჯერ უტარდებოდათ ვერბალური დავალება (ერთი დავალება), შემდეგ ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალება (ერთი დავალება), შემდეგ ორმაგი დავალება (ვერბალური და მოტორული დავალება ერთად), შემდეგ ორმაგი დავალების რეტესტი, ბოლოს კი ვერბალური (ერთი დავალება) და მოტორული (ერთი დავალება) დავალებების რეტესტი გავარჯიშების მოტივაციისა და დაღლილობის ეფექტების ზეგავლენის განსასაზღვრად. ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის თითოეული დავალების მიმდინარეობის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 წუთს. ვერბალური და მოტორული ერთი დავალების მიწოდების რიგი დაბალანსებული იყო მონაწილეებს შორის.

ექსპერიმენტში ცდისპირების მონაწილეობის მიღების მოტივაციის შესანარჩუნებლად საკვლევ პირებს ტესტირების ბოლოს გადაეცათ სპეციალური წახალისება. ADHD-ის მქონე და საკონტროლო ჯგუფის გამოკვლეული პირების

ოჯახებს გადაეცათ ტესტირების შედეგები როგორც ვერბალური ასევე წერილობითი ფორმით.

## 9. კვლევაში მიღებული შედეგები

მიღებული მონაცემები დამუშავდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის სხვადასხვა მეთოდებით SPSS 20.0-ის გამოყენებით. ორმაგი დავალების ეფექტის განსასაზღვრად როგორც ვერბალური, ასევე მოტორული დავალებების შესრულებაზე მონაცემები დამუშავდა 2 ჯგუფი × 3 მდგომარეობაზე ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. Post hoc შედარებები ჩატარდა Bonferroni-ის ტესტის მეშვეობით. კორელაციური ანალიზი განხორციელდა Pearson-ის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით. ჯგუფების ერთმანეთთან შესადარებლად გამოვიყენეთ სტუდენტის  $t$  კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის, ხოლო ჯგუფების შიგნით შედარებებისთვის – სტუდენტის  $t$  კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის. რეგრესიული მოდელები შემოწმდა მრავალცვლადიან რეგრესიულ მოდელში ცვლადების საფეხურეობრივად უკუგამორიცხვის სტატისტიკური მეთოდის საშუალებით (the stepwise backward conditional method). არაპარამეტრული Mann Whitney U ტესტი გამოიყენებოდა დამოუკიდებელ შერჩევებში ჯგუფთა შორის შედარებების განსახორციელებლად.

### 9.1. ორმაგი დავალების მეთოდის კომპიუტერული ვერსია

ცხრილში 2 მოცემულია საკონტროლო და ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მეხსიერების მოცულობა ციფრების დახსომების დავალებაში, მათ მიერ ვერბალური და კომპიუტერული მოტორული დავალებების შესრულების მაჩვენებლები.


კომპიუტერულ მოტორულ დავალებაზე ორმაგი დავალების ეფექტის განსასაზღვრად მონაცემები დამუშავდა 2 (ჯგუფი – საკონტროლო და ADHD) X 2 (მდგომარეობა – დავალების ტიპი: ერთი და ორმაგი) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. ANOVA-მ აჩვენა სტატისტიკურად სანდო ეფექტი მდგომარეობისათვის  $F(1,179)=27.187$ ,  $MSE=21.776$ ,  $p<.0001$ ,  $\eta^2=.132$ ; ჯგუფისათვის  $F(1,179)=5.642$ ,  $MSE=158.564$ ,  $p<.018$ ,  $\eta^2=.031$  და ინტერაქციისათვის  $F(1,179)=4.298$ ,  $MSE=21.776$ ,  $p<.04$ ,  $\eta^2=.023$ . ვერბალური დავალებისათვის ANOVA-მ გამოავლინა მდგომარეობის სტატისტიკურად სანდო ეფექტი  $F(1,179)=22.88$ ,  $MSE=.009$ ,



საკვლევი ჯგუფების მიერ ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის ვერბალური და მოტორული დავალებების შესრულების საშუალო მაჩვენებლები

M (σ)	ციფრების მოცულობა	ვერბალური დავალება		ვერბალური დავალების რეტესტი		მოტორული დავალება (სიზუსტის შეფასება%)		მოტორული დავალების რეტესტი (სიზუსტის შეფასება%)	
		ერთი	ორმაგი	ორმაგი	ერთი	ერთი	ორმაგი	ორმაგი	ერთი
საკონტროლო	4.45 (.69)	.82 (.12)	.78 (.13)	.78 (.18)	.80 (.14)	54.26 (8.45)	57.84 (9.72)	57.07 (9.70)	57.55 (9.87)
ADHD	4.40 (.91)	.82 (.14)	.76 (.18)	.77 (.17)	.80 (.14)	52.13 (9.13)	53.67 (10.55)	52.09 (11.27)	53.69 (11.51)

ვერბალური და მოტორული დავალებების შესრულება ჯანმრთელი საკონტროლო პირებისა და ADHD-ის მქონე ბავშვების/მოზარდების მიერ.



ვერბალური მეხსიერების დავალება

კომპიუტერული მოტორული დავალება

$p < .0001$ ,  $\eta^2 = .113$ , მაგრამ არ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო ეფექტები ჯგუფისა ( $F < 1$ ) და მათი ინტერაქციისათვის ( $F < 1$ ). ADHD ჯგუფისაგან განსხვავებით საკონტროლო ჯგუფმა ერთი დავალების შესრულებასთან შედარებით გამოავლინა ორმაგი დავალების კონდიციაში კომპიუტერული მოტორული დავალების შესრულების სტატისტიკურად სანდო გაუმჯობესება (ნახაზი 2).

t-ტესტმა დამოკიდებული შერჩევებისთვის გამოავლინა საკონტროლო პირების მიერ კომპიუტერული ვერსიის მოტორული ორმაგი დავალების უკეთესი შესრულება ერთ დავალებასთან შედარებით  $t(89) = -5.229$ ,  $p < .0001$  ADHD-ის მქონე პირებისაგან განსხვავებით  $t(90) = -2.191$ ,  $p < .031$ .

კვლევაში მონაწილე თითოეული ცდისპირისათვის გამოთვლილ იქნა დავალების შესრულების ინდივიდუალური საერთო მაჩვენებელი – პროცენტული ცვლილება. პროცენტული ცვლილების მაჩვენებელი ახდენს დავალების შესრულების სიზუსტის პროცენტული ცვლილების კომბინირებას, რომელიც წარმოიქმნება ვერბალური ან მოტორული დავალებისათვის მის ცალკე შესრულებასა და ორმაგი დავალების პარადიგმაში შესრულებას შორის (Baddeley & Della Sala, 1996).

პროცენტული ცვლილების მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\text{პროცენტული ცვლილება} = \frac{\text{ერთი დავალების შესრულება} - \text{ორმაგი დავალების შესრულება}}{\text{ერთი დავალების შესრულება}} \times 100$$

თითოეული დავალებისათვის პროცენტული ცვლილების კომბინირება განხორციელდა შემდეგნაირად:

$$\text{პროცენტული ცვლილება} = 100 - \frac{\text{ვერბალურის \% ცვლილება} + \text{მოტორულის \% ცვლილება}}{2}$$

ცვლილება ( $\mu$ )

აღნიშნული ფორმულის ერთ–ერთ კვლევაში გამოყენებამ გამოავლინა ორმაგი დავალების შესრულების ცვლილება ალცჰეიმერის დაავადების მქონე პაციენტებსა და საკონტროლო პირებს შორის (Baddeley & Della Sala, 1996).

ვერბალური და მოტორული დავალებებისათვის გამოვითვალეთ პროცენტული ცვლილების ორი მაჩვენებელი. ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიისათვის განისაზღვრა  $\mu$  (mu) ქულა (იხ. ცხრილი 3).

მოტორული დავალების პროცენტული ცვლილების მაჩვენებლის უფრო მაღალი ქულა გამოვლინდა საკონტროლო ჯგუფისათვის ( $M=-7.07$ ,  $SD=12.35$ ) ADHD ჯგუფთან შედარებით ( $M=-3.36$ ,  $SD=13.67$ ), მაგრამ ამ მაჩვენებლებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობა ზღვრული აღმოჩნდა  $t(179)=-1.912$ ,  $p<.057$ . საკონტროლო ჯგუფისათვის უფრო მაღალი  $\mu$  ქულა ( $M =101.51$ ,  $SD=10.34$ ) გამოვლინდა ADHD ჯგუფთან შედარებით, მაგრამ ამ მაჩვენებლებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობაც ზღვრული აღმოჩნდა  $t(179)=1.847$ ,  $p<.066$  (იხ. ნახაზი 3).

## 9.2. ორმაგი დავალების პარადიგმის ფურცლისა და ფანქრის ვერსია

ცხრილში 4 მოცემულია საკონტროლო და ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მეხსიერების მოცულობა ციფრების დახსომების დავალებაში, მათ მიერ ფურცლისა და ფანქრის ვერსიის ვერბალური და მოტორული დავალებების შესრულების საშუალო მაჩვენებლები.


ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის მოტორული დავალებისათვის ANOVA სტატისტიკურმა მეთოდმა არ გამოავლინა სტატისტიკურად სანდო ეფექტები მდგომარეობისთვის ( $F<1$ ), ინტერაქციისათვის ( $F<1$ ) და ჯგუფისთვის ( $F<1$ ) (იხ. ნახაზი 4). საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლების შესრულება აღემატებოდა ADHD-ის ჯგუფის წარმომადგენლების შესრულებას, მაგრამ განსხვავების სტატისტიკური სანდოობა ზღვრული აღმოჩნდა.

ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიისათვის გამოთვლილ იქნა ორი პროცენტული ცვლილების მაჩვენებელი და  $\mu$  ქულა (იხ. ცხრილი 5). საკვლევ ჯგუფებში ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის პროცენტული ცვლილების მაჩვენებლებსა და  $\mu$  ქულას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავებები (იხ. ნახაზი 5).

პროცენტული ცვლილების მაჩვენებელი ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიისათვის.

M (σ)	ვერბალური დავალება	მოტორული დავალება	კომბინირებული $\mu$ ქულა
საკონტროლო ჯგუფი	4.06 (14.98)	-7.07 (12.3)	101.51 (10.34)
ADHD	6.51 (18.89)	-3.36 (13.67)	98.43 (12.01)


μ ქულის კომბინირებული პროცენტულობის ცვლილება ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიისათვის.




საკლვევი ჯგუფების საშუალო მაჩვენებლები ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის ვერბალური და მოტორული დავალებების შესრულებაზე.

M (σ)	ციფრების მოცულობა	ვერბალური დავალება		ვერბალური დავალების რეტესტი	მოტორული დავალება (სიზუსტის შეფასება%)		მოტორული დავალების რეტესტი (სიზუსტის შეფასება%)	
		ერთი	ორმაგი	ორმაგი	ერთი	ორმაგი	ორმაგი	ერთი
საკონტროლო	4.45 (.69)	.82 (.12)	.84 (.14)	.84 (.15)	114.38 (37.71)	113.96 (40.92)	117.79 (38.47)	123.51 (39.66)
ADHD	4.40 (.91)	.82 (.14)	.80 (.14)	.81 (.15)	111.23 (38.53)	108.98 (40.07)	111.72 (38.55)	124.33 (39.99)

ვერბალური და ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალების შესრულება საკონტროლო და ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდების მიერ.



ვერბალური მუხსიერების დავალება




ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალება



პროცენტული ცვლილების მაჩვენებელი ორმაგი დავალების ფურცლის და ფანქრის ვერსიისათვის.

M (σ)	ვერბალური დავალება	მოტორული დავალება	კომბინირებული $\mu$ ქულა
საკონტროლო ჯგუფი	-3.27 (17.29)	0.67 (13.12)	101.30 (9.97)
ADHD	0.08 (17.20)	1.60 (18.61)	99.14 (13.02)

კომბინირებული პროცენტული ცვლილების  $\mu$  ქულა ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიისათვის.



### 9.3. ტესტისა და რეტესტის კორელაცია ორმაგი დავალების კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიებისთვის

ტესტისა და რეტესტის საფუძველზე მიღებული მონაცემებისათვის სტატისტიკურად სანდო კორელაცია გამოვლინდა ორმაგი დავალების კომპიუტერული  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.36$ ,  $p<.0001$ ) და ფურცლისა და ფანქრის  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.37$ ,  $p<.0001$ ).

საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებისათვის საშუალო სიდიდის სანდოობა გამოვლინდა ტესტისა და რეტესტის მონაცემების კორელაციისას კომპიუტერული  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.50$ ,  $p<.0001$ ) და ფურცლისა და ფანქრის  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.39$ ,  $p<.0001$ ). ოდნავ ნაკლები სიდიდის ტესტ-რეტესტული სანდოობა გამოვლინდა ADHD-ის ჯგუფის წარმომადგენლებთან კომპიუტერული  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.24$ ,  $p<.025$ ) და ფურცლისა და ფანქრის  $\mu$  ქულებისათვის ( $r=.33$ ,  $p<.001$ ).

ორმაგი დავალების კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის ვერსიების  $\mu$  ქულებს შორის კორელაცია განისაზღვრა ( $r=.26$ ,  $p<.0001$ ), რათა დადგენილიყო იძლევა თუ არა ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსია ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის მსგავს შედეგს. საშუალო სიდიდის სტატისტიკურად სანდო კორელაცია გამოვლინდა საკონტროლო ჯგუფის ( $r=.29$ ,  $p<.007$ ) და ADHD-ის მქონე პირთათვის ( $r=.23$ ,  $p<.031$ ).


### 9.4. ADHD-ის ტიპის, სქესისა და კომორბიდული ფაქტორების ზეგავლენა ორმაგი დავალების კოორდინაციაზე

ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის მოტორულ დავალებაზე ADHD-ისა და სქესის ერთობლივი ეფექტის განსასაზღვრად ერთი და ორმაგი დავალების მონაცემები დამუშავდა 2 (ჯგუფი – საკონტროლო და ADHD)  $\times$  2 (ჯგუფი – გოგონები და ბიჭები)  $\times$  3 (მდგომარეობა – დავალების ტიპი: ერთი და ორმაგი) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. კომპიუტერული მოტორული დავალებისათვის ANOVA-მ აჩვენა სქესის სტატისტიკურად სანდო ეფექტი ინტერაქციისათვის  $F(1,177)=11.011$ ,  $MSE=20.713$ ,  $p<.001$ , სანდო ეფექტი ფაქტორისათვის  $F(1,177)=32.144$ ,  $MSE=20.713$ ,  $p<.0001$  და ჯგუფისათვის (საკონტროლო და ADHD)  $F(1,177)=5.506$ ,  $MSE=160.34$ ,  $p<.02$ .


ზოგადად, ორივე საკვლევ ჯგუფში გოგონები უკეთ ასრულებდნენ დავალებებს ბიჭებთან შედარებით. შედეგებმა აჩვენეს ჯანმრთელი გოგონებისა და ბიჭების მიერ შესრულების გაუმჯობესება ორმაგი დავალების კონდიციაში, რაც არ გამოვლინდა ADHD-ის მქონე ბიჭების ჯგუფში (ნახაზი 6).

ორმაგი დავალების ვერბალურსა და მოტორულ დავალებებზე ADHD-ის ტიპისა და სქესის ეფექტების განსასაზღვრად ერთი და ორმაგი დავალების მონაცემები დამუშავდა 4 (ჯგუფი: საკონტროლო, უყურადღებო, ჰიპერაქტიურ/იმპულსური, კომბინირებული)  $\times$  2 (ჯგუფი: გოგონები და ბიჭები)  $\times$  2 (მდგომარეობა – დავალების ტიპი: ერთი და ორმაგი) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. ANOVA-მ გამოავლინა სანდო ეფექტი ფაქტორისათვის  $F(1,85)=5.9$ ,  $MSE=21.231$ ,  $p<.017$  და ფაქტორისა და სქესის ინტერაქციისათვის  $F(1,85)=5.181$ ,  $MSE=21.231$ ,  $p<.025$ . ADHD-ის ტიპის, ფაქტორისა და ADHD-ის ტიპის ინტერაქციის, ჯგუფებისა და 3 გზის ინტერაქციის ეფექტები სანდო არ აღმოჩნდა. როდესაც მონაცემები დამუშავდა 4 (ჯგუფები: საკონტროლო, უყურადღებო, ჰიპერაქტიურ/იმპულსური, კომბინირებული)  $\times$  2 (ჯგუფი: კომორბიდობით და კომორბიდობის გარეშე)  $\times$  2 (მდგომარეობა – დავალების ტიპი: ერთი და ორმაგი) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით გამოვლინდა ფაქტორის სანდო ეფექტი  $F(1,173)=10.277$ ,  $MSE=21.904$ ,  $p<.002$  და ADHD-ის ტიპისა და ფაქტორის ინტერაქციის სანდო ეფექტი  $F(1,173)=2.955$ ,  $MSE=21.904$ ,  $p<.034$  და ჯგუფის სანდო ეფექტი (კომორბიდობით და კომორბიდობის გარეშე)  $F(1,173)=4.201$ ,  $MSE=148.338$ ,  $p<.042$  და ჯგუფის (კომორბიდობით და კომორბიდობის გარეშე) ჯგუფთან (საკონტროლო და ADHD-ის ტიპები) ინტერაქციის ეფექტი  $F(3,173)=5.156$ ,  $MSE=148.338$ ,  $p<.002$ . ჯგუფის (საკონტროლო და ADHD-ის ტიპები) ეფექტის სანდოობა ზღვრული აღმოჩნდა  $F(3,173)=2.302$ ,  $MSE=148.338$ ,  $p<.079$ , ხოლო სქესის, კომორბიდობისა და ADHD-ის ტიპების გათვალისწინების შედეგად გამოვლინდა სანდო ეფექტი სამგზის ინტერაქციისათვის  $F(1,165)=6.637$ ,  $MSE=19.992$ ,  $p<.011$ . საკონტროლო და ADHD-ის ქვეტიპებში კომორბიდობის და კომორბიდობის გარეშე ჯგუფების შესადარებლად გამოიყენებოდა არაპარამეტრული Mann Whitney-ის U ტესტი. არაპარამეტრულმა Mann Whitney-ის U ტესტმა გამოავლინა სანდო განსხვავებები კომპიუტერული მოტორული ერთი დავალებისათვის (ჯგუფისთვის კომორბიდობით  $M=48.96$ ,  $\sigma=6.12$ ; ჯგუფისათვის

საკვლევ ჯგუფებში კომპიუტერული მობტორული დავალების შესრულების საშუალო მაჩვენებელი სქესის მიხედვით.



საკონტროლო ჯგუფი



ADHD ჯგუფი


კომორბიდულობის გარეშე  $M=63.23$ ,  $\sigma=9.99$ )  $U=11$ ,  $p<.001$  და ორმაგი მოტორული დავალებისთვის (ჯგუფისთვის კომორბიდობით  $M=49.22$ ,  $\sigma=7.92$ ; ჯგუფისთვის კომორბიდობის გარეშე  $M=62.05$ ,  $\sigma=6.84$ )  $U=13$ ,  $p<.001$  ADHD-ის ჰიპერაქტიურ/იმპულსური ჯგუფისათვის და მოტორული ერთი დავალებისათვის (კომორბიდული ჯგუფისთვის  $M=46.84$ ,  $\sigma=5.36$ ; ჯგუფისთვის კომორბიდობის გარეშე  $M=53.67$ ,  $\sigma=6.78$ )  $U=20$ ,  $p<.014$  ADHD-ის უყურადღებო ჯგუფისთვის. ყველა შემთხვევაში ჯგუფებმა კომორბიდობით კომორბიდობის გარეშე ჯგუფებთან შედარებით უფრო დაბალი შესრულება გამოავლინეს.

ორმაგი დავალების კომპიუტერული ვერსიის ვერბალურ დავალებაზე ჩატარებულმა ANOVA მულტიფაქტორულმა დისპერსიულმა ანალიზმა გამოავლინა ჯგუფის (საკონტროლო და ADHD-ის ტიპები) კომორბიდობასთან ინტერაქციის ეფექტის ზღვრული სანდოობა  $F(3,165)=2.549$ ,  $MSE=.03$ ,  $p<.058$  და ჯგუფის (საკონტროლო და ADHD-ის ტიპები) სქესსა და კომორბიდობასთან ინტერაქციის ზღვრული სანდოობა  $F(3,165)=2.548$ ,  $MSE=.03$ ,  $p<.058$ .


ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის მოტორულ დავალებაზე ADHD-ისა და სქესის ერთობლივი ეფექტის განსასაზღვრად ერთი და ორმაგი დავალების მონაცემები  $2$  (ჯგუფი: საკონტროლო და ADHD)  $\times$   $2$  (ჯგუფი: გოგონები და ბიჭები)  $\times$   $2$  (მდგომარეობა – დავალების ტიპი: ერთი და ორმაგი) დამუშავდა ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. ANOVA-მ კომპიუტერული მოტორული დავალებისათვის გამოავლინა სქესის ფაქტორთან ინტერაქციის ეფექტი  $F(1,174)=4.418$ ,  $MSE=147.574$ ,  $p<.037$ , მაგრამ ფაქტორის, ჯგუფისა და მათი ინტერაქციის ეფექტები სანდო არ აღმოჩნდა. არ გამოვლინდა ADHD-ის ტიპის სანდო ეფექტი ფურცლისა და ფანქრის მაჩვენებლისათვის. ზოგადად კი, ორივე ჯგუფში შესრულების მაჩვენებელი ბიჭებში უფრო მაღალი იყო გოგონებთან შედარებით (ნახაზი 7). კვლევაში არ გამოვლინდა კომორბიდობის ეფექტი ფურცლისა და ფანქრის მოტორულ დავალებაზე.

კომპიუტერული  $\mu$  ქულისათვის ANOVA-მ არ აჩვენა სანდო სქესის ეფექტი ჯანმრთელი ჯგუფისათვის, მაგრამ ADHD-ის ჯგუფისათვის გამოავლინდა სქესის სანდო ეფექტი  $F(1,85)=5.194$ ,  $MSE=122.063$ ,  $p<.025$ . ADHD-ის მქონე ბიჭების  $\mu$  ქულის

საკვლევი ჯგუფების ფურცლისა და ფანქრის მოტორული დავალების შესრულების საშუალო მაჩვენებელი სქესით.



საკონტროლო ჯგუფი



ADHD ჯგუფი

მაჩვენებელი ჯანმრთელი საკონტროლო ჯგუფის ბიჭების  $\mu$  ქულის მაჩვენებელთან შედარებით დაბალი აღმოჩნდა (ნახაზი 8). არ გამოვლინდა სქესისა და ჯგუფის სანდო ინტერაქცია  $\mu$  ქულის მაჩვენებელზე.

საკვლევი ჯგუფებისათვის არ გამოვლინდა სქესის სტატისტიკურად სანდო ეფექტი ფურცლისა და ფანქრის  $\mu$  ქულაზე. არ გამოვლინდა ADHD-ის ტიპისა და კომორბიდობის ეფექტი ორმაგი დავალების ფურცლისა და ფანქრის ვერსიის ვერბალური დავალებისთვისაც.

კომპიუტერული და ფურცლისა და ფანქრის  $\mu$  ქულებისათვის არ გამოვლინდა ADHD-ის ტიპებისა და კომორბიდული დარღვევების ფაქტორების სანდო ეფექტები.

## **9.5. დავალების სირთულის დონის ზეგავლენა ორმაგი დავალების შესრულებაზე**


ცხრილში 6 მოცემულია 6 ორმაგი დავალების მაჩვენებელი (3 მოტორული დავალება და 3 ვერბალური დავალება) დავალების სირთულის 3 დონისათვის (მარტივი დავალება, დავალება ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე, რთული დავალება) ჯანმრთელი საკონტროლო და ADHD-ის მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის (იხ. ნახაზი 9).

ADHD-სა და მის ქვეტიპებთან ორმაგი დავალების სირთულის ეფექტის განსასაზღვრად 6 ორმაგი დავალება (3 მოტორული და 3 ვერბალური) დამუშავდა 2(ჯგუფი – საკონტროლო და ADHD)  $\times$  3(მდგომარეობა – დავალების სირთულე: ინდივიდუალური სიჩქარით, ინდივიდუალური სიჩქარის 0,5 ნაწილით და ინდივიდუალური სიჩქარის 1,5 ნაწილით) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. მოტორული დავალებაზე (ერთი დავალება) ANOVA-მ აჩვენა მდგომარეობის სტატისტიკურად სანდო ეფექტი  $F(2,354)=4220.895$ ,  $MSE=42.779$ ,  $p<.0001$ , მაგრამ ინტერაქციისათვის ( $F<1$ ) და ჯგუფისათვის ( $F<1$ ) სტატისტიკურად სანდო ეფექტი არ გამოვლინდა.

კომპიუტერული მოტორული დავალების შესრულებაზე დავალების სირთულის ეფექტის განსასაზღვრად ორმაგი დავალების ვერბალური მეხსიერების დავალების ინდივიდუალური შესაძლებლობის დონეზე შესრულების მაჩვენებლები, ხოლო მოტორული დავალების ინდივიდუალური სიჩქარით, ინდივიდუალური სიჩქარის 0,5 ნაწილითა და ინდივიდუალური სიჩქარის 1,5 ნაწილით შესრულების მაჩვენებლები



ჯანმრთელი და ADHD-ის მქონე ჯგუფის  $\mu$  ქულის მაჩვენებელი სქესით




**ცხრილი 6.**

საკვლევი ჯგუფების 6 ორმაგი დავალების მაჩვენებელი დავალების სირთულის 3 დონისთვის (მარტივი დავალება, დავალება ინდივიდუალურ დონეზე, რთული დავალება).

M (6)	ერთი მოტორუ ლი დავალება - დავალება ინდ სიჩქარით	ერთი მოტორულ ი დავალება - ინდ.სიჩქარ ის .5 ნაწილით	ერთი მოტორულ ი დავალება - ინდ.სიჩქარ ის 1.5 ნაწილით	ორმაგი მოტორუ ლი დავალება - დავალება ინდ სიჩქარით	ორმაგი მოტორუ ლი დავალება -ინდ სიჩქარის .5 ნაწილით	ორმაგი მოტორუ ლი დავალება -ინდ სიჩქარის 1.5 ნაწილით	ორმაგი მოტორუ ლი დავალება - მეხსიერე ზის ინდ. მოცულო ბას მინუს 2	ორმაგი მოტორულ ი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულობ ით	ორმაგი მოტორუ ლი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულობ ას პლიუს 2
				მეხსიერების ინდ. მოცულობით			ინდივიდუალური სიჩქარით		
საკონტროლო	54.26 (8.45)	90.23 (8.05)	26.64 (7.93)	57.84 (9.72)	86.58 (14.00)	27.00 (8.69)	57.84 (9.72)	59.78 (9.78)	55.84 (11.03)
ADHD	52.13 (9.13)	88.87 (9.03)	25.88 (7.87)	53.67 (10.55)	86.12 (8.75)	25.37 (7.80)	53.67 (10.55)	56.24 (10.33)	50.76 (11.64)
	ერთი ვერბალუ რი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბით	ერთი ვერბალურ ი დავალება- მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბას მინუს 2	ერთი ვერბალურ ი დავალება- მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბას პლიუს 2	ორმაგი ვერბალუ რი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბით	ორმაგი ვერბალუ რი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბას მინუს 2	ორმაგი ვერბალუ რი დავალება - მეხსიერე ის ინდ. მოცულო ბას პლიუს 2	ორმაგი ვერბალუ რი დავალება -ინდ. სიჩქარით	ორმაგი ვერბალურ ი დავალება- ინდ. სიჩქარის.5 ნაწილით	ორმაგი ვერბალუ რი დავალება -ინდ. სიჩქარის 1.5 ნაწილით
				ინდივიდუალური სიჩქარით			მეხსიერების ინდ. მოცულობით		
საკონტროლო	.82 (.12)	1.00 (.01)	.11 (.15)	.78 (.13)	1.00 (.01)	.16 (.19)	.78 (.13)	.74 (.15)	.79 (.16)
ADHD	.82 (.14)	1.00 (.01)	.12 (.18)	.76 (.18)	1.00 (.01)	.16 (.19)	.76 (.18)	.73 (.19)	.79 (.15)

**ნახაზი 9.**

- A. საკვლევი ჯგუფების მიერ მოტორული დავალების სწორად შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 1. მოტორული დავალების (ერთი დავალების) სხვადასხვა სიჩქარეზე შესრულებისთვის, 2. ორმაგი დავალებისთვის მოტორული დავალების სხვადასხვა სიჩქარით მეხსიერების მოცულობის ინდივიდუალურ დონეზე. 3. მოტორული დავალების ინდივიდუალური სიჩქარით ვერბალური დავალების სირთულის სხვადასხვა დონეზე.
- B. საკვლევი ჯგუფების მიერ ვერბალური დავალების სწორად შესრულების პროცენტული მაჩვენებელი. 1. ვერბალური დავალების (ერთი დავალება) სირთულის სხვადასხვა დონეებზე შესრულებისთვის; 2. ორმაგი დავალებისთვის ვერბალური დავალების სირთულის სხვადასხვა დონეზე, ხოლო მოტორული დავალების ინდივიდუალურ სიჩქარეზე შესრულებისთვის; 3. ვერბალური დავალების ინდივიდუალურ, ხოლო მოტორული დავალების სირთულის სხვადასხვა სიჩქარეზე შესრულებისთვის



დამუშავდა 2 (ჯგუფი – საკონტროლო და ADHD) ×3 (მდგომარეობა – დავალების სირთულე: ორმაგი მოტორული დავალება ინდივიდუალური სიჩქარით, ინდივიდუალური სიჩქარის 0,5 ნაწილით და ინდივიდუალური სიჩქარის 1,5 ნაწილით) ANOVA მულტიფაქტორული დისპერსიული ანალიზის საშუალებით. ANOVA-მ აჩვენა მდგომარეობის სტატისტიკურად სანდო ეფექტი  $F(2,354)=2479.548$ ,  $MSE=65.301$ ,  $p<.0001$ . ჯგუფისათვის  $F(1,177)=3.366$ ,  $MSE=173.825$ ,  $p<.068$  და ინტერაქციისათვის  $F(2,354)=2.434$ ,  $MSE=65.301$ ,  $p<.089$  სანდოობა სტატისტიკურად ზღვრული აღმოჩნდა.

